აფხაზეთში დაბრუნება ქართული ჯარისა და ფულის გარეშე A2

ასლანიკაშვილის მოხსნის ისტორია A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 8 მაისი, 2003 წელი. №124 (336)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ელდარ შენგელაიას იმან მოუღეროს ქვა, ვინც პრეზიდენტ შევარდნაძეს უკვე ესროლა

ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, პროტესტის ნიშნად, თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს. თავის განზრახვას პარლამენტის ვიცე-სპიკერი იმით ხსნის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკა არ გააჩნია.

A2

## ეკონომიკა

### მთავრობა "ეი-ი-ეს"-ს საქმეს "ურჩევს"

*გუშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში ქართულ მხარესა და ამერიკულ კორპორაცია "ეი-ი-ეს"-ს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გასარკვევად შექმნილი "შემთანხმებელი კომისიის" პირველი სხდომა გაიმართა. სადავო ნუსხაში შევიდა 20 საკითხი.*

A4

## უცხოეთი

### ჰუსეინი ერაყელებს "საიდუმლო გზით" ბრძოლისაკენ მოუწოდებს

"დიდი ერაყიდან მე მოგმართავთ თქვენ საიდუმლო გზებით, რათა გითხრათ ყველას, არაბსა თუ ქურთს, სუნიტსა თუ შიიტს, მუსულმანსა თუ ქრისტიანს, დღეიდან თქვენი მთავარი ამოცანაა, განდევნოთ მტერი თქვენი სამშობლოდან".

A5

## საზოგადოება

### „დაკითხვა" ჯანდაცვის სამინისტროში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ოპოზიციის ნანატრი შეხვედრა გაიმართა. ჟურნალისტების თანდასწრებით მინისტრის ორმა მოადგილემ - ვასილ ჭეიშვილმა და იაგო კალანდაძემ მწვავე შეკითხვებს უპასუხეს.

A6

## სამართალი

### „თუ პარლამენტში ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობენ, ჩვენ ციხეში რა გვინდა?" - კითხულობენ პატიმრები

"პარლამენტში ახლა გაახსენდათ, რომ თურმე, ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობენ, მაშინ ჩვენც მოგვცენ ჩვენი წესებით ცხოვრების საშუალება. როცა კანონმდებელი არ სცემს პატივს თავისივე მიღებულ კანონს, მე მარტომ ვცე პატივი?"

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 17 |
| ბათუმი | 13 |
| სოხუმი | 15 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 17 |
| ზუგდიდი | 15 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 17 |
| ჭიათურა | 16 |
| გაგრა | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4584 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4749 |
| რუბლი | 0.0693 |

# საქართველო - ნატო-სკენ: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*




*ორთვიანი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, სამშაბათს თბილისში ნატო-ს თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელთა 10-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტის მიზანია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე იმ რეფორმების გაცნობა, რომელთა განხორციელება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცა, ნატო-ს ექსპერტთა პირველმა კომენტარებმა აშკარად გააწბილა იმ ადამიანთა მოლოდინი, რომლებიც დიდი ხანია ამაოდ ცდილობენ დაადგინონ, თუ რეალურად რა არის შესრულებული საქართველოს მიერ 1999 წელს ნაკისრი პარტნიორობის მიზნებიდან.*

საქართველოში ნატო-ს ერთგვარი კვირეული დაიწყო, რომელსაც 15 მაისს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის ვიზიტი დაასრულებს. 22 მაისს კი, ბრიუსელში საბოლოოდ გაირკვევა პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო

გაგრძელება A3 გვერდზე

## გაწევ-გამოწევა საკრებულოში - ცემა-ტყეპის გარეშე

*საკრებულოს სხდომათა დარბაზში გუშინდელი გაწევ-გამოწევა, პარლამენტში მიმდინარე ამბების ფონზე, ნაკლებ "საინტერესოდ" გამოიყურებოდა - ცხვირ-პირის დასისხლიანებამდე საქმე არ მისულა, თუმცა არც ბევრი აკლდა.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ საკრებულოს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა საკითხი უნდა განეხილა, მაგრამ ქვორუმი ვერ შედგა და სააკაშვილმა სხდომა გადადო; ამან ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა" ორმხრივი თავდასხმისგან ვერ იხსნა. ვაკის პარკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, თემურ ჯიბლაძემ ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსს, დავით ოქიტაშვილს შეუტია, ვაკის პარკის გაყიდვაში დაადანაშაულა და "ნაციონალებიც" ზედ მიაყოლა (ეს ის თემურ ჯიბლაძეა, გუშინწინ კანცელარიის ღობის გისოსზე ხელი რომ მიიჯაჭვა). ვალში არც ოქიტაშვილი დარჩენილა და ჟურნალისტებს მისი ცუდი კაცობის დამადასტურებელი დოკუმენტები აუფრიალა.

გაგრძელება A6 გვერდზე

## აშშ-ში წინასაარჩევნო მზადება უკვე დაიწყო

*შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნები 18 თვის შემდეგ ჩატარდება, მაგრამ რესპუბლიკელები და დემოკრატები "დიდი ომისათვის" უკვე ემზადებიან. პრეზიდენტმა ბუშმა ერაყისა და საგარეოპოლიტიკური პრობლემებიდან ყურადღება გადასახადების შემცირებაზე გადაიტანა, მისი მოწინააღმდეგე დემოკრატები კი საპრეზიდენტო კანდიდატურის შერჩევით არიან დაკავებულნი.*

რევაზ ბახტაძე

3 მაისს დემოკრატიულ პარტიაში 2004 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ერთდროულად ცხრა კანდიდატმა გამოთქვა. საბოლოო კანდიდატურას მომავალი წლის ნოემბრისათვის დაასახელებენ. თითოეული კანდიდატი, უკვე რამდენიმე თვეა, საპრეზიდენტო კამპანიისათვის ფულის შეგროვებას და რეიტინგის გაუმჯობესებას ცდილობს. მართალია, ჯორჯ ბუშს რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად ნომინირება გარანტირებული აქვს, მაგრამ არჩევნების მოსაგებად ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტმა ძირითადი ყურადღება საშინაო პრობლემებს მიაპყრო.

გაგრძელება A5 გვერდზე

# პრაგმატული ფრე

კახა ფაჩუაშვილი

### მილანი - ინტერი 0:0

**მილანი:** დიდა, კოსტაკურტა, მალდინი, ნესტა, კალაძე, ბროკი (სერჟინიო), გატუზო (რედონდო), ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო (რივალდო), ინძაგი
**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კორდობა, ს.კონსეისაუ (გული), დი ბიაჯო, ემრე, კოკო (პასკუალე), კრესპო, რეკობა (კალონი)
**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

254-ე მილანური დერბი წარსულს ჩაბარდა. მილანური გუნდების ისტორიის უმნიშვნელოვანესი მატჩი ნულოვანი ფრით აღინიშნა. შესაბამისად, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის ვინაობა ერთი კვირის შემდეგ, მილანური გრანდების განმეორებით შეხვედრაში გაირკვევა. გუშინ "სან-სიროზე" იტალიისთვის დამახასიათებელი, პრაგმატული ფეხბურთი გაჩაღდა. ოღონდ ამ პრაგმატიზმს, ამ შემთხვევაში, ორი მიზანი ჰქონდა. ერთის მხრივ "მილანი" განმეორებითი მატჩის წინ სასურველი მარაგის შექმნას ცდილობდა, "ინტერი" კი, უნდა ვაღიაროთ, სანუკვარი ფრეს შენარჩუნებაზე უფრო ზრუნავდა. ასეთ შემთხვევაში პირველი ვიოლინო უდაოდ "მილანს" ეკუთვნოდა.

გაგრძელება B4 გვერდზე


*კალაძე საუკეთესო იყო*

REUTERS

# საბაჟოს მეორე ათისთავი

### რატომ მოხვდა "ავტომატიკი" თარხან-მოურავი საბაჟოში?

რევაზ საყევარიშვილი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

პოსტსაბჭოთა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა თავისი არსებობის მანძილზე შეფების პირველი ათეული დაასრულა: ირაკლი ქადაგიშვილის, გურამ მამულაშვილის, ვიქტორ ლორთქიფანიძის, თენგიზ აბულაძის, თამაზ მაღლაკელიძის, გიორგი გაჩეჩილაძის, კობა ნარჩემაშვილის, ბადრი აბზიანიძის და ლევან ქისტაურის შემდეგ საბაჟოზე ალექსანდრე ასლანიკაშვილის ზეობის ხანაც დასრულდა.

დამოუკიდებელი საქართველოს 10-წლიანი არსებობის მანძილზე არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებაში პირველი პირების ასეთი ხშირი ცვლილება არ მომხდარა. ამ მხრივ, საბაჟო ნამდვილად უნიკალური ერთეულია. მის თითოეულ თავმჯდომარეს, საშუალო არითმეტიკულით, პოსტზე მხოლოდ ერთი წელი აქვს გაძლებული. თუმცა, არსებობენ რეკორდსმენებიც: ერთი მხრივ, თენგიზ აბულაძე, რომელსაც ეს თანამდებობა 3 წელიწადზე მეტ ხანს ეკავა და, მეორე მხრივ, კობა ნარჩემაშვილი, რომელიც თანამდებობაზე მხოლოდ 3 თვეზე ცოტა მეტ ხანს იმყოფებოდა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს "ეყოფა" ამ თანამდებობას მისი ახალი შეფი, ორგანიზაციული სისტემების მართვის ავტომატიზების სპეციალისტი დავით თარხან-მოურავი. ჯერჯერობით ზუსტად ისიც უცნობია, ვინ უმაგრებს ზურგს ახალ მებაჟეთუხუცესს. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მას "საუფროსოდ" უმურველად შეუქმნეს აბსოლუტურად უფუნქციო სახელმწიფო უწყება - ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. ისტორია არაფერს გვეუბნება დავით თარხან-მოურავის მიერ ამ თანამდებობაზე მიღწეული წარმატებების შესახებ. სამაგიეროდ, ისტორია არ მალავს, რომ ქვეყნის ინფორმატიზაციაში ქვეყანამ სწორედ იმიტომ მიაღწია მეტ-ნაკლებ წარმატებებს, რომ ამ სფეროში სახელმწიფომ ფეხი ვერ ჩაყო. არადა, ინფორმატიზაციის დეპარტამენტი სწორედ ამ "ფეხის ჩაყოფისთვის" იყო შექმნილი. საბედნიეროდ, ამ ჰიპოსტასში დავით თარხან-მოურავი არ აღმოჩნდა იმდენად აქტიური, რომ სახელმწიფოს სახელით საქმე გაეფუჭებინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტს თავისი ქვეყნის ნორმალურობაში ეჭვი ეპარება

ვერიკო თევზაძე

*"პარლამენტარებს თუ ძალიან უნდათ ერთმანეთში ჩხუბი, სხვაგან გავიდნენ... აღშფოთებული ვარ არა მხოლოდ იმით, რომ ვახტანგ რჩეულიშვილს თავი გაუტეხეს, მე მაწუხებს სახელმწიფო დაცვის ბედი. დაცვის ორ თანამშრომელს პარლამენტარებმა სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენეს. ერთ მათგანს ძვლები აქვს ჩამტვრეული. ამას არავის ვაპატიებ. კატეგორიულად მოვითხოვ იმათ დასჯას, ვინც ხელი აღმართა დაცვის თანამშრომელთა წინააღმდეგ! მითხარით, ნორმალური ქვეყნის პარლამენტში ასეთი რამ ხდება?" – მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შევარდნაძემ გენერალურ პროკურორს 5 მაისს პარლამენტში მომხდარი ინციდენტის გამოძიება დაავალა.*

**"რა უბედურებაა, რა არის ეს? სად ვიმყოფებით, პარლამენტში, საკრებულოში თუ სადღაც, რომელიმე პროვინციაში? რას ჰგავს ამგვარი გამოსვლები, რატომ გგონიათ, რომ ცენტრალური ხელისუფლება ქალაქს ბლოკადას უწყობს?"** – უკვე მერამდენედ ვერ დაფარა ბატონმა პრეზიდენტმა თავისი აღშ-

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# აფხაზეთში დაბრუნება ქართული ჯარისა და ფულის გარეშე



ჭერჭერობით წუთიერი დუმილი, შემდეგ აფხაზეთში დაბრუნება.

სოფო კვინტრაძე

**"ვფიცავ, გავითავისო ერისა და ქვეყნის ტკივილი, ყველაფერი გავაკეთო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, ვიცხოვრო და ვიმოქმედო ისე, როგორც ღირსეულ მამულიშვილს შეეფერება, საკუთარი სიცოცხლეც კი შევწირო საქართველოს მიწა-წყლის მთლიანობას, ერის ღირსებასა და კეთილდღეობას,"** – ამ ფიცის დადება მოუწევს ყველა იმ მოქალაქეს, ვინც საზოგადოებრივ მოძრაობაში - "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" - გაერთიანდება და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დასაბრუნებლად იბრძოლებს. გუშინ მოძრაობამ დაარსებიდან ორი წლისთავი აღნიშნა. როგორც მოძრაობის გენერალურმა მდივანმა გია ჩიქოვანმა შენიშნა, **"მართალია, ამ ორი წლის მანძილზე ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ კონსტიტუციური უფლებებით ვცდილობდით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენას".** კონსტიტუციურ უფლებებში მოძრაობის წევრები კანცელარიის, რუსეთის საელჩოსა და გაერო-ს ოფისის წინ მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვას გულისხმობენ. ჯერჯერობით, მოძრაობა ხუთი ათასამდე რიგით წევრსა და საკმაოდ მრავალრიცხოვან საბჭოებსა და გამგეობებს ითვლის. მოძრაობამ შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც უახლოეს მომავალში პარლამენტს წარედგინება. არჩევნებამდე კი საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურად ჩამოყალიბდება და მომავალ პარლამენტში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოლებს. საზოგადოების ხელმძღვანელობა მოძრაობას ოპოზიციურად მიიჩნევს, თუმცა, დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაში შესვლას არ აპირებს. მოძრაობა - "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" - პარტნიორობას, ჯერჯერობით, არც სახელისუფლებო ბლოკთან აპირებს.

როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, ჯერ არც მას გადაუწყვეტია, ვისთან გაერთიანდება წინასაარჩევნოდ. **"ერთი კი ცხადია, სადაც მე ვიქნები, იქ იქნება მოძრაობაც,"** – განაცხადა ნადარეიშვილმა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზეთში დაბრუნების მისეული გეგმა წარმოადგინა, რომელშიც რუსეთის როლი მინიმუმამდეა დაყვანილი.

**"აფხაზეთში ძალისმიერი მეთოდებით დასაბრუნებლად არ არის საჭირო ქართული ჯარი, არც ქართული ეკონომიკა, არც ქართული ფული, ხომ არსებობს ცნება "მეგობარი ქვეყნები"?** – თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთში დაბრუნებას სწორედ მეგობარი ქვეყნების საშუალებით გეგმავს. მისი თქმით, გაერო-მ უნდა გააცნობიეროს, რომ მშვიდობიანი მეთოდებით კონფლიქტი არ მოგვარდება, ამიტომ საჭიროა, მან მეგობარ ქვეყნებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საჯარისო შენაერთების შეყვანა დაავალოს. ნადარეიშვილის ლოგიკით **"აფხაზები ამერიკელებს და ინგლისელებს ვერ ესვრიან, იმიტომ, რომ ეს უკვე მსოფლიოს წინააღმდეგ ომი იქნება."**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჰააგის ტრიბუნალზეც დიდ იმედებს ამყარებს. ჰააგიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნებული ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთში ქართველთა გენოციდის საკითხზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ტრიბუნალში თითქმის გადაწყვეტილია. დარჩა მხოლოდ ერთი პროცედურა – საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ჩვენი ქვეყანა ჰააგის კონვენციას შეუერთდეს.

# არძინბას მდიდარი ქალიშვილი

აფხაზური საკურორტო სერვისის ძირითადი მესაკუთრეა არძინბას ქალიშვილი მადინა, რომელმაც 1998-1999 წლებში ე.წ. "პრივატიზაციის" პროცესის დაწყებისთანავე, ფაქტობრივად, უფასოდ ჩაიგდო ხელში უმსხვილესი საკურორტო ობიექტები; მისი კუთვნილებაა სტალინის აგარაკი "ხალოდნაია რეჩკა", ასევე სტალინის აგარაკი რიწის ტბაზე, ყოფილი სამთავრობო აგარაკი, დასასვენებელი სახლები და პანსიონატები: "გაგრა", "მზიური", "ბზის კორომი".

მადინა არძინბას დაფუძნებული აქვს ტურისტული სააგენტო "რუსალ-ტური" და ითვლება აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლად რუსეთის ფედერაციაში კურორტებისა და ტურიზმის საკითხებში.

მთლიანობაში, აფხაზეთში უკანონოდ არის გასხვისებული და მითვისებული სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი. მათ შორის: გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის N 1 ჩაის ფაბრიკა, ოჩამჩირის რაიონის გამგეობის შენობა, ტყვარჩელის რაიონის "ხუძგის" ქვანახშირის საბადო, სოხუმის სანატორიუმი "კავკასია", სოხუმის N 6 საშუალო სკოლა, გაგრის რაიონის დასასვენებელი სახლი, გაგრის რაიონის ცეკავშირის შენობა, გაგრის სანატორიუმი "უკრაინა". **მედია-ნიუსი**

# ლეიბორისტებს ისევ ებრძვიან...

ლეიბორისტული პარტია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტ შევარდნაძესთან ალიანსში ადანაშაულებს.

როგორც პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, **"სააკაშვილმა ნიღაბი მოიხსნა და უკვე ღიად განაცხადა, რომ თავის ადგილს შევარდნაძის ორბიტაზე ხედავს".** ლეიბორისტები აცხადებენ, რომ სააკაშვილი პრეზიდენტისაგან "სოლიდურადაც ფინანსდება".

მათივე ინფორმაციით, წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა "გამზრდელისაგან" ახალი შეკვეთა მიიღო. მას ადამიანთა ჯგუფის მოსყიდვა დაევალა, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელ პირებზე **"შეთითხნილ ცილისმწამებლურ ინფორმაციებს გაავრცელებენ, რითაც პარტიის იმიჯის შელახვას შეეცდებიან".** ლეიბორისტები აცხადებენ, რომ ამ თანხებს სააკაშვილი დედაქალაქის ბიუჯეტიდან უპრობლემოდ მიიღებს, პირადად ვანო ზოდელავას შუამავლობით. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** ახალი მთავრობის დამტკიცებამდე ვლადისლავ არძინბა ოპოზიციური აფხაზ მეომართა კავშირ "ამცახარას" გულის მოგების მიზნით იძულებული გახდა არაორდინალური ნაბიჯი გადაედგა და ჯერგენიასთვის პრემიერის პოსტზე დაბრუნება შეეთავაზებინა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, ჯერგენია პრეზიდენტობისთვის სერიოზულად ემზადება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ექს-პრემიერ-მინისტრს ანრი ჯერგენიას მიიჩნევს. "მისი მოსკოვიდან დაბრუნება და აფხაზეთის პოლიტიკურ არენაზე გააქტიურება იმის ნიშანია, რომ მას საპრეზიდენტო ამბიციები გააჩნია", - აცხადებს იოსელიანი, რომელიც ჯერგენიას გაპრეზიდენტების შემთხვევაში, საქართველოსთვის კარგს არაფერს ელის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს თითქმის ყველა ინსტანციაში მიიჩნევენ, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტი მოვლენაა საქართველოსთვის. **"ჩვენმა ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ვიმედოვნებ, რომ საქართველო ევროპის მოლოდინს გაამართლებს",** - განაცხადა ევროსაბჭოში საქართველოს ელჩმა ლანა ღოღობერიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "XXI საუკუნის" წევრმა ანზორ აბრალავამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ქალაქის არქიტექტურის სამსახურის "მიკიბულ-მოკიბული" ქცევის გამო, თბილისში ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტის დადგმა დღემდე ვერ ხერხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ვაზის პარტია" პოლიტიკურ კონსულტაციებს ატარებს "ნაციონალურ მოძრაობასთან" და "ერთობასთან". პარტიის თავმჯდომარის გიორგი შენგელაიას განცხადებით, **"შევარდნაძის მომხრეთა კონსოლიდაციას უნდა დაუპირისპირდეს ერთი ან ორი სერიოზული, დემოკრატიული ბლოკი, თორემ საქართველოც აზერბაიჯანს დაემსგავსება, სადაც აზიურ-მუსლიმანური ნომენკლატურა ერთ პიროვნებას ეთაყვანება". მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, 18 მაისს დაბა ხარაგაულში საკრებულოს არჩევნების ჩასატარებლად ორი 12-კაციანი სპეცჯგუფი შეიქმნა. ჯგუფების პერსონალურ შემადგენლობასა და თავმჯდომარეებს ცესკოს თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე უახლოეს ორ დღეში დაამტკიცებს. **მედია-ნიუსი**

# მეგზევეთა კავშირი - შევარდნაძის გვერდში

ბელა მახარაძე

*პრეზიდენტი გუშინ მხრადამჭერთა კიდევ ერთ, 8 000-იან გუნდს შეხვდა. ეს არის საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ბორის სარალიძის თავმჯდომარეობით. ორგანიზაციამ გუშინ "საქართველოს მეგზევეთა კავშირი" ჩამოაყალიბა. ამ ხალხმა პრეზიდენტს აღუთქვა, რომ მის გვერდით იქნებიან და საქართველოს აღმშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობას. რაღა თქმა უნდა, თავის მხრივ, არც პრეზიდენტი დარჩა მათ ვალში, გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ დარგი უფრო მეტ წარმატებებსაც მიაღწევს. შევარდნაძეს იმდენად მოეწონა ახლად ჩამოყალიბებული კავშირი, რომ გაწევრიანების სურვილიც გამოთქვა. სარალიძის გვერდში დგომის იმედი ნამდვილად აქვს საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ არც ის დავიწყებია, რომ მისთვის გაფრთხილება მიეცა: "თუ ავტოსაგზაო მაგისტრალები ევროსტანდარტებს არ დააკმაყოფილებს, მაშინ სვანეთში გაგიშვებ გამგებლის მოადგილედ."*



პრეზიდენტის მხარდაჭერით კმაყოფილი სარალიძე მილოცვებს იღებდა.

გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში საზეიმო ვითარებაში დაფუძნდა კიდევ ერთი კავშირი. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, მეგზევეთა ისტორიას დოკუმენტური ფილმის საშუალებით გასცნობოდა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბორის სარალიძემ წარმატებულ საქმიანობაზე საკმაოდ გრძელი მოხსენება წაიკითხა (ნეტა რომელი გზით მივიდა ოპერისა და ბალეტის თეატრში სარალიძე), ბოლოს კი, ყველა მეგზევის სახელით, პრეზიდენტს ერთგულება აღუთქვა. "**მე ერთადერთ სწორ გზას მხოლოდ აქეთ ვხედავ,**" - თქვა მან და ყველა მეგზევეს ამ გზის აღორძინებისაკენ მოუწოდა.

შეხვედრას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და თბილისის მერი ესწრებოდნენ, მაგრამ მათ გუშინ თავიანთი აზრი არ გამოუთქვამთ. სამაგიეროდ, დიდი მადლიერების გრძნობით გამსჭვალულ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს, არმაზ შამანაურს უთხოვია სარალიძისათვის, საშუალება მიეცა, სახალხოდ გადაეხადა მადლობა ყველა მეგზევისათვის, მის დაქვემდებარებაში მყოფ რეგიონში გაწეული მუშაობისთვის. როგორც მან განაცხადა, "**თუ ეს ძალა პრეზიდენტის გვერდში დადგება, მაშინ ამ დარგში ყველა პრობლემა მოიხსნება**"(?!).

ყრილობაზე დამტკიცდა წესდება და მეგზევეთა კავშირის ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს ბორის სარალიძე. მან მეგზევეებს მადლობა გადაუხადა ნდობისათვის და პრეზიდენტს აღუთქვა, რომ ყოველი ახალი წარმატების შესახებ "ოპერატიულად უპატაკებს" მას.

ბოლო სიტყვა საქართველოს პრეზიდენტს ერგო, რომელმაც გაიხსენა ის დრო, როცა საქართველოში, ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, ეს დარგი ყოველთვის აკეთებდა თავისზე დაკისრებულ საქმეს. შევარდნაძემ დეპარტამენტს ახალი დავალება მისცა: "**ჩვენ ვუახლოვდებით ევროპას. მათ ახლა გააცნობიერეს, რომ ჩვენ ვართ მათი აღმოსავლეთი საზღვარი და ძალიან ვჭირდებით. ჩვენ გვაქვს ყველაზე მოკლე და იაფი გზა ევროპასა და აზიას შორის. ამიტომ აუცილებელია, ჩვენი მაგისტრალები ევროპის სტანდარტებს შეესაბამებოდეს**".

პრეზიდენტი სვანებს გზის აღდგენას შეჰპირებია და სარალიძემ ამის შესახებაც მიიღო დავალება: "**თუ სვანეთში გზას არ გააკეთებ, მაშინ სვანეთის გამგებლის მოადგილედ გაგგზავნი**".

შეხვედრით კმაყოფილი ბორის სარალიძე ასეთ კომენტარს აკეთებს, "**ჩვენ ყოველთვის ხელისუფლების გვერდში ვდგავართ და არჩევნებში, რა თქმა უნდა, მხარს სახელისუფლებო ბლოკს დავუჭერთ.**"

შევარდნაძე ამ კავშირის დაარსებით იმდენად კმაყოფილი იყო, რომ ამ კავშირში გავწევრიანდებიო, თქვა, თუმცა დაამატა: **"მხოლოდ დამსახურების შემდეგ".** ამ დამსახურების მიღწევა, ჩვენი ქვეყნის გზების მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს არ უნდა გაუჭირდეს.

# ელდარ შენგელაიას იმან მოუღეროს ქვა, ვინც პრეზიდენტ შევარდნაძეს უკვე ესროლა

*ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, პროტესტის ნიშნად, თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს. თავის განზრახვას პარლამენტის ვიცე-სპიკერი იმით ხსნის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკა არ გააჩნია, არაკონტროლირებად რეგიონს სათანადო ყურადღებას არ აქცევს და ამის გამო, მდგომარეობა, მთლიანობაში, საგანგაშოა.*

გიორგი ასანიშვილი

**"როდესაც საქმე უკეთესობისკენ არ მიდის, უფლება არა მაქვს, სავარძელში გულგრილად ვიჯდე და ამ ყველაფერს არხეინად ვუყურო. აუცილებელია, პრობლემისადმი დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალოს, ხელისუფლების მხრიდან კი ასეთი იმპულსები, სამწუხაროდ, არ მოდის. იქნებ, ჩემმა გადადგომამ მაინც ჩააფიქროს ხელისუფლება,"** - მთავრობას "ნამუსზე აგდებს" პარლამენტის ვიცე-სპიკერი, რომელიც დეპუტატებს ურჩევს, კომისიის ახალი თავმჯდომარის პოსტზე მცხეთის რაიონის მაჟორიტარს, ბადრი ხატიძეს დაუჭირონ მხარი. მისი განმარტებით, თავის დროზე, ხატიძე სამსახურებრივად იყო დაკავშირებული ამ პრობლემატიკასთან, მას ორივე დაპირისპირებული მხარის ხელმძღვანელობასთან კარგი კონტაქტები აქვს და, ამდენად, საქმის წინ წაწევა შეუძლია.

ელდარ შენგელაიას თქმით, თუ ცხინვალის რეგიონში რაიმე სასიკეთო გაკეთებულა, ეს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დამსახურებაა, მაგრამ ბოლო პერიოდში მათმა აქტიურობამაც იკლო, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლების პასიურობის შედეგია.

პარლამენტის სხდომაზე თავის გუშინდელ გამოსვლაში შენგელაიამ რამდენიმე მიზეზი დაასახელა, რამაც მისი კომისიის მუშაობის ნაკლებადეფექტურობა განაპირობა. ვიცე-სპიკერის განცხადებით, ცხინვალის რეგიონის პრობლემატიკაზე, ერთდროულად, რამდენიმე უწყება მუშაობს ისე, რომ მათი ფუნქციებისა და მოქმედებების კოორდინირება არ ხდება. შენგელაიას აზრით, კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლებას რეგიონის არსებობა მხოლოდ მაშინ ახსენდება, როდესაც იქ რაიმე საგანგაშო ფაქტი მოხდება.

**"ურემი რომ გადაბრუნდება, ჩინოვნიკები შემთხვევის ადგილზე მხოლოდ მაშინ ჩადიან და პირობას დებენ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი მაინც უცვლელად რჩება. უბედურება რომ ხდება, უხვად გაისმის დაპირებები ვითარების გაუმჯობესების თაობაზე, მაგრამ ასე არ ხდება,"** - შესჩივის კოლეგებს თანამდებობიდან წასასვლელად გამზადებული, დროებითი კომისიის თავმჯდომარე. ამასთან, იგი გულისტკივილით საუბრობს იმ ნეგატიურ შედეგებზეც, რაც ხელისუფლების უყურადღებობას მოსდევს. **"სამშვიდობო ძალებში შემავალი და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ოსური მოსახლეობა ქართველებზე კარგად არის ჩაცმულ-დახურული და უკეთაა უზრუნველყოფილი იარაღითა თუ კავშირგაბმულობის საშუალებებით. როდესაც ისინი ხედავენ, რომ უკეთეს პირობებში იმყოფებიან, რატომღა მოუნდებათ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა და მისი მოქალაქეობის მიღება?"** - ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ეკონომიკური "ცდუნების" არარსებობასაც უსვამს ხაზს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ელდარ შენგელაიას მკვეთრ შეფასებებს მისი ოპონენტი სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლებიც კი ეთანხმებიან. მაგალითად, ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი არ უარყოფს, რომ ცხინვალის პრობლემატიკა, ერთდროულად, მართლაც რამდენიმე "ძიძის" (ვახტანგ რჩეულიშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, მალხაზ კაკაბაძე, ელდარ შენგელაია...) ხელშია და მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომელიმე მათგანის სტატუსი შეიცვალოს (ამაღლდეს) და უფრო ქმედითი ბერკეტებით იქნას აღჭურვილი. მინდელი იმასაც ადასტურებს, რომ რეგიონს ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება ნამდვილად აკლია და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია. ამასთან, ქართველი სოციალისტები გამოდიან ინიციატივით, რომ მიმდინარე წელი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის წლად გამოცხადდეს. ირაკლი მინდელის თქმით, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 200 ათასი ლარი, რომლითაც გათვალისწინებულია ცხინვალში ქართული საინფორმაციო ცენტრის გახსნა, ცხინვალის საფეხბურთო გუნდის მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში, ქართველი და ოსი ბავშვების მუსიკალური კოლექტივის საზღვარგარეთ საგასტროლოდ გამგზავრება და ა.შ.

სოციალისტები, ასეთი პოზიციის (რასაც დეპუტატი რევაზ მიშველაძე "დემაგოგიას" უწოდებს) პარალელურად დამნაშავეებსაც ეძებენ და, პირველ რიგში, მაინც ელდარ შენგელაიასკენ იშვერენ ხელს.

**"კონფლიქტის მოუგვარებლობაზე პასუხისმგებლობას ელდარ შენგელაიას კომისიას არ ვაკისრებ, მაგრამ მან ამ კონფლიქტის მოგვარებასაც ვერ შეუწყო ხელი, რადგან ბოლო ხანს საგრძნობლად პასიურობდა,"** - განაცხადა "დემოკრატებთან" ჩხუბის შემდეგ უჩვეულო თავსაბურავით პარლამენტში პირველად გამოცხადებულმა ვახტანგ რჩეულიშვილმა. თუმცა, თავისი თანაპარტიელის მსგავსად, ისიც აღიარებს, რომ **"ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება თავის მოვალეობას არ ასრულებს."**

სოციალისტების მოსაზრებებს მთლიანად იზიარებს ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი. მისი მტკიცებით, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ თავიდან კარგად დაიწყო მუშაობა და ერთი-ორი წლის განმავლობაში გარკვეული სასიკეთო საქმეებიც გააკეთა, მაგრამ ბოლო ხანებში საქმე მკვდარი წერტილიდან აღარ იძვრის. **"აფხაზეთიდან ლტოლვილებს, თავისი სტრუქტურების სახით, ასე თუ ისე, პატრონი ჰყავთ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილები და იქ დარჩენილი მოსახლეობა კი ჰაერშია გამოკიდებული,"** - აფხაზეთიდან დევნილების ბედსაც კი შენატრის ვახტანგაშვილი.

სახელისუფლებო ძალების გუშინდელი შემოტევისგან ელდარ შენგელაიას დაცვა მისმა თანაფრაქციელმა გიორგი ბარამიძემ იკისრა. **"ელდარი დაბალი ღობე არ არის. მისი კომისიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, დაე, იმან ილაპარაკოს, ვისაც სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებაში პრეზიდენტის გაწეულ "ღვაწლზე" უკვე ნალაპარაკევი აქვს,"** - ასეთ "ულტიმატუმს" უყენებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ვიცე-სპიკერის კრიტიკის მოსურნეებს.

გადადგომისთვის გამზადებულ კომისიის თავმჯდომარეს თავად პარლამენტის სპიკერიც ესარჩლება. **"ელდარ შენგელაიას იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ რეგიონის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობა გაეკონტროლებინა,"** - კომისიის თავმჯდომარის "ხელ-ფეხშეკრულობაზე" საუბრობს ნინო ბურჯანაძე. იგი, დეპუტატების უმრავლესობის მსგავსად, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის უფლებების გაფართოებას უჭერს მხარს.

კომისიის თავმჯდომარის გათავისუფლებისა და ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცედურის ჩატარება პარლამენტში დღეისთვის არის ნავარაუდევი.

# საბოლოოდ გადაწყდა ქართული ასეულის გამგზავრება ერაყში

*როგორც იქნა წერტილი დაესვა თითქმის ერთთვიან მარჩიელობას თემაზე - მიიღებდნენ თუ არა განთავისუფლებული ერაყის აღდგენაში მონაწილეობას ქართველი სპეციალისტები. დიპლომატიური არხებით გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც საზოგადოებას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა აუწყა, ირკვევა, რომ ასეთი გადაწყვეტილება კოალიციის სამხედრო შტაბში უკვე არსებობს და საქართველოს ხელისუფლებას უახლოეს ხანებში მოუწევს, დააკომპლექტოს ბაღდადში გასაგზავნი კონტიგენტი.*

მინდია დავითური

როგორც ირკვევა, ლაპარაკია დაახლოებით ასეულის მასშტაბის შერეულ ქვედანაყოფზე, რომელიც უპირატესად სამხედრო მედიკოსებითა და ინჟინრებით იქნება დაკომპლექტებული.

**"ესენი იქნებიან სამხედრო ექიმები და სამხედრო ინჟინრები. მათი ფუნქცია იქნება არა სამხედრო, არამედ სამშვიდობო ოპერაციებსა და აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მიღება,"** - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის შემდეგ საქართველო მეორე სახელმწიფო იქნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომლის კონტიგენტიც ერაყის სტაბილიზაციის პროცესში მიიღებს მონაწილეობას. ამასთან, აზერბაიჯანელ სამხედროებთან დაკავშირებით უკვე ყველაფერი გარკვეულია - ისინი ერაყში 12 მაისს მიემგზავრებიან, რაშიც თავისი როლი ისლამის ფაქტორმა ითამაშა: ანტიერაყული კოალიციის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანული კონტიგენტი ქალაქებს - მოსულსა და ჰერბელასთან ახლოს განლაგდება და მათ მუსულმანებისთვის წმინდა ადგილების დაცვის ფუნქცია დაეკისრებათ.

ბეჟუაშვილის თქმით, გამგზავრების თარიღის, პასუხიმგებლობის ზონისა და სხვა კონკრეტული საკითხების შესათანხმებლად, თავდაპირველად ერაყში ქართველ მეკავშირე ოფიცერთა ხუთკაციანი ჯგუფი 20 მაისისთვის გაემგზავრება. მანამდე კი, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში თავდაცვის სამინსიტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყება მედიკოსებისა და ინჟინერ-მესანგრეთა შერჩევა, რომლის დროსაც უპირატესობა, ცხადია, მაღალკვლიფიციურ და ინგლისური ენის მცოდნე პირებს მიენიჭებათ. ცალკე პრობლემას წარმოადგენს კონტიგენტის დაფინასების საკითხი, რადგან ბიუჯეტის დამტკიცების დროს ასეთი მისიის შენახვის ხარჯები გათვალისწინებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამხედრო უწყებაში იმედოვნებენ, რომ, როგორც კოსოვოს შემთხვევაში, დონორი ერაყში გასაგზავნ ქართულ კონტინგენტსაც გამოუჩნდება.

**"მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკელებთან. ასეულის დაფინასება ნაწილობრივ საქართველოს თავადაცვის ბიუჯეტიდან მოხდება, ლოგისტიკის მიმართულებით ამერიკელები დაგვეხმარებიან - ასე, შერეული ვარიანტი იქნება,"** - აცხადებს ბეჟუაშვილი.

ანაზღაურების ეს "შერეული" სისტემა, სულ მცირე, ექვსჯერ აღემატება იმ სახელფასო თანხას, რასაც ქართველი ოფიცრები საქართველოში იღებენ. როგორც ირკვევა, სწორედ ანაზღურების გამო მიიღეს დიდი ენთუზიაზმით ეს გადაწყვეტილება სამხედრო უწყებაში, სადაც არაერთი ოფიცერი, მათ შორის ქალებიც, გამოთქვამენ მზადყოფნას, თუნდაც დაუყოვნებლივ გაემგზავრონ ერაყში. ასეთი ძლიერი მოტივაციის პირობებში, სამინისტროში ეჭვი არ ეპარებათ, რომ მიუხედავად ერაყში არსებული სამხედრო საფრთხეებისა, იქ გასაგზავნი სამშვიდობო-ჰუმანიტარული კონტიგენტის დაკომპლექტებაში არავითარი შეფერხება არ იქნება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საბაჟოს მეორე ათისთავი

პირველი გვერდიდან

თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად თარხან-მოურავს ახლა, ადრინდელთან შედარებით, განუზომლად დიდი არე გაეხსნა - მის დაქვემდებარებაში სრულიად საბაჟო ინფრასტრუქტურა აღმოჩნდა. ახალ ზემებაჟეს საბაჟოს ავტომატიზებისთვის ნახევარმილიონიანი პროექტიც შეუქმნია და ინვესტორსაც ეძებს. ჯერ, ალბათ, ადრეა ლაპარაკი არშემდგარი რეფორმების მოსალოდნელ შედეგებზე. თუმცა, ფაქტი ის არის, რომ ამაზე საუბარი ჯერ კიდევ მაშინ მიმდინარეობდა, როდესაც საქართველოს საბაჟოზე წინასწარი ინსპექტირების, ანტიკონტრაბანდული აქტივობისა და სწორედ საბაჟო რეფორმების ხელშესაწყობად ბრიტანული "აი-თი-ეს"-ი იყო "ჩანერგილი". შედეგები ცხადყოფს, რომ ამ ბრძოლაში ბრიტანელები დამარცხდნენ. რას იზამს თარხან-მოურავი, ამას შემოდგომაზე დავითვლით.

საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის შეცვლას ამ ეტაპზე ერთი უდავოდ დადებითი მუხტი ნამდვილად ჰქონდა: ალეკო ასლანიკაშვილის მოხსნაზე უკვე იმდენ ხანს ლაპარაკობდნენ, რომ მისდამი დაქვემდებარებული უწყების ეფექტურობა ახალი უფროსის მოლოდინში საგრძნობლად შემცირდა (რაც, ცხადია, უპირველესად, საბიუჯეტო შემოსავლებზე აისახა). ეს კი, საკადრო გადაწყვეტილების მისაღებად საკმაოდ წონადი არგუმენტია. რაც შეეხება საკითხის სხვა მხარეებს, ამ მხრივ საქმე ასევე მარტივად ნამდვილად არ გამოიყურება.

უპირველესად, ასლანიკაშვილის მოხსნა მყარად ზის იმ მოვლენათა კონტექსტში, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ხელისუფლების ეკონომიკურ ბლოკში, უპირველესად კი ფინანსთა სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში ვითარდება. ფაქტია, რომ ასლანიკაშვილის მოხსნა და პერმანენტული შეტევა საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელ თემურ ძიძიგურზე ფინანსთა მინისტრის დასასუსტებლად მიმართული კამპანიის ნაწილია. მირიან გოგიაშვილის არგუმენტირებული თუ არაარგუმენტირებული სიჯიუტე და ზოგჯერ სრული შეუვალობაც, როგორც ჩანს, არა მარტო პარლამენტარების, არამედ მისი თანაგუნდელი აღმასრულებლებისთვისაც უკვე აშკარად გამაღიზიანებელია. აქედან გამომდინარე, მისი გავლენის ლოკალიზების მცდელობა სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. პირდაპირ გოგიაშვილის მოხსნა მაინც გაუმართლებელი ნაბიჯია, რადგან, მუდამ შეუსრულებელი ვალდებულებების მიუხედავად, მას საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში (საქართველოში გოგიაშვილი სწორედ მსოფლიო ბანკიდან დაბრუნდა). ამიტომაც, გოგიაშვილის "ზედმეტი აქტივობის" აღსაკვეთად გაცილებით იოლია



ზაურ ბულაშვილის ფოტო

თარხან-მოურავი პრეზიდენტის ზურგს უკან თავს კარგად გრძნობს.

მისთვის გარემოცვის "შემოფცქვნა". ასლანიკაშვილის და ძიძიგურის სარბიელიდან ჩამოცილების კამპანია ამ ლოგიკაში აშკარად ზის. მით უფრო, რომ ერთიც და მეორეც ოპონენტებს საპრეტენზიო მიზეზს არასოდეს ულევდა, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში: ასლანიკაშვილი საკმაოდ "მსუბუქ" დამოკიდებულებას იჩენდა საბიუჯეტო კრიზისის მიმართ, თემურ ძიძიგური კი მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი "ნაკერებზე იხეოდა", იერუსალიმში წმინდა ცეცხლის გადმოსვლის ცერემონიალის უსაფრთხოებას იცავდა.

ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, მირიან გოგიაშვილმა ამ კადრებიდან ერთი უკვე დაკარგა, მეორის დაკარგვა კი მხოლოდ დროის საკითხია. არადა, ასლანიკაშვილიც და ძიძიგურიც სწორედ ის ფიგურები არიან, ვინც ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სწორედ გოგიაშვილთან ერთად მივიდა. ერთი წლის წინ, ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების გაერთიანებით მიღებული უწყების ახალმა შეფმა მირიან გოგიაშვილმა პირველ პოზიციებზე სულ ოთხი ახალი სახე მიიყვანა: ლევან ჩრდილელი, ლაშა ჟვანია, ალეკო ასლანიკაშვილი და თემურ ძიძიგური. ორი უკანასკნელი, პრაქტიკულად, უკვე სისტემიდან წასულია და მათი ფაქტობრივი შემცვლელები (დავით თარხან-მოურავი და ნუგზარ კახნიაური) გოგიაშვილის გუნდს გაცილებით ნაკლები დოზით ეკუთვნიან, ვიდრე წინამორბედები. რაც შეეხებათ ლევან ჩრდილელს და ლაშა ჟვანიას, ისინი გოგიაშვილის მოადგილეების ამპლუაში აგრძელებენ მუშაობას, საბაჟოსა და საგანგებო ლეგიონის მუშაობას უშუალოდ არ აკონტროლებენ და მხოლოდ მათი ნომინალური ზედამხედველის ფუნქციით იფარგლებიან.

სავარაუდოდ, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო იკლებს ფინანსური პოლიციის შექმნის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც. საფინანსო პოლიციის შექმნის აქტიურად მოსურნე ფინანსთა მინისტრს წინააღმდეგობა უკვე არა მარტო ძალოვანი უწყებების, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურებისა და პირებისგანაც შეხვდება. ცხადია, ეს არ იქნება ღია დაპირისპირება, როგორც მიხეილ მაჭავარიანისა და გიორგი გაჩეჩილაძის შემთხვევაში იყო. დაპირისპირებას უფრო ფარული ხასიათი ექნება და აქამდე გამოთქმული ინიციატივების ტორპედირებას დაისახავს მიზნად. ამ პროცესს, ცხადია, მაქსიმალურად წაახალისებენ ძალოვანები და, საბოლოოდ, ფინანსური პოლიციის შექმნის იდეა ან მშვიდად დასამარდება, ან საბოლოოდ ისეთ სახეს შეიძენს, რომ ახალი უწყების შექმნა აბსოლუტურად დაკარგავს აზრს.

საბოლოოდ, მთელი ეს მანიპულაციები მხოლოდ ერთი მიზნით ნაკარნახევს ჰგავს: არჩევნების წელს ხელისუფლებას მაქსიმალურად მორჩილი და იოლად სამართავი ქვეყნის ძირითადი საფინანსო უწყება სჭირდება. ეს არის უმთავრესი და სხვა დანარჩენი მეორე პლანზე იწევს. ყველაფერი რომ ნამდვილად ასეა, იმავე საბაჟოს ხელმძღვანელის ცვლის კონკრეტული მაგალითიც ცხადყოფს. ალეკო ასლანიკაშვილი პოსტზე მანამდე დატოვეს, სანამ სხვა მყუდრო თავშესაფარი არ მოეძებნა. ასე რომ, მოხსნის მიზეზად მისი "უწესობის", "არაკომპეტენტურობისა" და "კორუმპირებულობის" დასახელება მხოლოდ სიტუაციის შელამაზების და მომხდარი ცვლილების "გაპრავების" მცდელობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, როგორ მოხერხდა ასეთი ეპითეტებით შემკული ასლანიკაშვილის პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსნად გადაკვალიფიცირება. მართალია, ის სისტემა, რომელმაც ასლანიკაშვილს მზრუნველი კალთა გადააფარა, არც უწესობასთან, არც კორუმპირებულობასთან და არც არაკომპეტენტურობასთან არ არის მწყრალად, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბაჟოს ყოფილ შეფს ახალ თანამდებობაზე მხოლოდ ამ "ღირსებების" გამო არ გაამწესებდნენ.

ისე, საბაჟოს ყოფილი უფროსების ძალოვანი სტრუქტურებისაკენ გადაქაჩვის ტენდენცია ნამდვილად არახალია. ტრადიციას ამ მხრივაც თენგიზ აბულაძემ ჩაუყარა საფუძველი, როცა საბაჟოს უფროსობიდან საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ვიცე-თავმჯდომარედ გარდაისახა. სიახლე კობა ნარჩემაშვილმა აიტაცა, რომელიც საბაჟოს პირველკაცობიდან ჯერ პოლიციის ვიცე-მინისტრად, შემდეგ კი სულაც მთავარ პოლიცმაისტერად იქცა. დღეს კი ამ ჯაჭვის მორიგ რგოლად ალეკო ასლანიკაშვილი მოგვევლინა, რომელმაც მებაჟის ქუდი საგზაო პოლიციის ვიცე-შეფის ეპოლეტებზე გაცვალა.

საბაჟომ კი შეფების მეორე ათეული "გახსნა". ამ "სეზონურ" სამუშაოზე მივლინებული ახალი კადრი მთელი იმ წარსულისა და ტენდენციების მემკვიდრე გახდა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ასე რომ, დავით თარხან-მოურავი, სარფიანთან ერთად, საკმაოდ სარისკო სკამს მოერგო - სკამს, რომელიც საქართველოში თავის მფლობელს უფრო ხშირად "მოისვრის" ხოლმე, ვიდრე ნებისმიერი სხვა.

კულუარები

# ასლანიკაშვილის მოხსნის ისტორია

მერაბ მეტრეველი

გოგიაშვილსა და ჯორბენაძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე კულუარებში უკვე დიდი ხანია საუბრობენ. თუმცა, რაც ასლანიკაშვილის მოხსნასთან დაკავშირებით მოხდა, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გოგიაშვილს ეს გადაწყვეტილება ჯორბენაძემ, ფაქტობრივად, "ხელების გადაგრეხვით" მიაღებინა.

ასლანიკაშვილის გადადგომაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ საუბრობდნენ. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მას განცხადება დაწერილი ჰქონდა, მაგრამ მაშინ გოგიაშვილმა თავისი ფავორიტის დაცვა მოახერხა. გოგიაშვილი ამ თვალსაზრისით კერკეტი კაკალი გამოდგა - იგი არავის ცნობს პრეზიდენტის გარდა. მიუხედავად ამისა, ასლანიკაშვილის წინააღმდეგ წინა თვეებში დაწყებული კამპანია ჯორბენაძემ მაინც გააგრძელა. საამისო მიზეზი მას ჰქონდა - აპრილის ბიუჯეტი გაირღვა. როგორც კანცელარიის კულუარებში ამბობენ, სახელმწიფო მინისტრმა, როგორც კი ბიუჯეტის მონაცემები გახდა ცნობილი, დაურეკა გოგიაშვილს და კოლეგიის სასწრაფო წესით ჩატარება მოსთხოვა. წინა თვის გამოცდილებიდან გამომდინარე, გოგიაშვილმა კარგად იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა და ჯორბენაძეს უარი შეუთვალა. მიზეზად მოუცლელობა დაასახელა. ჯორბენაძე ამან, შეიძლება ითქვას, წყობიდან გამოიყვანა და გოგიაშვილს კოლეგიის ჩატარება უკვე თავის კაბინეტში მოსთხოვა. მაგრამ გოგიაშვილი არც ამ მითითებას დაემორჩილა. სახელმწიფო მინისტრმა ჯიქურ რომ ვერაფერი გააწყო, შემოვლით გზას მიმართა. საქმე პრეზიდენტთან გაჩარხა. ფინანსთა მინისტრს უკვე პირადად პრეზიდენტმა დაურეკა და ასლანიკაშვილის მოხსნა მოსთხოვა და ... გოგიაშვილის სიმტკიცე უკვალოდ გაქრა. ასლანიკაშვილმა განცხადება დაწერა.

# პრეზიდენტს თავისი ქვეყნის ნორმალურობაში ეჭვი ეპარება

პირველი გვერდიდან

ფოთება. შევარდნაძემ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების მიერ ამ დღეებში კანცელარიასთან გამართული საპროტესტო აქცია გააკრიტიკა, - "**როდესაც თბილისის მერიას "ეი-ეს თელასთან" პრობლემები შეექმნა და მეტროპოლიტენი და წყალკანალი დავალიანებებს ვერ იხდიდნენ, ცენტრალურმა ბიუჯეტმა ქალაქი მდგომარეობიდან გამოიყვანა. მეორე დღეს საკრებულოში ამბობდნენ, ჩვენმა აქციამ შევარდნაძე შეაშინა და მეტრო არ გათიშესო. რა უბედურებაა ეს?"**

პრეზიდენტმა რეგიონების ხელმძღვანელთა და დედაქალაქის მერის გასაგონად ბრძანა, რომ ისინი ფლობენ დიდ რეზერვებს, რომელთა ამოქმედებაც აუცილებელია. სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაციით, თბილისში ყოველდღიურად სავაჭრო მოსაკრებლების სახით 175 ათასი ლარი იკარგება. დედაქალაქის მერი ამ ფაქტს აპროტესტებს: **"აბსურდია. ეს იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ, ორი "დინამოს" სტადიონი დგას სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვინც ხელისუფლებას ეს ინფორმაცია მიაწოდა, იმან დათვლაც უნდა იცოდეს... კანცელარიამ და სხვადასხვა სამინისტროებმა პრეზიდენტს სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ჩვენ ფედერალური ბიუჯეტის ვალი არ გაგვაჩნია. პირიქით, ფედერალურ ბიუჯეტს აქვს წლების მანძილზე დაგროვილი დედაქალაქის ვალი."**

სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ შარშანდელ ბიუჯეტში შესული არასაგადასახადო შემოსავლების შესახებ ანგარიში წარადგინა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაობა უარყოფითად შეაფასა. **"არასაგადასახადო შემოსავლების სახით, 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გათვალისწინებული იყო 175,2 მლნ ლარი. მობილიზებულ იქნა 130, 1 მლნ, რაც გეგმის 74, 2 პროცენტს შეადგენს".** საბიუჯეტო ორგანიზაციებმა არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა მხოლოდ 62, 2 პროცენტით შეასრულეს. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების უმეტესობამ გეგმა ვერ შეასრულა. დასავლეთ საქართველოს 28 ქალაქიდან და რაიონიდან 18-მა გეგმა ვერ შეასრულა. კონტროლის პალატის სპეციალურ დასკვნაში ვკითხულობთ: **"არასაგადასახადო შემოსავლების პერმანენტული შეუსრულებლობის მიზეზია ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების სისუსტე და უუნარობა, უზრუნველყონ შემოსავლების მობილიზაცია... უყურადღებოდაა დატოვებული სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან დივიდენდების ამოღება, რის გამოც საწარმოთა მოგებები სახელმწიფოსგან დაუკითხავად ნაწილდება და ბიუჯეტში თანხები არ შედის."**

ისაკაძის განცხადებით, ქვეყნის საფინანსო სისტემაში საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთი მთავარი რეზერვი - არასაგადასახადო შემოსავლები - თვითდინებაზეა მიშვებული. **"ქვეყნის ფინანსური და საბიუჯეტო პრობლემების დაძლევის საქმეში დამკვიდრებული უმოქმედობისადმი შემრიგებლურ დამოკიდებულებას ავლენენ ისეთი სამსახურები, რომელთაც მკაცრი საფინანსო პოლიტიკის გატარება ევალებათ. მათ შორის არის ფინანსთა სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურები",** - იუწყება კონტროლის პალატა თავის ანგარიშში.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ მთავრობას 1998-2002 წლებში საპენსიო და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების სფეროში დაგროვილი დავალიანებების დაფარვის რამდენიმე მექანიზმი გააცნო. პრეზიდენტმა ბრძანა, რომ იგი ამჯერად ამ საკითხის გადასაწყვეტად მზად არ არის. შევარდნაძემ აღმასრულებელ ხელისუფლებას კონკრეტული პროგრამის წარდგენა დაავალა, რომელსაც უახლოეს დღეებში, მთავრობის სპეციალურ სხდომაზე განიხილავენ.

# საქართველო - ნატო-სკენ: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

პირველი გვერდიდან

გეგმის ბედი, რომელიც, თავის მხრივ, ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიას განსაზღვრავს. დარჩენილ დროში ბრიუსელს ესაჭიროება ზუსტი სურათის ცოდნა, თუ რას წარმოადგენენ საქართველოს შეიარაღებული ძალები, რა სტადიაშია პარტნიორობის იმ 29 მიზნის განხორციელების პროცესი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1999 წელს მოაწერა ხელი. მასში შედიოდა სამშვიდობო პროფილის ბატალიონისა და საინჟინრო ოცეულის ჩამოყალიბება, ოპტიკური და ღამის ხედვის ხელსაწყოებით ქვედანაყოფის აღჭურვა, სტრუქტურული რეფორმების განხორციელება, ნატო-ს შტაბებში ქართველი ოფიცრების გაგზავნა და სხვა მრავალი. მაგრამ ხუთწლიანი პერიოდი გასვლის შემდეგ ირკვევა, რომ არც ერთი ეს ვალდებულება ბოლომდე არ არის შესრულებული, უმეტესობა კი, დაუფინანსებლობის გამო, არც დაწყებულა. ასე რომ, ქართველ ექსპერტებს სანუგეშოდ კვლავ ორმხრივი თანამშრომლობის ფაგრლებში დაფინასებული პროგრამები რჩებათ, რაც სულაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ნატო-მ თავის სრულუფლებიან პარტნიორად გაღიაროს.

მარტო პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოს თავდაცვის ხარჯები, ცენტრალური ბიუჯეტიდან მხოლოდ 60 პროცენტით არის დაფინასებული და ეს ხდება იმ წელს, რომელიც, ხელისუფლების აღირებით, გადამწყვეტი უნდა გახდეს ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლის თვალსაზრისით. უბიუჯეტოდ დარჩენილ ქართველ სამხედროებს, ოთშაბათს ნატო-ს დელეგაციის ხელმძღვანელიც გამოექომაგა.

**"საქართველოს თავადაცვის მინისტრთან და სხვადახვა სახეობის ჯარების სარდლებთან შეხვედრის დროს, ჩვენ ვილაპარაკეთ სამხედრო ბიუჯეტზე და აღვნიშნეთ, რომ თავდაცვის ბიუჯეტი კარგად უნდა იყოს დაგეგმილი და სრულდებოდეს განუხრელად. წინააღმდეგ შემთხევაში, წარმოუდგენელია, რომ ნებისმიერმა ორგანიზაციამ, მით უფრო სამხედრო უწყებამ შეძლოს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება,"** - განაცხადა პრესკონფერენციაზე ნატო-ს თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა ფრენკ ბოლდიმ. თუმცა, დიპლომატიური ეტიკეტის გამო, მან საბოლოოდ მაინც არ გადაუწურა იმედი ქართველ ჟურნალისტებს და განაცხადა, რომ სამხედრო მოკავშირეების დახმარებით განხორციელებული პროექტები, მათ შორის "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, კარგი წინაპირობაა იმსითვის, რომ სამხედროებმა ოპტიმისტურად უყურონ მომავალსო.

თუმცა, რაც უფრო ახლოვდება 22 მაისი - გაწევრიანების ინდივიდუალური სამოქმედო პროგრამის ნატო-ს შტაბ-ბინაში განხილვის თარიღი, საქართველოს სამხედრო უწყებაში სულ უფრო ცხადად აცნობიერებენ, რომ არსებული დაფინასების პირობებში ქვეყანა სერიოზული ვალდებულებების შესრულებას ვერ მოახერხებს.

**"ნატო-ს დელეგაციის წევრებს ჩვენ მივაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება არმიის დაფინანსების მდგომარეობა და მინდა გულწრფელად ვთქვა, რომ ვითარება ნამდვილად არ არის სახარბიელო. შარშანდელის მსგავსად, წელსაც, ბევრი მნიშვნელოვანი პროგრამის (მაგალითად საჰაერო სივრცის კონტროლის) გრაფაში კვლავ ნულიანი ზის. რასაკვირველია, დაფინასების ასეთი დინამიკა სერიოზულ პრობლემებს შექმნის ამ რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით,"** - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი.

# პარლამენტი საკუთარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ

გუშინ პარლამენტმა გაიზიარა პრეზიდენტ შევარდნაძის შენიშვნები და გააუქმა საკუთარი გადაწყვეტილება მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების თაობაზე. დღეს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, რომლის თანახმად, მინიმალური ხელფასი 20-დან 35 ლარამდე გაიზრდება. 28 თებერვალს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას გუშინ 104-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ 34 იყო წინააღმდეგი.

ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ ეჭვი შეიტანა კენჭისყრის შედეგებში და მათი გამოქვეყნება მოითხოვა. **"დღევანდელმა პლენარულმა სხდომამ დაადასტურა, რისთვის იღწვიან სახელისუფლებო ფრაქციები - ხალხისთვის თუ პრეზიდენტისთვის",** - განაცხადა ბარამიძემ. **ინტერ-პრესი**

# პარლამენტმა სამხედრო ბეგარა არ გაზარდა

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის გუშინდელი დილის პლენარული სხდომა მთლიანად კენჭისყრების პროცედურას დაეთმო. დეპუტატებმა, დაახლოებით, 40-მდე კანონპროექტს უყარეს კენჭი და ისინი, ძირითადად, ერთხმად მოიწონეს.

მხარდაჭერილ დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია კანონპროექტები "იარაღის შესახებ", "კვების პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ", დადგენილების პროექტი "ერაყში ომის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის შესახებ" და ა.შ. ამასთან, რატიფიცირება გაუკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას, კერძოდ, "საქართველოსა და აშშ-ს შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის პირთა გადაცემის შესახებ" შეთანხმებას, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტს შორის ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებას და სხვ.

გუშინვე პარლამენტის გადაწყვეტილებით, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, - 12 მაისი - უქმედ და დასვენების დღედ გამოცხადდა.

სამაგიეროდ, პოლემიკა გამოიწვია "სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ" მოქმედ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტმა. როგორც ცნობილია, ამჟამინდელი კანონმდებლობის თანახმად, სამხედრო სამსახურის გადავადების ბეგარის ოდენობა 200 ლარით განისაზღვრება, შემოტანილი კანონპროექტი კი მის 600 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებდა. დეპუტატების მოთხოვნის საფუძველზე, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა დღის წესრიგიდან მოიხსნა და მოქმედი ნორმა ძალაში დარჩა.

სკანდალური ისტორიების შემდეგ, პარლამენტში კანონშემოქმედებითი პროცესის გამოცოცხლებამ პარლამენტის სპიკერი აღტაცებაში მოიყვანა. **"სიწყნარეს და მშვიდ მუშაობას გადავეჩვიეთ. ძლივს დადგა დრო, როდესაც პარლამენტმა ნორმალურად დაიწყო საქმიანობა,"** - "გამოსწორების გზაზე" დამდგარი "ქვეშევრდომებით" აღფრთოვანებას ვერ მალავდა გუშინ ნინო ბურჯანაძე. საინტერესოა, რამდენ ხანს გასტანს სპიკერის "ნეტარება".

# თედო ჯაფარიძე თანხებს ითხოვს

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის გასაგრძელებლად საჭირო თანხების უახლოეს დღეებში გამონახვას მოითხოვს და აცხადებს, რომ შესაძლოა დაუფინანსებლობამ წამოწყებული ოპერაციები შეაფერხოს და ხეობაში მყოფი შინაგანი ჯარის დანაყოფებისა და პოლიციის თანამშრომლებს პრობლემები შეუქმნას.

თედო ჯაფარიძის განცხადებით, პანკისი ხეობაში მიმდინარე ოპერაცია იმ კატეგორიის ოპერაციაა, რომლის წარმატებით დასრულება სახელმწიფოს ინტერესებში შედის და მიაჩნია, რომ **"თუ მთავრობამ გადადგა ნაბიჯი და ეს ოპერაცია დაიწყო, მასში მონაწილე ყველა შესაბამისმა უწყებამ საჭირო დაფინანსება დროულად უნდა მიიღოს".** აღსანიშნავია, რომ ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ეტაპის გაგრძელებისათვის კიდევ 7 მილიონი ლარია საჭირო. ამ თანხის სრულად გამოყოფაზე ფინანსთა სამინისტრო უარს აცხადებს და პროგრამის მხოლოდ ეტაპობრივ დაფინანსებაზე თანხმდება. **მედია-ნიუსი**

# არჩევნების მოახლოება სახელფასო და საპენსიო დავალიანებებს გაზრდის

ფინანსთა სამინისტრომ დღეს, როგორც იქნა, გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტის აპრილის შესრულების მაჩვენებლები, თუმცა მთავრობამ საკადრო გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ გუშინ მიიღო. შესაბამისად, მთავრობამ მშვენივრად იცოდა შემოსავლების მაჩვენებლები, მაგრამ არ აქვეყნებდა. პრინციპში, გამოსაქვეყნებელი არც არაფერი იყო.

ექვსი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ, შემოსავლების ნაწილში, პროგნოზირებულის 57 პროცენტი შეადგინა, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტისამ - 56 პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თვის ბოლო დღეს ბიუჯეტის შესასრულებლად გამოყენებული იქნა 7.12 მილიონი ლარის ხარჯები. ნათელია, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, არა მარტო გართულდება საგადასახადო შემოსავლების მობილიზება, არამედ შემცირდება არასაგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების მობილიზების მაჩვენებელიც. **კვლავ გავიმეორებთ ჩვენს პროგნოზს - არჩევნებისათვის დაცულ მუხლებში (ხელფასები, პენსიები, სოციალური პროგრამები, ჯანდაცვისა და განათლების ხარჯები) დაგროვდება დავალიანებები 50 მილიონი ლარის ოდენობით.**

წინა თვეში, მთავრობას მოუხდა ეროვნული ბანკის მიმართ დავალიანების დაფარვა 2 მილიონი ლარის ოდენობით, იმის გამო, რომ ეჯასტორით გათვალისწინებული საგარეო ვალის დაფარვისა და მომსახურების პროგრამები არ დააფინანსა.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 1 მაისისთვის

ცხრილი №1
მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის პროგრამა | ოთხი თვის პროგრამა | შესრულება | % წლის პროგრამასთან | % ოთხი თვის პროგრამა |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 521.2 | 297.76 | 26% | 57% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 376.49 | 212.63 | 26% | 56% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 310.64 | 178.65 | 27% | 58% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.36 | 25.66 | 33% | 71% |
| გრანტები | 95.4 | 26.43 | 8.315 | 9% | 31% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 72.5 | 30% | 62% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 12.78 | 26% | 53% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 118.66 | 78.5 | 33% | 66% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 8.46 | 100% | 100% |
| სახაზინო ვალდებულებების შემოსავალი | 22 | 13.5 | 13.3 | 60% | 99% |
| ეროვნული ბანკის სესხი | 40 | 29.54 | 17.51 | 44% | 59% |
| ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხი | | | 0 | | |
| პრივატიზაციის შემოსავალი | 41.5 | 9.51 | 4.12 | 10% | 43% |
| საინვესტიციო კრედიტები | 127.8 | 57.61 | 35.11 | 27% | 61% |

| დასახელება | წლის პროგრამა | ოთხი თვის პროგრამა | შესრულება | % წლის პროგრამასთან | % ოთხი თვის პროგრამა |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 260.3 | 163.46 | 32% | 63% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 181.04 | 91.45 | 24% | 51% |

## ინფორმაცია

საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (CERMA) პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, ითვალისწინებს მცირე სასტუმროების რესტრუქტურიზაციის პროგრამის განხორციელებას. ამ მიზნით CERMA-მ შეარჩია სასტუმროები “მეტრო 1” და “მეტრო 2”. პროექტის ფრგლებში CERMA-ს მიერ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა ჩაატარეს სასტუმროების ხარისხის, უსაფრთხოების და ჰიგიენური მდგომარეობის აუდიტი, რის საფუძველზეც სასტუმრო “მეტროს” ჯგუფმა მიიღო ბრიტანეთის გარემოს გაჯანსაღების ლიცენზირებული ინსტიტუტის (CIEH) სერტიფიკატი.

სასტუმროებმა “მეტრო 1” და “მეტრო 2” გაიარეს რამდენიმე ეტაპიანი აუდიტი, მიიღეს რეკომენდაციები, რომლის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი ჰიგიენური მდგომარეობა. საქართველოში აღნიშნული საერთაშორისო სერთიფიკატი პირველად ამ სასტუმროებმა მიიღეს. **"24 საათი"**

# მთავრობა "ეი-ი-ეს"-ს საქმეს "ურჩევს"

მაია ურუშაძე

*გუშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში ქართულ მხარესა და ამერიკულ კორპორაცია "ეი-ი-ეს"-ს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გასარკვევად შექმნილი "შემთანხმებელი კომისიის" პირველი სხდომა გაიმართა. სადავო საკითხთა ნუსხაში შევიდა 20 საკითხი, რომელიც კომისიამ 10 დღის ვადაში უნდა განიხილოს. ამ საკითხთაგან 7 - მთავრობის ინიცირებულია, 2 – მხარეების ერთობლივი დაინტერესების საგანს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 11 – "ეი-ი-ეს"-ის მხრიდან არის წამოჭრილი. კომისიას, რომელშიც ქონების მართვის, ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროების, კონტროლის პალატის, სემეკ-ის, საბითუმო ბაზრის, "ეი-ი-ეს თელასის", "ეი-ი-ეს მტკვარისა" და სხვა უწყებათა წარმომადგენლები შედიან, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა ხელმძღვანელობს.*


იგნასიო ირიბარენი.

სახელმწიფო კომისიის დღის წესრიგში პირველ საკითხად საგზაო ფონდის მიერ "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშის დაყადაღება შევიდა. ბორის სარალიძის უწყება პოზიციების დათმობას არ აპირებს და დაჟინებით ითხოვს, რომ "თელასმა" საგზაო ფონდში შემოსავლის 1 პროცენტი იხადოს, ნაცვლად მისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული 0,1 პროცენტისა. **"სემეკ-მა ტარიფში ეს გადასახადი 1-პროცენტიანი განაკვეთით გაითვალისწინა. ამდენად, "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებულია, ამავე განაკვეთით იხადოს,"** – აკონკრეტებენ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში.

მთავრობის მიერ ინიცირებულ საკითხთა შორისაა საქართველოს გაზის კორპორაციის მიმართ "ეი-ი-ეს მტკვარის" დავალიანების საკითხიც. როგორც ირკვევა, "ეი-ი-ეს მტკვარს" კორპორაციისთვის არ გადაუხდია ბუნებრივი აირის რუსეთის საზღვრიდან თბილსრესამდე ტრანზიტის ღირებულება.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო "ეი-ი-ეს"-ს იმ საკომპენსაციო თანხის ნაწილსაც ედავება, რომელიც მთავრობამ ამ წლის დასაწყისში კომპანიაში ტარიფის გაზრდით გამოწვეული სხვაობის საკომპენსაციოდ გადაურიცხა. "ეი-ი-ეს"-ი თანახმაა, გადაიხადოს ეს თანხა, ოღონდ ფინანსთა სამინისტროს მის "ჩათვლას" სთხოვს.

ქონების მართვის სამინისტროს "ეი-ი-ეს"-თან ორი პრეტენზია აქვს: პირველი პრეტენზია "ეი-ი-ეს მტკვარის" მიერ მე-11 ენერგობლოკის საიჯარო ღირებულების – წლიური 150 ათასი დოლარის გადაუხდელობას ეხება (როგორც ცნობილია, დაუმთავრებელი მე-11 ენერგობლოკი "ეი-ი-ეს მტკვარმა" იჯარით აიღო და, როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, მე-9 ბლოკის სათადარიგო ნაწილებად იყენებს). მეორე პრეტენზია "ეი-ი-ეს ხრამის" მიერ რეაბილიტაციის პროგრამის შეუსრულებლობას ეხება. სათბობ-ენერგეტკის მინისტრის მოადგილე მერაბ კვეკვესკირი აზუსტებს, რომ **"ამ დავაში მესამე მხარედ ჩართულია იაპონური ბანკი "ჯი-პი-აი". სწორედ მისი კრედიტი უნდა აეთვისებინა "ეი-ი-ეს ხრამს". ჩვენი პოზიციაა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვესტირებისა და რეაბილიტაციის ვადები უნდა შესრულდეს."**

"ეი-ი-ეს"-თან საბითუმო ბაზარს სამი საკითხი აქვს გასარკვევი: მას "ეი-ი-ეს თელასთან" გადახდების მიმდინარეობისა და შედარების აქტების შედგენის საკითხები აწუხებს; ხოლო "ეი-ი-ეს მტკვართან" კი საბითუმო ბაზარზე დარიცხული ჯარიმების – 16 მილიონი ლარის საკითხი უნდა გაარკვიოს.

"ეი-ი-ეს თელასის" მიერ ძველი დავალიანების მოთხოვნის შესახებ საუბრობენ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები. "ეი-ი-ეს თელასში" ამტკიცებენ, რომ კომპანია ძველ დავალიანებებს არ ითხოვს. ფინანსთა სამინისტრო კი მას სწორედ ამ ძველი დავალიანებების მოთხოვნის გამო პერიოდულად აკრიტიკებს.

რაც შეეხება თავად "ეი-ი-ეს"-ის მიერ ინიცირებულ საკითხებს, მისი პრეტენზიების ძირითადი ობიექტი ფინანსთა სამინისტროა. **"ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალური ინტერპრეტაციის გამო წარმოშობილი პრობლემები"** – ასეთი ფორმულირებით შევიდა კომისიის დღის წესრიგში იმ პერმანენტული საგადასახადო დავების ერთობლიობა, რის გამოც ამ ბოლო დროს "ეი-ი-ეს"-ის ანგარიშს ყადაღა ადევს, დედაქალაქის სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტები კი გათიშვის საშიშროების წინაშე დგას.

"ეი-ი-ეს"-ს აღელვებს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო შეღავათების ბიუჯეტიდან ანაზღაურების ვადების დარღვევაც. გარდა ამისა, კომპანიას ფინანსთა სამინისტროსგან ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ზამთრის გათბობის პროგრამით გადმორიცხული თანხიდან დარჩენილი კუთვნილი მილიონ ორასი ათასი ლარის მიღება სურს.

კომისია ასევე განიხილავს "ეი-ი-ეს თელასისათვის" ელექტროენერგიის, ხოლო "ეი-ი-ეს მტკვრისათვის" გაზის კომერციული დანაკარგების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხსაც. ხოლო ქონების მართვის სამინისტროს იმის ახსნა მოუწევს, თუ რატომ არ გადაეცა "ეი-ი-ეს თელასს" ის აქტივები, რომელსაც კომპანია საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულების გაფორმებიდანვე – 1999 წლიდან ითხოვს.

# საგადასახადო დეპარტამენტი და "თურქეთის ავიახაზები" 400 ათას ლარზე დავობენ

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ უზენაეს სასამართლოში ავიაკომპანია “თურქეთის ავიახაზებისა" და საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის სასამართლო პროცესი განახლდა. შეგახსენებთ, რომ საგადასახადო დეპარტამენტი თურქულ ავიაკომპანიას ამჯერად მოგების გადასახადის გადაუხდელობის გამო დაგროვილ 400 ათას ლარს ედავება. საერთო ჯამში კი, დეპარტამენტის წარმომადგენლის ვალერი ხანაშვილის განცხადებით, "თურქეთის ავიახაზებს" 15 მილიონ ლარზე მეტი დავალიანება აქვს. მისივე თქმით, ქართული ავიაკომპანია "ორბი" თავის დროზე თურქეთის მთავრობას ასეთ გადასახადს უხდიდა, რაც დოკუმენტაციით არის დადასტურებული. დღეს კი, როცა "თურქეთის ავიახაზების" კანონიერი დაბეგვრის საკითხი დადგა, თურქეთის ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს "ორბის" მიერ გადახდილი თანხები საქართველოში დააბრუნოს. საქართველოს საგარეო უწყებამ მაშინ არ შეასრულა თავისი ფუნქცია და არ დაიცვა "ორბის" ინტერესები. უფრო მეტიც, თურქული ავიაკომპანიის ადვოკატის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, მთელი გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანა თურქული მხარე და აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ აცნობა. მოგების გადასახადის გადაუხდელობის მოტივად "თურქეთის ავიახაზების" ხელმძღვანელობა სწორედ ამ ხელშეკრულებას ასახელებს. საქართველოს პარლამენტს კი მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ "თურქეთის ავიახაზების" ფუნქციონირების დაწყების დროს - 1996 წელს, საერთაშორისო ხელშეკრულება მართლაც არ იყო ძალაში? დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, მაშინ თურქული ავიაკომპანიის ხელმძღვანელობას მილიონობით ლარის გადახდა და იმის გადაწყვეტა მოუწევს, დატოვოს თუ არა ქართული ავიაბაზარი.

აღსანიშნავია, რომ 1992 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის ხუთი ხელშეკრულება დაიდო, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ საჰაერო მიმოსვლების შესახებ ხელშეკრულება გახლდათ და იგი დღემდე არ არის რატიფიცირებული. დანარჩენი ოთხი ხელშეკრულების რატიფიკაცია კი შორეულ წარსულშივე, 1994 წელს განხორციელდა. ამ და სხვა მიზეზების გარკვევა უზენაეს სასამართლოს მოუწევს, რადგან სასამართლომ საქმის განხილვა 28 მაისისათვის გადადო პროცესზე წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების გაცნობის მიზნით.

გაურკვევეი რჩება იმ მოქალაქეების ბედი, რომელთაც სამგზავრო ბილეთები "თურქეთის ავიახაზების" ფრენის შეწყვეტამდე აქვთ აღებული. ავიაკომპანიაში აცხადებენ, რომ მოქალაქეებს თანხა არ დაუბრუნდებათ, მაგრამ სხვა ავიაკომპანიების რეისებით მათი გამგზავრების საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

## მოკლედ

**თბილისი.** საგადასახადო დეპარტამენტს დღეისათვის 153 ურჩი გადამხდელი საწარმოს ქონება აქვს დაყადაღებული და თუ განსაზღვრულ დრომდე დავალიანება არ იქნება გადახდილი, მაშინ იგი სასამართლო პროცედურების გავლის შემდეგ აუქციონის წესით გაიყიდება. დღეისათვის უკვე 36 აუქციონია გამართული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს პარლამენტი დაეთანხმა პრეზიდენტის შენიშვნებს, რომელიც ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ კანონის ვადის ამოქმედების გადატანას 2005 წლის 1 ივლისამდე. კანონის ამოქმედება კი მიმდინარე წლიდან იგეგმებოდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ალმა-ატა.** საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-ი დსთ-ს ქვეყნებში აპირებს ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეაგროვებენ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. ამის თაობაზე ალმა-ათაში განაცხადა TI-ს მმართველობის თავმჯდომარემ პიტერ აიგენმა. აიგენის ცნობით, TI ამუშავებს სპეციალურ კოდექსს კომპანიებისათვის იმ ქვეყნებში მოღვაწეობის შესახებ, სადაც ისინი თავიანთ ოპერაციებს ახორციელებენ. მსოფლიოს ქვეყნებში კორუფციის აღქმის ინდექსის ყოველწლიურ რეიტინგში, რომელშიც Transparency International -მა 2002 წლის შედეგები გამოაქვეყნა, საქართველომ 102 სახელმწიფოს შორის 85-ე ადგილი დაიკავა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სს "თბილგაზის" დავალიანების საკითხი სასწრაფოდ გადასაწყვეტია," - განაცხადა საქართველოში კომპანია "იტერას" წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ და დასძინა, რომ "იტერას" სათავო ოფისი იძულებული იქნება კვლავ სადამსჯელო ღონისძიებები გაატაროს, თუ დავალიანება 9 მაისის შუადღემდე არ იქნება გადახდილი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსაკრებლების დაწესებისა და უკვე არსებულების გაზრდის ინიციატივით გამოვიდა. თავის რეგიონში ჯიქია მოსაკრებლის დაწესებას თხილის წარმოებაზე აპირებს. "რეგიონში დაახლოებით 10 ათასი ტონა თხილი იწარმოება. მოსაკრებლები რომ 2-3 თეთრით მაინც განვსაზღვროთ, ბიუჯეტი საკმაოდ დიდ შემოსავალს მიიღებს," - განმარტა მან. **ინტერ-პრესი**



# ჰუსეინი ერაყელებს "საიდუმლო გზით" ბრძოლისაკენ მოუწოდებს



REUTERS

შოთა უტიაშვილი

"დიდი ერაყიდან მე მოგმართავთ თქვენ საიდუმლო გზებით, რათა გითხრათ ყველას, არაბსა თუ ქურთს, სუნიტსა თუ შიიტს, მუსულმანსა თუ ქრისტიანს, დღეიდან თქვენი მთავარი ამოცანაა, განდევნოთ მტერი თქვენი სამშობლოდან," – ნათქვამია სადამ ჰუსეინის აუდიო მიმართვაში, რომელიც გუშინ გავრცელდა.

კასეტა, რომელზეც მიმართვის ტექსტია ჩაწერილი, შემთხვევით აღმოჩნდა ავსტრალიური გაზეთის, "სიდნეი მორნინგ ჰეროლდის" ხელთ. ბაღდადში მყოფი კორესპონდენტის, ედ ო`ლაფლინის თქმით, მათ მანქანას, რომელსაც გარკვევით ეწერა "პრესა," გუშინ ორი ერაყელი მიუახლოვდა, რომლებმაც "ალ-ჯაზირას" და "ალ-არაბიას" მისამართები იკითხეს.

როდესაც თარჯიმანმა მათ სასტუმრო "პალესტინისაკენ" მიუთითა, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცებით იყო გარშემორტყმული, ერაყელებს აშკარად ნერვებმა უმტყუნათ და უკან გაბრუნდნენ. ბოლოს მათ კასეტა მაინც თარჯიმანს გადასცეს და სთხოვეს, როგორც "ნამდვილ ერაყელს", მასზე არსებული ჩანაწერი გამოექვეყნებინა.

ჩანაწერში სადამის ხმა საუბრობს ერაყის ოკუპაციაზეც, თუმცა აცხადებს, რომ ამ თემის დეტალებში ჩაღრმავება არ სურს, რადგან ახლა მთავარი მტრის განდევნაა. იგი ერაყელებს "საიდუმლო ფრონტზე" ბრძოლისაკენ მოუწოდებს, და მადლობას უხდის "მისი დაბადების დღის აღნიშვნისათვის".

ლაფლინის თქმით, მან მაშინვე გადაწყვიტა ჩანაწერის ნამდვილობის შემოწმება და იგი ქალაქში, პატარა ჯგუფებად შეკრებილი ხალხის შორიახლოს დაატრიალა. ხმა იმდენად წააგავდა სადამისას, რომ ხალხმა იფიქრა, მათი ყოფილი პრეზიდენტი რომელიმე რადიოარხზე საუბრობდა. თარჯიმანმა, რომელმაც კასეტა მიიღო, განაცხადა, რომ როგორც ჩანაწერის გადმომცემი, ისე ხმა ფირზე, ძლიერი ტიკრიტული (სადამის მშობლიური ქალაქი) აქცენტით საუბრობდა.

ოფიციალურად, ჩანაწერის ნამდვილობა დადასტურებული არ არის, თუმცა თითქმის ყველა, ვისაც სადამის ხმა მოუსმენია, ამტკიცებს, რომ ეს ის არის.

პრინციპში, სადამის ჩანაწერის გამოჩენა მოულოდნელობად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან უკანასკნელ ხანს სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ დიქტატორი ცოცხალია და იგი ერაყში იმყოფება.

ჩანაწერში სადამი აცხადებს, რომ მან ადრეც არაერთი მიმართვა გააკეთა, მაგრამ, რადგან "მსოფლიო პრესა სიონისტების ხელშია", მისმა ღაღადმა ადრესატებამდე ვერ მიაღწია.

ახლა მთავარი ის არის, რამდენად აჰყვება ხალხი სადამის მოწოდებას. ამერიკელი სამხედროები ერაყის ქალაქების მხოლოდ 2/3-ში იმყოფებიან. თანაც, ერაყელების ნაწილი უკვე აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას. მაგრამ, უკმაყოფილოთა შორის, ძირითადად, შიიტები არიან, რომლებიც ჰუსეინს თავიანთ ყველაზე მთავარ მტრად მიიჩნევენ.

ვარაუდობენ, რომ ჰუსეინისათვის ისევე რთული იქნება წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანება, როგორც ამერიკელებისათვის - ახალი, კონსენსუსზე დაფუძნებული მთავრობის შექმნა.

# აშშ-ს სამთავრობო კონტრაქტებმა ეჭვები აღძრა

ერაყის ომის დასრულების შემდეგ, შეერთებულ შტატებში დამარცხებული ქვეყნის აღდგენისათვის გამოყოფილი ასეულობით მილიონი დოლარის განაწილებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამერიკის ხელისუფლებამ ბუშის ადმინისტრაციასთან დაახლოებულ რამდენიმე ფირმას მსხვილი კონტრაქტები ტენდერების გარეშე გაუფორმა.

ბუშის ოპონენტების თქმით, ბევრ კითხვას ბადებს "ჰალიბარტონისათვის" გაფორმებული კონტრაქტი, რომლის თანახმად, მას ერაყის ნავთობის საბადოები დასამუშავებლად გადაეცა. ამ ფირმის აღმასრულებელი დირექტორი კი თავის დროზე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი იყო.

აღნიშნული კონტრაქტი ჯერ კიდევ მარტში გაფორმდა, როდესაც ომი არ იყო დამთავრებული. რამდენიმე კანონმდებელმა, მათ შორის, რესპუბლიკელმა ჰენრი ვექსმანმა განაცხადა, რომ "ჰალიბარტონისათვის" კონტრაქტის გაფორმება დიკ ჩეინისთან ფირმის კავშირებით იყო განპირობებული.

აშშ-ს არმიის გენერალ-ლეიტენანტმა რობერტ ფლაუერსმა კონგრესმენს განმარტებითი ბარათი მისწერა. გენერლის მტკიცებით, "ჰალიბარტონს" საბადოებზე ცეცხლის ჩაქრობა, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, მოპოვებითი სამუშაოების განახლება და პროდუქციის გავრცელება ევალება. თუმცა, ფლაუერსს აღარ დაუკონკრეტებია, სამუშაოების განახლებასა და პროდუქციის გავრცელებაში რა იგულისხმება.

ვექსმანმა, თავის მხრივ, შეკითხვა გაუგზავნა ფლაუერს, რატომ არ არის კონტრაქტში გაწერილი სამუშაოების შესრულების განრიგი და მთლიანი ღირებულება. ვექსმანის აზრით, ეს "ჰალიბარტონს" საშუალებას მისცემს, რომ აღდგენითი სამუშაოები გააჭიანუროს და ხარჯები ხელოვნურად გაზარდოს.

გენერალს დამაჯერებელი პასუხები არც ამის შემდეგ გაუცია. ანალოგიური სკანდალი სამშენებლო ფირმა "Bechtel"-თან გაფორმებული კონტრაქტის თაობაზეც აგორდა, რომლის თავმჯდომარე დღევანდელ ადმინისტრაციასთან დაახლოებული, ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცია. ჯერჯერობით, ცალკეული კონგრესმენების განცხადებებსა და პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიებს არანაირი შედეგი არ გამოუღია.

გთავაზობთ იმ კონტრაქტების ძირითად ნუსხას, რომელიც უკვე გაფორმებულია.




# ბუში სანქტ-პეტერბურგის იუბილეზე პუტინს ეწვევა

ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს 1 ივნისს შეხვდებიან – განუცხადა "როიტერს" მაღალი რანგის ამერიკელმა დიპლომატმა. ეს მათი პირველი შეხვედრა იქნება იმ უთანხმოების შემდეგ, რომელიც ორ ქვეყანას შორის ერაყის ომმა გამოიწვია.

მომავალ კვირას სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი მოსკოვს ესტუმრება და სამიტის დეტალებს შეათანხმებს.

ანონიმი დიპლომატის განცხადებით, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები ამჟამად აღმავლობის ფაზაში იმყოფება. "ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ერაყის ომით გამოწვეულმა უთანხმოებამ ხელი შეუშალოს თანამშრომლობას, რომელიც ბოლო ორი წელია, გრძელდება," – დასძინა მან.

ყველაზე მნიშვნელოვან სადავო საკითხს ამჟამად ერაყის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმება წარმოადგენს. შეერთებულ შტატებს სურს, რომ სანქციები რაც შეიძლება სწრაფად გაუქმდეს და ერაყს თავისი ნავთობის თავისუფლად გაყიდვის საშუალება მიეცეს. რუსეთს, ისევე როგორც ომის სხვა მოწინააღმდეგეებს, სურს, რომ გაერო-ს მეშვეობით, ერაყული საწვავის ექსპორტზე კონტროლი შენარჩუნებული იყოს.

"მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე გამოთქვამს სურვილს, საკითხს წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით მიუდგეს, აშკარად ჩანს, რომ ომმა ბევრი უარყოფითი ემოცია დატოვა," – აცხადებს ამერიკელი დიპლომატი.

მისი თქმით, ომის შემდეგ, აშშ რუსეთისადმი უფრო შემრიგებლური იქნება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, რუსეთისაგან ომის მხარდაჭერას არც არავინ მოელოდა, მეორე, საშინაო-პოლიტიკური ვითარება გაცილებით უფრო რთული იყო პუტინისათვის, ვიდრე შირაკისათვის და მესამე, იგი მნიშვნელოვანი მოკავშირეა კავკასიაში მოკალათებული ისლამისტების წინააღმდეგ.

ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ საფრანგეთმა პასუხი უნდა აგოს უშიშროების საბჭოში ვეტოთი მუქარის გამო. ვაშინგტონი, სავარაუდოდ, შეეცდება შეზღუდოს საფრანგეთის მონაწილეობა ნატო-ში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

"ჩვენ გაცილებით ნაკლებს მოველოდით მათგან, ვიდრე ფრანგებისგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კრემლი გაცილებით უფრო მეტ საშინაო ზეწოლას განიცდიდა, ვიდრე ელისეს სასახლე და თანაც, არის ბევრი გრძელვადიანი, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რაშიც რუსეთთან თანამშრომლობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის - ტერორიზმის წინააღმდეგ ომი და არასტაბილური ცენტრალური აზია და კავკასია," – განაცხადა მან.

"ყველა ეს ფაქტორი ჩვენს პოლიტიკაზე აქამდეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მომავალი ერთი-ორი კვირა განსაზღვრავს, შევძლებთ თუ არა ერაყთან დაკავშირებით საერთო აზრამდე მისვლას".

შეერთებულმა შტატებმა დაარწმუნა რუსეთი, რომ "სურსათი საწვავის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში მოსკოვის მიერ დადებული კონტრაქტები შესრულდება. თუმცა, რაც შეეხება ერაყის ნავთობის ათვისებასთან დაკავშირებულ კონტრაქტებს, ბაღდადის ახალი ხელისუფლება, სადამის მიერ დადებული ხელშეკრულებების აღსრულებას სავალდებულოდ არ მიიჩნევს.

პროგრამა "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" 3 ივნისს მთავრდება (პროგრამის თანახმად, ერაყის ნავთობის გაყიდვის უფლება აქვს მხოლოდ გაერო-ს, რომელიც მიღებული შემოსავლებიდან ერაყის მოსახლეობისათვის სურსათს, მედიკამენტებს და სხვა აუცილებელ საქონელს ყიდულობს) "ჩვენი აზრით, რუსები ერაყში თავიანთი სტრატეგიული ინტერესების დაცვას ახალ მთავრობასთან საერთო ენის გამონახვით უფრო უკეთ შეძლებენ, ვიდრე უშიშროების საბჭოში ახალი დაპირისპირების ინსპირირებით," – განაცხადა დიპლომატმა.

მისი თქმით, ვაშინგტონს იმედი აქვს, რომ პირველი ივნისის სამიტამდე (რომელიც სანკტ-პეტერბურგში იმართება და ქალაქის სამასი წლისთავის იუბილეს ემთხვევა) რუსეთის დაყოლიებას შეძლებს.

*როიტერი*

# აშშ-ში წინასაარჩევნო მზადება უკვე დაიწყო

პირველი გვერდიდან

ამავდროულად, უმცროსი ბუში ომში გამარჯვებული პრეზიდენტის სახელს წინასაარჩევნოდ აუცილებლად გამოიყენებს. რესპუბლიკელთა ყრილობა, რომელზეც ჯორჯ ბუშს, საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად დაასახელებენ, სიმბოლურად, 11 სექტემბრამდე ერთი დღით ადრე ნიუ-იორკში გაიმართება.

თუმცა, ამერიკის ისტორია ადასტურებს, რომ არჩევნებს შიდაპოლიტიკური საკითხების გამოისობით აგებენ და იგებენ. 2001 წელს დაწყებული ეკონომიკური რეცესია ბუშის ამოცანას საკმაოდ გაართულებს. 1992 წელს ბილ კლინტონის საარჩევნო კამპანია, თითქმის, მთლიანად ამერიკის იმდროინდელ ეკონომიკურ პრობლემებზე იყო კონცენტრირებული. სწორედ ამან განაპირობა კლინტონის გამარჯვება, რომელმაც ჯორჯ ბუშ უფროსს აჯობა იმის მიუხედავად, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე 1991 წელს მამა ბუშმა სპარსეთის ყურის პირველი ომი მოიგო.

დემოკრატი პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყველაზე დიდი შანსი ჯონ ედვარდსს აქვს, ჩრდილოეთ კაროლინის სენატორს, რომელსაც კენედისა და კლინტონს ადარებენ. ედვარდსის პოპულარობა ძნელი ასახსნელი არ არის: შავგვრემანი, სამხრეთული იერის მქონე მომხიბლავი სენატორი თავისი მჭერმეტყველებითაც არის ცნობილი. მოდების პოპულარულმა ჟურნალმა "ელმა" ედვარდსს "ყველაზე სექსუალური პოლიტიკოსი მამაკაცის" ტიტული მიანიჭა.

ამას გარდა, იგი ამერიკული ოცნების განსახიერებას წარმოადგენს. თავის გვარში ის პირველი იყო, ვინც უნივერსიტეტი დაამთავრა. ედვარდსი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადვოკატი იყო და მილიონობით დოლარი სწორედ თავისი ჭკუა-გონებით იშოვა, ამჟამინდელი პრეზიდენტისაგან განსხვავებით, რომელსაც უზრუნველი ცხოვრება "მამიკომ" შეუქმნა.

თუმცა, წარმატებული ადვოკატი ედვარდსი საკმაოდ გამოუცდელი პოლიტიკოსია. იგი პოლიტიკურ სარბიელზე მხოლოდ 1998 წელს გამოვიდა. მისი მთავარი იარაღი პოპულიზმია. იგი ცდილობს, ღარიბებისა და უბრალო ხალხის მხარდამჭერის იმიჯი მოიპოვოს, და დაარწმუნოს ისინი, რომ მათ კორპორატიული ელიტისაგან დაიცავს.

მოქმედ პრეზიდენტებს ყოველთვის უპირატესობა გააჩნიათ, მაგრამ მამა ბუშისა და ჯიმი კარტერის მაგალითები ცხადყოფს, რომ ეს გამარჯვების გარანტიას არ იძლევა. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ ერთ ადგილზე გაყინული საინვესტიციო გარემო, მომხმარებელთა ნდობის დაკარგვა და მზარდი უმუშევრობა იმას ნიშნავს, რომ მომავალი არჩევნები იოლი მოსაგები ნამდვილად არ იქნება. სწორედ ამიტომ ცდილობს პრეზიდენტი კონგრესში 726 მილიარდი დოლარის მოცულობის გადასახადების შემცირებას. ბუშის მტკიცებით, აღნიშნული ცვლილებები 92 მილიონ ამერიკელს სარგებელს მოუტანს, ეკონომიკურ ზრდას სტიმულს მისცემს და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. თუმცა, 1 მაისს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, როდესაც საქმე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეეხება, ხალხი დემოკრატებს უფრო მეტად ენდობა, ვიდრე პრეზიდენტს. გადასახადების მკვეთრად შემცირებისა და, იმავდროულად, სამთავრობო დანახარჯების გაზრდის იდეას გამოკითხულთა მხოლოდ 28 პროცენტი ეთანხმება.

მართალია, რესპუბლიკელებს კონგრესის ორივე პალატაში უმრავლესობა აქვთ, მაგრამ, ბუშისთვის სამწუხაროდ, წარმომადგენელთა პალატამ გადასახადების შემცირება 550 მილიარდი დოლარით მიიჩნია მიზანშეწონილად, ხოლო სენატმა - მხოლოდ 350 მილიარდით. ამერიკელი ექსპერტების აზრით, ბუშის წინადადება კონგრესში მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ გავა. ეს კი პრეზიდენტისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მარცხი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ უზარმაზარ ძალისხმევას, რომელიც ადმინისტრაციამ აღნიშნული წინადადების პოპულარიზაციის მიზნით გასწია.

ერაყის ომისაგან განსხვავებით, პრეზიდენტობის დემოკრატ კანდიდატებს ბუშის გეგმის შესახებ საერთო შეხედულება აქვთ. ისინი ამგვარ ცვლილებებს გაუმართლებლად მიიჩნევენ. დემოკრატების პოზიციები რამდენიმე დღის წინ ფედერალური რეზერვების თავმჯდომარის ალან გრინსპენის განცხადებამ გაამყარა, რომელმაც პრეზიდენტის წინადადების ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ ეჭვი გამოთქვა.

ბუშმა თავისი წინამორბედისაგან მემკვიდრეობით პროფიციტიანი (დაგეგმილ ხარჯებზე მეტი შემოსავალი) ბიუჯეტი მიიღო. ჯორჯ ბუშმა გაპრეზიდენტებისთანავე გადასახადები შეამცირა და სამთავრობო დანახარჯები გაზარდა. ბიუჯეტში უკვე უზარმაზარი დეფიციტია. ამ ფონზე კი გადასახადების კიდევ უფრო შემცირება უპასუხისმგებლობაა, - ამტკიცებენ ბუშის კრიტიკოსები. მალე იგი კონგრესს მიმართავს, რათა კონგრესმენებმა ერთდროულად გადასახადებიც შეამცირონ და სამთავრობო დანახარჯებიც გაზარდონ. მოვლენების ამგვარი განვითარება კი დემოკრატების წისქვილზე დაასხამს წყალს, რომლებსაც მთავრობის საფუძვლიანი კრიტიკის შესაძლებლობა მიეცემათ.

თუმცა, ეკონომიკური ვითარების გარდა, არჩევნების ბედს პიროვნებებიც განსაზღვრავენ. თუ 2000 წლის არჩევნების მსგავსად, კანდიდატთა პროგრამებს თითქმის თანაბარი რაოდენობის მხარდამჭერი ეყოლება, მაშინ გადამწყვეტ როლს სწორედ მათი პიროვნული თვისებები ითამაშებს.

# უკრაინა, აზერბაიჯანი და საქართველო ერაყში სამშვიდობო ძალებს აგზავნიან

შოთა უტიაშვილი

უკრაინის ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ მან ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ერაყში სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ თხოვნა მიიღო – წერს ამერიკული გაზეთი "ვაშინგტონ ტაიმსი"

11 ევროპული ქვეყნიდან, რომელსაც ვაშინგტონმა ანალოგიური თხოვნით მიმართა, მხოლოდ უკრაინა და ალბანეთი არ არიან ნატო-ს წევრები.

უკრაინას თხოვნა მას შემდეგ გაეგზავნა, რაც ვაშინგტონში შედგა შეხვედრა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ნატო-ს რვა ქვეყნის თავდაცვის მინისტრებისა და უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივნის, მარჩუკის მონაწილეობით.

აშკარაა, რომ ეს თხოვნა ვაშინგტონი-კიევის ურთიერთობებში აშკარა გარღვევას წარმოადგენს. რობერტსონმა განაცხადა, რომ "ნატო-სა და უკრაინის ურთიერთობებში არსებული პრობლემები უკან დარჩა" ("პრობლემებში" გენერალური მდივანი იმ საერთაშორისო სკანდალს გულისხმობს, რომელიც უკრაინის მიერ ერაყისთვის იარაღის მიყიდვის ბრალდებას მოჰყვა).

საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც ვაშინგტონმა უკრაინას სამშვიდობო ძალების ერაყში გაგზავნა სთხოვა, ცივი უარი განაცხადა ერაყში გერმანული სამშვიდობო ქვედანაყოფის დაშვებაზე. ასეთი თხოვნით ამერიკას პოლონეთმა მიმართა, რომელიც ამ ნაბიჯით თავის ორ უმნიშვნელოვანეს პარტნიორს შორის ნდობის აღდგენას ცდილობდა.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ამჟამად ვაშინგტონსა და კიევს შორის ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს სამშვიდობო ძალების მანდატის, რაოდენობისა და დისლოკაციის ადგილის განსაზღვრის მიზნით.

ზემოხსენებული შეხვედრის შედეგად, ექსპერტების აზრით, უკრაინამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, თუმცა ალიანსში შესვლის თარიღის დასახელებისაგან როგორც ნატო-ს, ისე უკრაინის წარმომადგენლები, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

ერაყში სამშვიდობო ძალების გაგზავნის სურვილი დსთ-ს სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს. გუშინ აზერბაიჯანის პარლამენტმა, 92 ხმით 2-ის წინააღმდეგ, ერაყში 150 ჯარისკაცის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, ნაჯაფოვის თქმით, აზერბაიჯანელი "ცისფერჩაფხუტიანები" კუვეიტში 12 მაისს ჩავლენ. მისი თქმით, ისინი კირკუკში, ქარბალაში, მოსულსა და ნაჯაფში განლაგდებიან.

საქართველოში აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ მაილსმა კი განაცხადა, რომ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება 74 ქართველი სამშვიდობოს ერაყში გაგზავნის შესახებ.

## აქცია გაგრძელებებით


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პატარა პაციენტთან.*

ლელა მარგიანი

გუშინ, სასტუმრო "ივერიაში" მაცხოვრებელი დევნილებისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევა მოეწყო. აქცია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ჩაატარა.

დანიშნულ დროს, დილის ათ საათზე სასტუმრო "ივერიაში" ასეთი სურათი დაგვხვდა: იქ იყვნენ აქციაში მონაწილე ექიმები და სამედიცინო აქციის გასაშუქებლად მისული ჟურნალისტები, არსად ჩანდნენ თავად დევნილები. მხოლოდ სამი ბავშვი მოეყვანათ გასასინჯად. როგორც სასტუმრო "ივერიაში" დევნილთა სამედიცინო ამბულატორიის ექიმმა-თერაპევტმა დალი ბერიკაშვილმა გვითხრა, მოხდა გაუგებრობა - მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის თუ დევნილთა კომიტეტის უყურადღებობით, დევნილებს აქციის ჩატარების შესახებ გვიან შეატყობინეს. როგორც შემდეგ საზოგადოების პრესსამსახურიდან შევიტყვეთ, მოგვიანებით გაისინჯა 200-მდე დევნილი. პაციენტთა შორის იყო 25 ლოგინად ჩავარდნილი, ოთხი - პოსტოპერაციულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი, ორი ბავშვი შემდგომ უფასო მკურნალობას ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გაივლის.

აღნიშნული ღონისძიება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის საერთაშორისო დღის ეგიდით გაიმართა. საზოგადოება 14 მაისს სასტუმრო "საქართველოში" ჩაატარებს დევნილი მოსახლეობის უფასო გამოკვლევას, მანამდე კი ექიმები ალმაშენებლის გამზირზე ხეებს დარგავენ.

## „დაკითხვა" ჯანდაცვის სამინისტროში

ზაზა ფარუაშვილი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ოპოზიციის ნანატრი შეხვედრა გაიმართა. ჟურნალისტების თანდასწრებით მინისტრის ორმა მოადგილემ - ვასილ ჭეიშვილმა და იაგო კალანდაძემ უპასუხეს ექიმთა თავისუფალი პროფკავშირის "სოლიდარობის" ხელმძღვანელის, დოდო ნაფეტვარიძის, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" პოლიტსაბჭოს წევრის, კახაბერ გაგლოშვილის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის, გულიკო გიგიბერიას შეკითხვებს.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოპოზიციამ ხელისუფლების ორი წარმომადგენლის დაკითხვა მოაწყო. ამასთან ამირან გამყრელიძის მოადგილეებს იმ კითხვებზე მოუწიათ პასუხის გაცემა, რომლებსაც ჟურნალისტები ჯერ კიდევ ჯორბენაძეს ვუსვამდით სამედიცინო რეფორმის პირველ (1995-1996) წლებში:

რატომ არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამები, რატომ არ ემსახურებიან სათანადოდ პოლისიან ავადმყოფებს, რატომ იღებენ ექიმები დაბალ ანაზღაურებას, რატომ არ არის მოსახლეობა ინფორმირებული შეღავათების შესახებ, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე პაციენტი რატომ ყიდულობს მედიკამენტებს, რატომ არ ეპიტნავებათ კლინიკებს საგარანტიო წერილები და ა.შ. სხვა დარღვევების შესახებ.


ბონდო ბაბაძის ფოტო

*"დაკითხვის" დროს*

სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით წლების მანძილზე სისტემატური მსჯელობა მიმდინარეობს სამინისტროში გამართულ ყოველკვირეულ ბრიფინგებზე.

ასე რომ, სამინისტროს ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ მოუწია ათასჯერ ნაპასუხებ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ ოპონენტები ამით არ დაკმაყოფილდნენ. თუმცა, როგორც ითქვა, მათ კიდევ ექნებათ მსგავსი შეხვედრის მოწყობის საშუალება. მანამდე კი სამინისტროში ოპოზიციის მიერ წერილობით ჩამოყალიბებულ საკითხებს გაეცნობიან.

## ატიპური პნევმონია შეიძლება დამარცხდეს

ატიპური პნევმონიით დაავადებულთა მძიმე მდგომარეობის მიზეზი არა თავად ვირუსი, არამედ მისკენ მიმართული, ორგანიზმის იმუნური სისტემის ზედმეტად მაღალი აქტივობაა, - New Scientist-ის მიხედვით, ასეთ დასკვნას აკეთებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ექიმებს პნევმონიის ამ ახალი სახეობის მკურნალობის გადახედვას ურჩევს. მარკ სალტერი, რომელიც ორგანიზაციაში ამ დაავადებასთან დაკავშირებით წარმოებულ სამეცნიერო მუშაობას უწევს კოორდინირებას, განმარტავს, რომ იმუნური სისტემის ზღვარგადასული აქტივობა ანგრევს ფილტვების იმ შრეებს, საიდანაც ჟანგბადი სისხლში აღწევს და ადამიანს სუნთქვის სერიოზულ პრობლემებს უქმნის. შედეგად, სივდება და ნეკროზდება როგორც ვირუსით დაავადებული, ისე სხვა უჯრედები.

მეცნიერებს უკვე იმის თქმაც შეუძლიათ, რომ ვირუსი გარემოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცოცხლობს. გერმანელმა ექიმებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ პლასიკატის ზედაპირზე, გამოშრობიდან 24 საათის განმავლობაშიც კი, საკმარისად ბევრი ვირუსი რჩება. ამ ფონზე, დამაიმედებლად გაისმა ჩინელი მეცნიერების მიერ გუშინ გაკეთებული განცხადება - შემუშავებულია საშუალება, რომელიც ეპიდემიის შეჩერებას შეძლებს. მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა მოხალისეების ორმა ჯგუფმა მიიღო. იქ, სადაც მკურნალობის ტრადიციული მეთოდი გამოიყენეს, რამდენიმე ფატალური შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფის პაციენტთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

*"24 საათი"*

## ერიდეთ ტკიპას

ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მიკროორგანიზმები, მწერები, მათ შორის, ტკიპები გაზაფხულზე აქტიურდებიან. ტკიპის ნაკბენი ძალიან მძიმე დაავადებას - ენცეფალიტს იწვევს.

ამიტომ ტყეში, აგარაკზე, სათევზაოდ წასვლისას იზრუნეთ საკუთარ თავზე. ჩაიცვით გრძელსახელოებიანი, საყელოიანი ტანსაცმელი, შარვალი ჩექმებში ჩაიტანეთ, აუცილებლად გაიყოლიეთ ქუდი ან თავსაფარი, გამოიყენეთ მავნე მწერების საწინააღმდეგო ხსნარები (აეროზოლები), მალამოები; მოერიდეთ ბუჩქნარში ან მაღალ ბალახში შებიჯებას, რადგან სწორედ იქ უყვართ ტკიპებს თავის შეფარება. თუ ტკიპა მაინც მოგეკრობათ, წაუსვით მცენარეული ზეთი ან ვაზელინი და პინცეტით მოიშორეთ, ნაკბენი კი იოდით დაიმუშავეთ.

ტკიპები ლაიმას ავადმყოფობასაც იწვევენ. ტკიპის კბენიდან 1-2 კვირაში ნაკბენ ადგილას ჩნდება მკაფიო წითელი ლაქა, ავადმყოფს ეწყება ქავილი, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, უწევს სიცხე. ექიმისათვის მიმართვა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში გულს, სახსრებს, თავის ტვინს სერიოზული გართულებები ემუქრება.

ტკიპისებრი ენცეფალიტი ტკიპის კბენიდან 1-3 კვირაში ვითარდება, ის შემცივნებით, მაღალი სიცხით (38-390), ძლიერი თავის ტკივილით, გულისრევით იწყება. მე-3—5 დღეს ჩნდება ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები: კრუნჩხვა, ბოდვა, მოძრაობის დარღვევა. ავადმყოფი აუცილებლად ინფექციურ საავადმყოფოში უნდა მოათავსონ, სადაც ინტენსიურ მკურნალობას ჩაუტარებენ. თვითმკურნალობა დაუშვებელია.

სხვათა შორის, ენცეფალიტს აუდუღარი რძის დალევა და დაავადებული საქონლის ხორცის ჭამაც (თუ კარგად შემწვარი არ არის) იწვევს.

*მედია-ნიუსი*

## თევდორაძის პესიმისტური ოპტიმიზმი

ზურაბ ჯამასპიშვილი

გუშინ კლუბ "სარდაფში", სტუდენტთა "აპოლიტიკური ოთხშაბათის" სტუმარი პარლამენტარი ელენე თევდორაძე იყო. ქალბატონმა ელენემ თავის თავზე საუბრით სტუდენტები ხალისიან განწყობაზე დააყენა. ბავშვობაში საშინელი ჭორიკანა ყოფილა და ამისთვის ერთხელ თანაკლასელი გოგოებისგან კარგადაც მოხვედრია. 30 წელი მასწავლებელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მკაცრი არ არის, თურმე მოსწავლეებს მისი მაინც ეშინოდათ და "რკინის ლედისაც" ეძახდნენ. პარლამენტის უაზრო ყოველდღიურობისგან დაღლილს, ძალიან ჰყვარებია ცეკვა. უყვარს მე-19 საუკუნის მხატვრობა, დოსტოევსკის და ო`ჰენრის კითხვა. არ სჯერა არანაირი მაგიის და ახლო ურთიერთობა ჰქონია "რამკიან ქურდებთან", მათთან ერთად კამერაში ლობიოც უჭამია და ამბობს, პესიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ ახალგაზრდობის დიდი იმედი მაქვსო(!).

შემდეგი ოთხშაბათის სტუმარი გოგი თოფაძე იქნება.

## გაწევ-გამოწევა საკრებულოში - ცემა-ტყეპის გარეშე

პირველი გვერდიდან

"ვაკის პარკში მიწები 1996-97 წლებში გაიყიდა, მე კი ამ თანამდებობაზე 2000 წლის 4 თებერვალს დამნიშნეს. ჯიბლაძემ თვითონ გაყიდა, ვაკის პარკში რაც გასაყიდი იყო. ახლა პარკის ტერიტორიაზე მდებარე კინოთეატრის გასხვისებაც უნდოდა, მაგრამ სააკაშვილმა არ დაანება და მაგაზეა გამწარებული," – აფრიალებული დოკუმენტების შინაარსს განმარტავდა კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი, ბოლოს კი დაიმუქრა, - ჯიბლაძეს სასამართლოში ვუჩივლებ და ცილისწამებისთვის 100 ათას ლარს გადავახდევინებო.

ამასობაში სხდომათა დარბაზში შეკრებილმა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებმა ისეთი ამბავი ატეხეს, ჯიბლაძე-ოქიტაშვილი ყველას დაავიწყდა. მოქალაქეები სხდომის გადადებამ ისე აღაშფოთა, რომ დარბაზიდან არაფრით აღარ გადიოდნენ. სანამ სააკაშვილი არ მოგვისმენს, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო, - კიოდნენ დაზარალებულები და "ნაციონალებს" წინასაარჩევნოდ თბილისის მოსახლეობასთან დადებულ ხელშეკრულებას სულ ცხვირწინ უტრიალებდნენ, - ხომ შეგვპირდით, რომ საკრებულოში მოსვლის შემდეგ ჩვენს პრობლემებს მოაგვარებდით, სად არის თქვენი პირობაო. აღნიშნული ხელშეკრულების ეს პუნქტი გუშინწინ ვანო ზოდელავამაც გაიხსენა. თუმცა, "ნაციონალებს" სიტუაციიდან გამოძრომა არ გასჭირვებიათ. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" დაზარალებულთა პრობლემას იმ შემთხვევაში მოაგვარებდა, თუკი საკრებულოში უმრავლესობით მოვიდოდა. "საკრებულოს 49 წევრიდან ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელი მხოლოდ თოთხმეტია. ასე რომ, ჩვენ უმრავლესობა არ ვართ და დაზარალებულებს პირობასაც ვერ შევუსრულებთ. ამის გარდა, როცა ქვეყანაში სტიქიური უბედურება ხდება, პასუხისმგებლობას ცენტრალური ხელისუფლება იღებს. ჩვენმა ხელისუფლებამ აიღო ეს პასუხისმგებლობა, მაგრამ არ ასრულებს. დაზარალებულთა დასახმარებლად ჯერ 40 მლნ. ლარის გამოყოფას შეგვპირდა, ბოლოს ეს თანხა 4 მლნ-მდე დაიყვანა და საბინაო ფონდის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდში ესეც არ გადაურიცხავს. თუმცა, რომც გადაერიცხა, ამ თანხით ვინ რა უნდა გააკეთოს," – უმტკიცებდა დაზარალებულებს "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, გიორგი არველაძე; მაგრამ დაზარალებულ მოქალაქეებს სხდომათა დარბაზში "გამაგრება" მაინც ვერ გადაათქმევინა. ბოლოს ისევ სააკაშვილმა იმარჯვა და უკიდურესად გაღიზიანებული დაზარალებულები კაბინეტში შეიყვანა.

ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ მოქალაქეები სააკაშვილს კარგ ხასიათზე დაშორდნენ. საკრებულოს თავმჯდომარემ ისინი დღეს 4 საათისთვის დაიბარა და შეჰპირდა, რომ ამ დროისთვის საკრებულოს იურიდიულ კომისიას საკითხის იურიდიული მხარე უკვე მოგვარებული ექნებოდა, ანუ ცენტრალური ბიუჯეტიდან შეპირებულ 4 მლნ. ლარს დაზარებულებზე ფულადი კომპენსაციის სახით გადაანაწილებენ. დაზარალებულები ასეთი დაპირებით ფრიად კმაყოფილნი ჩანდნენ. როგორ მოახერხებს საკრებულო 4 მილიონის ათასობით დაზარალებულზე გადანაწილებას, ცოტა გაურკვეველია. ცენტრალურმა ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო და კეთილი ინებოს და დაზარალებულთა დასახმარებლად დაფინანსება გაზარდოსო, - განმარტავდნენ "ნაციონალები". სააკაშვილს ასეთი წინადადებაც ჰქონია, - ფესტივალებიდან შემოსული თანხა და ჩინოვნიკების სამივლინებო ხარჯები დაზარალებულთა კომპენსირებას მოხმარდესო.

## განათლების ქუთაისური რეფორმის ბედი, ალბათ, დღეს გაირკვევა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

განათლების სამინისტრო საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რეფორმის გატარებას იწყებს. ჯერ ისევ გაურკვეველია, რამდენად გავრცელდება აღნიშნული რეფორმის ძირითადი დებულებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ყველასათვის ცნობილია, რომ აჭარის რეგიონი ცენტრისადმი დიდ მორჩილებას იშვიათად იჩენს, ქუთაისში კი განათლების სისტემის "ქუთაისურ ექსპერიმენტს" ჯერ კიდევ 1993 წელს აუნთო მწვანე შუქი განათლების მაშინდელმა მინისტრმა კვაჭანტირაძემ და ქალაქის საშუალო სკოლები სამ საფეხურად დაიშალა. პირველ საფეხურში დაწყებითი განათლება შევიდა, მეორეში - ცხრა კლასი, მესამე საფეხურს კი ლიცეუმებსა და გიმნაზიებში მოუყარეს თავი. მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობა" განმარტავს, რომ სკოლებში შაშიაშვილისეული განათლების რეფორმა ძალდატანებით განხორციელდა. **"ვინც ამ რეფორმის წინააღმდეგი გამოვიდა, ან სამსახურიდან დაითხოვეს ან დააწინაურეს. აღნიშნული რეფორმა, ერთის მხრივ, ცუდი იდეა არ გახლდათ, მაგრამ ამის მხოლოდ ერთ ქალაქში გაკეთება არ შეიძლებოდა. ქუთაისს საამისოდ მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები არ გააჩნდა,"**- თქვა ჩვენთან საუბრისას "სოლიდარობის" ლიდერმა, მანანა ღურჭუმელიძემ.

კარტოზიას მიერ წამოწყებული რეფორმით სკოლები საჯარო იურიდიულ პირებად ყალიბდებიან. სკოლებმა თავად უნდა შეიმუშაონ წესდება და დასამტკიცებლად სამინისტროში წარადგინონ. პროფკავშირი აცხადებს, რომ ადგილობრივი სტრუქტურები განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული რეფორმის განხორციელებას ეწინააღმდეგებიან.

**"ახალი რეფორმის საფუძველზე, ქუთაისის საფეხურებად დაშლილი სკოლები კვლავ საშუალო სკოლებად ჩამოყალიბებას მოინდომებენ და მიაღწევენ კიდეც. შაშიაშვილის რეფორმა კი დასრულდება. ეს რომ არ მოხდეს, გარკვეული პირები ქუთაისიდან განათლების სამინიტროში ჩავიდნენ და მინისტრს მოელაპარაკნენ: თუკი სკოლის ახალი წესდება ქუთაისის მერიასთან შეთანხმებული არ იქნებოდა, არ მიეღოთ. ბუნებრივია, მერია ძველი სისტემის შენარჩუნებას შეეცდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ კარტოზია ამ წინადადებას დაეთანხმა,"** - აცხადებს ღურჭუმელიძე. "სოლიდარობას" მიაჩნია, რომ განათლების მინისტრთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ირღვევა განათლების კანონის პირველი მუხლი, სადაც წერია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე ერთიანია. ასევე მიუთითებენ განათლების რეფორმის სხვა ძირითადი პუნქტების (სკოლების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების) შეზღუდვაზეც. შაშიაშვილისეული რეფორმის გაუმართლებლობის დასამტკიცებლად პროფკავშირები გასული წლის ოქტომბერში სასკოლო ოლქის მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგებს იშველიებენ. მაშინ სასკოლო ოლქმა ტესტირება მხარეში არსებული განათლების ზოგადი დონის გამოსავლენად ჩაატარა. "სოლიდარობის" განმარტებით, ტესტირებაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლი რეფორმაგამოვლილმა ქუთაისის სკოლებმა აჩვენეს. პროფკავშირების ლიდერს ბიუჯეტიდან განათლებისათვის გამოყოფილი სახსრების განკარგვის კანონიერებაშიც შეაქვს ეჭვი. **"სკოლებს საოფისე ხარჯიდან 6-8 ათასი ლარი ისე აქვთ დახარჯული, რომ იშვიათად ნახავთ, ამ თანხით ვინმეს ცარცი და ფურცელი შეეძინოს... სულაც არ ვფიქრობთ, რომ კარტოზიას რეფორმის შედეგად ჩვენი დირექტორები სკოლებს ააყვავებენ, მაგრამ უფრო უკეთესად რომ წარმართავენ მუშაობას, ამაში დარწმუნებულები ვარ. განათლების განყოფილება და სამინისტრო სკოლებს მუშაობაში ხელს უფრო უშლის, ვიდრე ეხმარება. ეს კი დირექტორებს და მასწავლებელს არ სურთ,"**- დარწმუნებულია პედაგოგების სურვილებში ღურჭუმელიძე. "სოლიდარობა" აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ქუთაისში საპროტესტო აქციის გამართვასაც აპირებს.

იმერეთის გუბერნატორი, თემურ შაშიაშვილი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მას მიაჩნია, რომ მისეული რეფორმა განათლების სამინისტროსას არათუ ეწინააღმდეგება, არამედ სწორედ აღნიშნული რეფორმის ფარგლებში ჯდება.

**"ქუთაისში ისეთი განათლების სისტემა გვაქვს, როგორიც საქართველოს ისტორიულად ჰქონდა. ამჟამად მთელ ევროპაში ასეთი სისტემაა. არ შეიძლება, რომ ჩვენ სკოლის დირექტორების დიქტატით ვიმოქმედოთ. ყველა დირექტორს სურს, პირველ კლასელები ჰყავდეს - რატომ უნდათ, ესაა საკითხავი; ალბათ, უფრო მეტ სარგებელს ნახულობენ. დღეს სკოლები ბავშვისთვის კი არ, დირექტორებისთვის არსებობს. არ შეიძლება, რეფორმა ცალკეული დირექტორების დიქტატით გატარდეს,"**- აცხადებს შაშიაშვილი. კარტოზია ქუთაისს დღეს უნდა ეწვიოს და ალბათ, განათლების ქუთაისური რეფორმის ბედიც გაირკვევა.

## ტენდერი სახურავების „დასალაშქრად"

*მერიის შესაბამისი სამსახურების დაპირებით, ივნისის პირველივე რიცხვებიდან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების და სახურავების აღდგენითი სამუშაოები აუცილებლად დაიწყება. საამისოდ წლევანდელ ბიუჯეტში ოთხ მილიონამდე ლარია გათვალისწინებული.*

ეთერ მამულაშვილი

მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურმა, დაახლოებით, ერთი თვის წინათ გამოაცხადა აღდგენით სამუშაოებზე ტენდერი. ტენდერში მონაწილეობის სურვილი თავიდან ოცდაათმა ადგილობრივმა სამშენებლო ორგანიზაციამ გამოთქვა. იმის გამო, რომ კომპანიებს ტენდერში მონაწილეობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული 500 ლარი ბიუჯეტში უნდა გადაეხადათ, ცამეტ მათგანს მუშაობის ხალისი სამუდამოდ დაეკარგა.

ტენდერში 17 ორგანიზაცია მონაწილეობს, რომელთა მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ცოტა ხნის წინათ წარდგენილი წინადადებები დღეს გაიხსნება.

ტენდერში 17-დან 16 ადგილობრივი კომპანია სახურავების შეკეთებისთვის შეეჯიბრება ერთმანეთს. გამარჯვებული, რომელიც უახლოესი ათი დღის ვადაში გამოვლინდება, რამდენიმე ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველი – მის მიერ ჩატარებული სამუშაოები მაქსიმალურად ხარისხიანი და იაფი უნდა იყოს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი დაკვეთის მიმღებმა კომპანიამ უმოკლეს დროში უნდა შეასრულოს. ტენდერის მკაცრი პირობების მიუხედავად, საბოლოოდ, შესაძლოა, ხუთი გამარჯვებული კომპანია გამოვლინდეს. ამ შემთხვევაში დედაქალაქის თითოეულ რაიონში ერთი კომპანია იმუშავებს. **"ჩვენი და სატენდერო კომისიის მიზანია, რაც შეიძლება, სწრაფად დასრულდეს აღდგენითი სამუშაოები. ტენდერში რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ამ პროცესს მაქსიმალურად დააჩქარებს",** - გვითხრა კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ და სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, ელდარ კვერნაძემ.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომელიც სწორედ მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების და სახურავების შეკეთება-აღდგენას ითვალისწინებს, სამ წელიწადზეა გათვლილი. მერიის შესაბამის სამსახურის განცხადებით, პირველი ეტაპის სამუშაოები წლის ბოლომდე აუცილებლად დასრულდება.

კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის მონაცემებით, დედაქალაქში, დაახლოებით, ხუთი ათასამდე ლიფტი და სახურავი საჭიროებს სასწრაფოდ შეკეთებას. ელდარ კვერნაძის ვარაუდით, ბიუჯეტით გათვალისწინებული ოთხი მილიონის ფარგლებში, წელს დაზიანებული ლიფტების და სახურავების ნახევარზე მეტის შეკეთება მოხერხდება.

პირველ რიგში, იმ სახურავების შეკეთება-აღდგენა დაიწყება, რომლებიც ყველაზე მწვავე მდგომარეობაშია. ლიფტების რეაბილიტაცია თავდაპირველად თექვსმეტ და თოთხმეტსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში დაიწყება.

ასე რომ, თუკი მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური პირობას პირნათლად შეასრულებს, მომავალ ზამთარს თბილისელების და მათი საცხოვრებელი კორპუსების ერთი ნაწილი "წელში გამართული" შეხვდება.

# პოლიციის რეფორმას უცხოელთა დაფინანსება სჭირდება

თეა ხოფერია

*ქართულ პოლიციას რეფორმა რომ სჭირდება, ეს ახალი ამბავი არ არის. ამაზე საუბრობს როგორც ფართო საზოგადოება, ისე - სამართალდამცავი სტრუქტურების მაღალ პოსტებზე მდგომი ჩინოსნობა. რეფორმის საჭიროება, როგორც თავად სამართალდამცავები აცხადებენ, გამოწვეულია იმ არაპროფესიონალიზმით, რომელმაც პოლიციაში ასე მოიკიდა ფეხი. თუმცა ცალკე აღებული რეფორმა წყალში ჩაყრილად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი სამართალდამცავი ორგანოები შესაბამისი თანხებით არ დაფინანსდებიან. თავად ამ სტრუქტურის წარმომადგენლებს დიდი იმედი აქვთ, რომ სასამართლო რეფორმის მსგავსად პოლიციის რეფორმასაც უცხოელი დამფინანსებლები გამოუჩნდებიან.*



ლევან იზორია, შოთა ასათიანი და ეკა ბესელია

გუშინ პოლიციის რეფორმას სამოსამართლო სწავლების ცენტრში სპეციალური სემინარი მიეძღვნა. კონფერენციას უძღვებოდნენ შეხვედრის ინიციატორი - გერმანული ფონდის "კონრად –ადენაუერის" კავკასიის ბიუროს წარმომადგენელი ლევან იზორია, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შოთა ასათიანი და ადვოკატი ეკა ბესელია. სემინარს ესწრებოდნენ ევროსაბჭოს დელეგაციის ექსპერტი, საფრანგეთის საელჩოს პოლიციის განყოფილების წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები და ჟურნალისტები.

შოთა ასათიანმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ პოლიციის რეფორმის ერთ-ერთი ეტაპი პოლიციელთა ტესტირება იქნება. უკვე ამა წლის ივლისში პოლიციელები ზეპირ ტესტირებას გაივლიან. მათი შეფასება პირადი საქმის შესწავლით, ასევე პოლიციელის მიერ სამართლებრივი კანონმდებლობის აუცილებელი კანონების გამოკითხვით ჩატარდება.

**"პოლიციელთა ტესტირება არ მოხდება ისე სიღრმისეულად, როგორც ეს სხვა სტრუქტურებში ჩატარდა. მეორე მხრივ, პოლიციელს მოეთხოვება, იცოდეს ისეთი ელემენტარული რამ, როგორიცაა, ვთქვათ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი... პოლიციელთა გამომცდელ კომისიას პოლიციის აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები და სხვა ღირსეული პირები დააკომპლექტებენ... კომისიას, ჩატარებული მუშაობის შედეგად, შეუძლია, რომ რეკომენდაცია მისცეს შსს-ს მინისტრს ამა თუ იმ პირის დაწინაურების შესახებ, ან - პირიქით,"** - აცხადებს შოთა ასათიანი და დასძენს, რომ სწორედ სახსრების უქონლობის გამო, ეს ტესტირებაც კი გართულებულად მიმდინარეობს, რადგან პირადი საქმეების დასაბეჭდი ქაღალდის ფულიც კი არ არის. მისივე მტკიცებით, სამინისტროს ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად იბრძოლებს პოლიციის მიერ საზოგადოებაში დაკარგული ავტორიტეტისა და ნდობის მოპოვებისათვის.

გარდა ტესტირებისა, პოლიციის რეფორმა გულისხმობს სწორ საკადრო პოლიტიკას (თანამდებობის შესაბამისი განათლებისა და დადებითი პირადი საქმის შესაბამისად პირის დაწინაურებას), შსს-ს რიცხვის შემცირებასა და მის დაყოფას პოლიციურ და არაპოლიციურ სამმართველოებად.

ლევან იზორიამ პოლიციის რეფორმის თანამდევ ნაწილად პოლიციელთა განათლება მიიჩნია.

**"უცხოელებთან ერთად აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ პოლიციელთა სამართლებრივი განათლების გრძელვადიანი პროგრამები. ჩვენს ფონდს, ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ინიციატივები უკვე განსაზღვრული აქვს,"** - განაცხადა ლევან იზორიამ.

სხვათა შორის, ორ კვირაში "კონრად ადენაუერის ფონდის" მიერ დაგეგმილ სემინარზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ პროექტზე იქნება საუბარი. შეხვედრას ამ სფეროს წამყვანი სპეციალისტები წარუძღვებიან.

# გენერალურმა პროკურატურამ აზერბაიჯანელი და სომეხი პატიმრების ექსტრადიცია განახორციელა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გუშინ, გვიან ღამით, ორი პატიმრის ექსტრადიცია განახორციელა. აზერბაიჯანისა და სომხეთის სამართალდამცველთა სპეცბადრაგებმა ორთაჭალის ციხიდან აზერბაიჯანელი და სომეხი ტუსაღები თავიანთ ქვეყნებში წაიყვანეს. აზერბაიჯანის რესპუბლიკას პატიმარი მამედ მუსტაფაევი გადაეცა, სომხეთს - სერგეი გალსტიანი.

თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ სერგეი გალსტიანი, რომელსაც სომეხი სამართალდამცველები 1999 წლიდან ეძებდნენ, 26 მარტს, თბილისში დააკავა. სახელმწიფო თანხების მითვისებაში ბრალდებული სომეხი ბიზნესმენი თბილისში ახლობლებთან იმალებოდა.

გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელის პაატა მსხილაძის განცხადებით, აზერბაიჯანელი სამართალდამცველი სტრუქტურები მამედ მუსტაფაევს 2001 წლიდან ეძებდნენ მკვლელობისთვის, ბანდიტიზმისა და ნარკოდანაშაულისთვის. საქართველოს უშიშროების სამსახურმა იგი 29 მარტს, თბილისში დააკავა.

# მინდიაშვილების დაკრძალვაზე პრეზიდენტი აპირებს ჩასვლას

გუშინ საქართველოს პარლამენტმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამაჩაბლოში, სოფელ თამარაშენში მოკლული მამა-შვილების - მინდიაშვილების ხსოვნას. 3 მაისს საკუთარ ბენზინგასამართ სადგურთან მაყუჩიანი ავტომატიდან ჩაცხრილულ სიმონ მინდიაშვილსა და მის სამ ვაჟს დღეს დაკრძალავენ. დაკრძალვის ცერემონიას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის - შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი დაესწრებიან. არ გამორიცხავენ თამარაშენში საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლასაც. ამის გამო გადაიკეტება თამარაშენთან მისასვლელი ყველა გზა და მიღებული იქნება უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები. ამასთანავე, პატრულირება გაძლიერდება თამარაშენში მინდიაშვილების მკვლელობის გამო გახსნილ სპეციალურ საგუშაგოზე.

მკვლელობის შემდეგ გახსნილ ამ საგუშაგოზე ერთობლივ პატრულირებას ახორციელებენ ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების, აგრეთვე ქართველი და ოსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. მათი ინფორმაციით, საგუშაგო, სავარაუდოდ, მინდიაშვილების დაკრძალვის შემდეგ, 9 ან 10 მაისს გაუქმდება.

როგორც ცნობილია, მინდიაშვილების დახოცვის გამო დაწყებული გამოძიება მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვის მცდელობასაც განიხილავს.

მიუხედავად სამართალდამცველთა მტკიცებისა, რომ დამნაშავეთა გამოსავლენად აქტიური ღონისძიებები წარმოებს, მინდიაშვილების ოჯახზე მომხდარი თავდასხმის მონაწილეთა ვინაობა ჯერ კიდევ უცნობია.

# ჩეჩენ პატიმართა პროცესზე დღეს ახალი დოკუმენტი გამოქვეყნდება

უზენაეს სასამართლოში დღეს დანიშნულია ჩეჩენი პატიმრების პროცესი, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს. ჩვენი ინფორმაციით მბრალდებელი პროცესზე გამოაქვეყნებს რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ გამოგზავნილ პასუხს. რუსეთის გენერალური პროკურატურა ირწმუნება, რომ ყალბია ერთ-ერთი ჩეჩენი პატიმრის - ელიხაჯიევის ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი საბუთი, რომლის მიხედვითაც, ის არა ელიხაჯიევი, არამედ ბექხან სეიტხასანოვის ძე მულკოევია. რუსი კოლეგების მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ ბექხან მულკოევზე ჩეჩნეთში პასპორტი არასდროს გაცემულა და საბუთი, რომელიც სასამართლო პროცესზე პატიმრის ადვოკატებმა წარადგინეს, ყალბია. ახალი გარემოების გამო, სავარაუდოდ პროცესი კვლავ გადაიდება.

# „თუ პარლამენტში ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობენ, ჩვენ ციხეში რა გვინდა?" - კითხულობენ პატიმრები

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

30 აპრილს დაწყებული პატიმართა მასობრივი შიმშილობის აქცია ექვს მაისს დასრულდა. პატიმრებთან და "კრიმინალურ ავტორიტეტებთან" ხელისუფლება მნიშვნელოვან კომპრომისზე წავიდა - გენერალური პროკურორის მოადგილის ვენედი ბენიძის თავმჯდომარეობით, პროკურატურაში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც ბრალდებულთა საქმეებს გადახედავს. ამასთან, ხელისუფლება უკვე გასამართლებული პატიმრების განაჩენების გადახედვასაც დათანხმდა. აღნიშნულ პროცედურას უზენაესი სასამართლო განახორციელებს. გუშინ კი გეგუთის კოლონიასა და ქუთაისის ციხეს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნანა ბიჭიაშვილი ესტუმრნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები პატიმრებს პირადად ესაუბრნენ. ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაცია ალბათ იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლება პატიმართა აქციამ სერიოზულად დააფრთხო.

**"მიუხედავად იმისა, რომ შიმშილობა შეწყდა, გადაწყვეტილი გვქონდა, ყველა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება მოგვენახულებინა და აი, თქვენთანაც მოვედით. გთხოვთ, წერილობით ჩამოაყალიბოთ თქვენი პოზიციები. მსჯავრდებულების განაჩენები გადაისინჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ახალ გარემოებებს დაასახელებენ. დასაბუთების შემთხვევაში კი, გენერალური პროკურატურის კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს,"**-განაცხადა გეგუთში მსჯავრდებულებთან შეხვედრისას იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა. რამდენიმე დღის წინ, პატიმრები პროკურატურის მიერ შექმნილ კომისიას უნდობლობას უცხადებდნენ, გუშინ კოლონიის არცერთ ბინადარს პროტესტი არ გამოუთქვამს. პატიმრებს ძირითადი პრეტენზიები ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ჰქონდათ. პატიმრები აცხადებდნენ, რომ მათ სასჯელის ნახევარზე მეტის მოხდის შემდეგ, ვადაზე ადრე გათავისუფლება ეკუთვნით, თუმცა მოსამართლეები ამას არ ითვალისწინებენო. პატიმრებმა ისეთი ფაქტებიც მოიყვანეს, როდესაც ვადამდე ადრე სასამართლომ მძიმე დანაშაულის მქონე პირები გაათავისუფლა, ხოლო უფრო ნაკლები სასჯელის მქონენი კვლავ პატიმრობაში დატოვა.

**"პარლამენტში ახლა გაახსენდათ, რომ, თურმე, ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობენ, მაშინ ჩვენც მოგვცენ ჩვენი წესებით ცხოვრების საშუალება. როცა კანონმდებელი არ სცემს პატივს თავისივე მიღებულ კანონს, მარტო მე ვცე პატივი?"** - კითხულობდნენ გუშინ გეგუთის კოლონიაში. უსამართლობაზე მიუთითებდა ერთ-ერთი ყოფილი მხედრიონელი, რომელიც კვირაიას მინისტრობისას ავტომობილის გატაცებისთვის დაიჭირეს. მხედრიონელი გაოცებას გამოთქვამდა: მიუხედავად იმისა, რომ კვირაიამ ყველას თვალწინ რამდენიმე ქართველი დახვრიტა, მისთვის პასუხი არავის მოუთხოვიაო. ის კი ავტომობილის გატაცებისთვის, კარგა ხანია, სასჯელს იხდის.

იუსტიციის მინისტრმა კოლონიაში განაცხადა, რომ აქცია გარედან იმართებოდა. თუმცა, ორგანიზატორის ვინაობა არ დაუკონკრეტებია. მან არ გამორიცხა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პატიმრების მიმართ დარღვევების ფაქტებს მართლაც აქვს ადგილი. **"ეს არის კრიმინალების მიერ ორგანიზებული აქცია, მაგრამ ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მათი პრეტენზიები იყო თუ არა სამართლიანი. თუკი აღნიშნული ფაქტები არ დადასტურდა, მაშინ სულ სხვაგვარად შეგვიძლია ვიმსჯელოთ. როდესაც ეს კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს, ყველა მსჯავრდებული უნდა დაემორჩილოს იმ რეჟიმს, რაც დღეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებობს," - განმარტავს გილიგაშვილი.** ქუთაისის მეორე საპყრობილეში პატიმრების უმეტესობას ძირითადი პრეტენზიები გამოძიებასთან აქვს. საპყრობილეში მყოფები პოლიციის მიერ იარაღისა და ნარკოტიკების ჩადების მრავალ შემთხვევას ასახელებდნენ. უთითებდნენ ასევე, გამოძიების მსვლელობაში ცემისა და წამების ფაქტებზეც. თუმცაღა იყო ისეთი იშვიათი გამონაკლისებიც, როდესაც აცხადებდნენ, რომ ისინი არავის უცემია, მაგრამ სამართალდამცავებმა გამოძიება მაინც პროცესუალური ნორმების დარღვევით ჩაატარეს. ქუთაისის ციხეში 172 პატიმარი აცხადებს, რომ გამოძიებაში მისი უფლებები დაირღვა, ხოლო 50 პატიმარი თავს სრულიად უდანაშაულოდ თვლის. გენერალურმა პროკურორმა თითოეულ მათგანს პრეტენზიებისთვის წერილობითი სახის მიცემა და შესაბამისი კომისიისთვის გადაცემა ურჩია. გაბრიჩიძემ თითქმის ყველა პატიმარს დახმარება აღუთქვა.

მიუხედავად იმისა, რომ ხონის კოლონიაში პატიმრებს შიმშილობა არ შეუწყვეტიათ, ქუთაისში ჩამოსულმა სტუმრებმა მათი მონახულება არ მოისურვეს. გილიგაშვილის განმარტებით, იქ მყოფი ყოფილი მეომრები შეწყალებას მოითხოვენ, რაც მას იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციად არ მიაჩნია. არსებული მძიმე სოციალური ფონის პირობებში, გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ციხე-კოლონიებში არსებულ რთულ საყოფაცხოვრებო პირობებზე პატიმრებს სიტყვაც არ დასცდენიათ. დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ აქციის ორგანიზატორებმა მიზანს მიაღწიეს - ხელისუფლებას თავისი ძალა აჩვენეს; კრიმინალური ბუნტი სამართალდამცავებმა კომპრომისით ჩააცხრეს, მაგრამ შესაძლოა, დროებით. ამჯერად ყველაფერი შესაბამისი კომისიის მუშაობაზეა დამოკიდებული.

## მოკლედ

**ახმეტა.** პოლიციამ სოფელ დუისში, საკუთარ სახლში დააკავა ადამიანის გატაცებისთვის ძებნილი, 54 წლის ახიათ ხანგოშვილი. ახმეტის პოლიციის უფროსის ლევან შაშიაშვილის თქმით, ხანგოშვილი 2001 წლის მარტიდან იძებნებოდა თანასოფლელ, 1964 წელს დაბადებულ დალი ალდამოვას გატაცებისთვის. დაკავებული ამჟამად შინაგან საქმეთა იზოლატორშია გადაყვანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირთან ავტომანქანა „ვაზ-2121", რომელსაც მართავდა დუშეთში მცხოვრები, 33 წლის ბესიკ ბუზალაძე, თიანეთის რაიონის სოფელ კახოიანებში მცხოვრებ 24 წლის გიორგი კახოშვილს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლი დაკავებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს არასრულწლოვანის ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში ჩაბმისა და ქურდობისათვის თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის მიერ ძებნილი, 30 წლის ვალერი კერეტიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის გასაგრძელებლად საჭირო თანხების უახლოეს დღეებში გამონახვას მოითხოვს და აცხადებს, რომ შესაძლოა დაუფინანსებლობამ წამოწყებული ოპერაცია შეაფერხოს და პრობლემები შეუქმნას ხეობაში მყოფი შინაგანი ჯარის დანაყოფებსა და პოლიციის თანამშრომლებს.

თედო ჯაფარიძის თქმით, პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაცია იმ კატეგორიისაა, რომლის წარმატებით დასრულება სახელმწიფოს ინტერესებში შედის. იგი მიიჩნევს, რომ „თუ მთავრობამ გადადგა ნაბიჯი და ეს ოპერაცია დაიწყო, მასში მონაწილე ყველა შესაბამისმა უწყებამ საჭირო დაფინანსება დროულად უნდა მიიღოს".

აღსანიშნავია, რომ პანკისის ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ეტაპის გაგრძელებისათვის კიდევ 7 მილიონი ლარია საჭირო. ამ თანხის სრულად გამოყოფაზე ფინანსთა სამინისტრო უარს აცხადებს და პროგრამის მხოლოდ ეტაპობრივ დაფინანსებაზე თანხმდება. **მედია-ნიუსი**

# იმერეთის საკრებულოს წევრს თანხების დამალვაში ადანაშაულებენ

*ქუთაისში სკანდალურად ცნობილ პიროვნებას, საწვავის ბიზნესით დასაქმებულ, საკრებულოს წევრს ბონდო შალიკიანს სამართალდამცველები დიდი ოდენობით თანხების დამალვაში სდებენ ბრალს. შალიკიანის მაკომპრომეტირებელი მასალები იმერეთის სამხარეო პოლიციის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ მოიპოვა. სამართალდამცველების მიერ, შალიკიანის შვილობილი ფირმები "შანს-ოილი", "ოკრიბა" და "ლამპარი", 41 ვაგონი ნედლი ნავთობის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების დამალვაშია ეჭვმიტანილი. ამჟამად სამივე ფირმის დირექტორი დავით გაბელაშვილი გახლავთ.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ბონდო შალიკიანი, კარგა ხანია, რაც საწვავის ბიზნესში სოლიდურ წილებს ფლობს. მას ქუთაისთან ახლოს, სოფელ ბროწეულაში საკუთარი ნავთობბაზა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გააჩნია. სამართალდამცველთა ინფორმაციით, აღნიშნული ფირმების მიერ საეჭვო ოპერაციები ჯერ კიდევ 2000 წლიდანაა ნაწარმოები. პოლიციის შესაბამისი სამსახურის მიერ მოკვლეულ მასალებში აღნიშნულია, რომ 2000 წლის მაისში ბაქოს ერთ-ერთი კომპანიისა და ფირმა "ოკრიბას" მიერ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე საქართველოში 502 ტონა ნავთობური ნარჩენი იქნა იმპორტირებული, რომელიც "შანს ოილის" ნავთობგადამამუშავებელ საწარმოში უნდა გადამუშავებულიყო. მაგრამ, ბაზელის კონვენციის თანახმად, ტვირთი განბაჟებას არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ფირმა "ოკრიბამ" საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან ნავთობის განბაჟებაზე უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, "ოკრიბამ" ყალბი დოკუმენტების შექმნითა და გამოყენებით, სადავო საკითხის გადაწყვეტაში ჩართო ფირმა "გუმბათი", ამ უკანასკნელმა კი შეცდომაში ქუთაისის საოლქო სასამართლო შეიყვანა, რომელმაც აღნიშნულ ფირმას, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, 502 ტონა ნავთობის ნედლი ნარჩენის განბაჟების ნება დართო. პოლიციაში მიაჩნიათ, რომ ამ ოპერაციის შედეგად "ოკრიბამ", საბოლოო ჯამში, დიდი ოდენობით გადასახადების გადახდას აარიდა თავი. საგამოძიებო მასალებში მომდევნო ფაქტი უკვე 2001 წლის ნოემბერშია დაფიქსირებული. ამ პერიოდში "ოკრიბამ" რკინიგზის სადგურ "ვაზიანიდან" სამი ვაგონი - 200 ტონა ნედლი ნავთობი მიიღო. ტვირთის გამომგზავნად კვლავ "გუმბათი" ფიქსირდება. აღნიშნულ ფირმებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არც ამ შემთხვევაში უწარმოებიათ.

**"2001 წლის 22, 25 და 26 ოქტომბერს "ოკრიბას" სადგურ "ვაზიანიდან", "ბროწეულას" სადგურში მიღებული აქვს 9 ვაგონი - 450 ტონა ნედლი ნავთობი. ტვირთის გამომგზავნი კვლავ "გუმბათია". ანალოგიური გზით, 2002 წლის 30 ნოემბერს სადგურ ბროწეულაში მიღებულია 300 ტონა ნედლი ნავთობი. ყველა შემთხვევაში ტვირთი ჩატვირთულია "შანს ოილის" რეზერვუარებში. ტვირთის შემდგომი ბედი უცნობია. ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით, ფირმა "ლამპარს" 2002 წლის 25 იანვარს, 7 აპრილს, 15 აპრილს, 14 მაისს და 7 ივლისს რკინიგზის სადგურ "ბათუმიდან" ბროწეულაში მიღებული აქვს 36 ვაგონცისტერნა - 2010 ტონა ნედლი ნავთობი, დოკუმენტების მიხედვით, ტვირთის გამომგზავნი ფირმა კვლავ "გუმბათია". მოკვლევის პროცესში 36 ვაგონიდან მხოლოდ 18 აღმოვაჩინეთ. აღნიშნული ოპერაციით ბიუჯეტში 58 ათასი ლარი უნდა შეეტანათ, მაგრამ არაფერი შეუტანიათ. დანარჩენი თვრამეტი ვაგონი საერთოდ არ ჩანს. ამჟამად სისხლის სამართლის საქმე გადასახადების დიდი ოდენობით დამალვის ფაქტზეა აღძრული. გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს, რომელმაც კონკრეტული დამნაშავე პირები უნდა გამოავლინოს,"** - აცხადებს იმერეთის პოლიციის სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამსახურის უფროსი ბადრი ტურაბელიძე.

ბონდო შალიკიანი პოლიციის მიერ მოკვლეულ მასალებს კატეგორიულად არ ეთანხმება და სამართალდამცველებს დანაშაულებრივ ქმედებებში სდებს ბრალს. **"კაცს შუაღამეზე რომ გაეღვიძება და სიზმრიდან აზრს ვერ გამოიტანს, ამას ჰგავს ტურაბელიძის საუბარი. რა 41 ვაგონი, რის 2 ათას 400 ტონა ნავთობიო? ეს არის აბსურდი და ასეთი რამ საერთოდ გამორიცხულია. რკინიგზის სადგურ ბროწეულაში ბათუმის მიმართულებით დღეში, ყველაზე ცოტა, 240 ვაგონი ნავთობი მიდის. ამათ კი, რაც სადგურ "ბროწეულაში" ვაგონს გაუვლია, ყველა მე დამაბრალეს. არ შეიძლება, რომ ამხელა თანამდებობის პირები ასეთ აბსურდულ რამეზე საუბრობდნენ,"** - აცხადებს შალიკიანი. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული მასალების მოპოვება პროკურატურასა და პოლიციას სწორედ გუბერნატორმა დაავალა. შაშიაშვილსა და შალიკიანს მეგობრული ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ. რწმუნებული შალიკიანს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდა. შაშიაშვილი შალიკიანს ხან - კრიმინალის, ხან - მებენზინის და ხანაც რეგიონში "კანონიერი ქურდების" ინტერესების გამტარებლის სტატუსს ანიჭებდა. თუმცა, ბონდო შალიკიანის დანაშაულებრივი ქმედებების მამტკიცებელი მყარი მასალების მოპოვება კანონდამცველებმა ვერ შეძლეს. **"პოლიცია მთელი წლის მანძილზე ჩემი ფირმების კონტროლს მოუნდა, ამ დროს კი კონტრაბანდამ ქუთაისი წალეკა. პოლიციის აღნიშნული განყოფილება მხოლოდ ბაზრობებზე და იმ ადგილებში დადის, სადაც ფული კეთდება. ანდა, სად გინახავთ, რომ დამნაშავე თვითონ ყვიროდეს პოლიციელებზე - დამნაშავეები არიანო? ჩემი ფირმების შემოწმება შაშიაშვილმა სამხარეო პროკურორს, ჭუმბურიძეს დაავალა, მან - სამხარეო პოლიციის უფროსს, ძნელაძეს. საბოლოოდ, ყველა ისევ ტურაბელიძეს შეახოცავს ხელს. ერთი წელი პოლიცია იკვლევდა, ახლა პროკურატურა დაიწყებს ძიებას და ბოლოს, როგორც ნათქვამია, ან ვირი მოკვდება ან მისი პატრონი. გენერალურ პროკურატურაში განცხადებით შევდივარ, რომ აღნიშნული საქმეები იმერეთის და სამეგრელოს გარდა, ნებისმიერი რეგიონის პროკურატურამ გამოიძიოს,"** - აცხადებს შალიკიანი. მისივე თქმით, სამეგრელოს პროკურატურას მხოლოდ იმიტომ შემოსწყრა, რომ თემურ შაშიაშვილსა და ბონდო ჯიქიას, თურმე, ნათელ-მირონი აკავშირებთ.

ამჟამად ბათუმის ფირმა "გუმბათის" დირექტორი მიმალვაშია, შემოსავლების დამალვისათვის მასზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. შალიკიანის ფირმების შესახებ კი საოლქო პროკურატურაში კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

# მზისფერი სახლი ბერლინში

**წერილი მესამე**
**I-II წერილი იხ. „24 საათი" N114 და N119**

მანანა ხელაია-ბაბაშვილი

2002 წლის 14 ნოემბერს, ბერლინში, საქართველოს საელჩოში ძალზე საინტერესო საღამო ჩატარდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინასწარი ჩანაფიქრი სრულებითაც არ ყოფილა ამ საღამოს ორი ნაწილის ერთგვარი შინაგანი კავშირის წარმოჩენა. მაგრამ, ჩვენი მცდელობის გარეშე ეს კავშირი მაინც შედგა. ამ დღეს გავხსენით გამოფენა - „იუგენდსტილი თბილისში", ნესტან თათარაშვილის თანამედროვე და ერმაკოვის ძველი ფოტოებით. მოგეხსენებათ, გერმანიაში იუგენდსტილად ცნობილი (იგივე არტ ნუვო, ანუ სეცესსიონ, ლიბერტი, მოდერნი, ფლორესტაილი) არქიტექტურა, ევროპასთან აქტიური კონტაქტების წყალობით, XIX საუკუნიდან საქართველოშიც იკიდებს ფეხს და, ტრადიციულ ეროვნულ ფორმებთან შერწყმით, ერთობ საინტერესო შედეგებს იძლევა. მოდერნის სტილით გაგრაში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, დუშეთში და, რა თქმა უნდა, თბილისში შენდებოდა სრულებით სხვადასხვა ფუნქციის შენობები - მაღაზიები, სკოლები, სახელოსნოები, კინოთეატრები, საცხოვრებელი სახლები. საბჭოთა რეჟიმის მიერ ბურჟუაზიულ კულტურად მიჩნეული მოდერნი არც შეისწავლებოდა და არც მისი დაცვა-გაფრთხილება ხდებოდა. ამის გამო, ბევრი კარგი ნიმუში დაიკარგა, ბევრიც გადაკეთდა. 2002 წლის აპრილის მიწისძვრამ ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი შენობები კიდევ უფრო დააზიანა. მოდერნი საქართველოში - ევროპული კულტურული მემკვიდრეობაა და მისი დაცვა-შენარჩუნება, ალბათ, ევროპის ქვეყნების ერთგვარ ინტერესსაც წარმოადგენს. აი, სწორედ ამ სულისკვეთებით მიმართა საელჩოში შეკრებილ სტუმრებს - ჟურნალისტებს, დიპლომატებს, ჩვენს ბერლინელ მეგობრებს - ნესტან თათარაშვილმა. ბევრის გაოცება გამოიწვია შესანიშნავ ნაგებობათა ფოტოებმა, რომელთა ხილვამაც დამსწრეთ არა მარტო წარმოდგენა შეუქმნა თბილისის იერის შესახებ, არამედ - გარკვეული განწყობაც. ამ განწყობას სრულებით მიესადაგა, როგორც ზემოთაც ვთქვი, საღამოს მეორე ნაწილი. საელჩოში გვესტუმრა გიუნტერების წყვილი. დოქტორმა ალფჰარტ გიუნტერმა კოტეს გადასცა თავისი გარდაცვლილი მამის, ისტორიკოსის, დოქტორ ოსკარ ოიგენ გიუნტერის არქივი. ოიგენ გიუნტერი, თურმე, აღმოსავლეთ ევროაზიის საკითხებზე მუშაობდა კონტინენტალურ-ევროპული კვლევის ინსტიტუტში, რომლის ხელმძღვანელიც 1937—1945 წლებში ქართველი მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე იყო. ამ ინსტიტუტის მიზანი ევროპული იდეის მხარდაჭერა იყო, აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ფაქტორის გათვალისწინებით. ეს იდეა უპირისპირდებოდა მაშინ გერმანიაში გამეფებულ „დიდი რუსეთის" იდეას და, „მესამე რაიხის" ოფიციალური პოზიციის მიუხედავად, აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა დამოუკიდებლობას ქადაგებდა. ეს მუშაობა 1945 წლის შემდეგ შეწყდა. შემდგომ წლებში დოქტორ ოსკარ გიუნტერს აღარ ავალებდნენ კავკასიური ხალხების კვლევას. იგი დასავლეთ და სამხრეთ სლავების პრობლემებზე გადაერთო.

ბატონი გიუნტერის არქივი მოიცავს 8 საქაღალდეს, დოკუმენტებითა და ლიტერატურით თემაზე: „კავკასია - 1918 - 1924". როგორც ჩანს, ბატონ ოიგენს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ თემაზე სამუშაო გამოექვეყნებინა, მაგრამ არ დასცალდა. ბატონი ოიგენის ოჯახმა გადაწყვიტა, რომ არქივი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს ახალგაზრდა ქართველი მეცნიერებისთვის - მათთვის, ვინც მუშაობს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის თემაზე.

კოტემ, რა თქმა უნდა, დიდი მადლიერებით მიიღო ეს ძვირფასი საჩუქარი გიუნტერების ოჯახისგან და აღუთქვა მათ, რომ ეს არქივი უსათუოდ გადაეცემა საქართველოში მას, ვინც იცის ამგვარი ფურცლების, საქართველოს ისტორიის და განსაკუთრებით მისი დამოუკიდებლობის ფასი.

არქივი კოტემ თავად ჩაიტანა თბილისში და 12 მარტს საქართველოს მეცნიერების აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს გადასცა.

...ბუნდოვნად მახსენდება გეშა ქიქოძის ოჯახში მიუნხენიდან ჩამოსული ქალბატონი კატოს და ბატონი ვანოს სიტყვები ძმები ნიკურაძეების შესახებ. ვურეკავ თბილისში ჩემს მეგობარ ნინიკო ქიქოძეს და ვეკითხები, რა იცის ალექსანდრე ნიკურაძის შესახებ. ნინიკო მყისვე იხსენებს, რომ მისი მამიდა და ბიძა - კატო და ვანო, გერმანიაში მცხოვრები შესანიშნავი ადამიანები - გამორჩეულად პატივს სცემდნენ ძმებ ნიკურაძეებს და ამბობდნენ, რომ ისინი უაღრესად კულტურული, ინტელექტუალური და ღირსეული მოღვაწეები იყვნენ.

...კიდევ ერთხელ მგვრის სევდას სიტყვები „სადაურსა სად წაიყვან...", ვინ იცის, მერამდენედ. მაგრამ თავს იმ ფიქრით ვიმშვიდებ, რომ ოდესმე მაინც, სიცოცხლეში თუ სიცოცხლის მერე, ყველა ასეთი, ბედის უკუღმართობის გამო სამშობლოს დაცილებული ადამიანი, რაღაცა სახით ბრუნდება შინ.


ამ პატარა სახლში შემოსული სტუმარი, რაღაცა ძალით, ადვილად ხდება მასპინძელი.

2003 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე ნიკურაძე ოსკარ ოიგენ გიუნტერის არქივის სახით შინ მაინც დაბრუნდა, ხოლო საელჩოში ჩატარებული 2002 წლის 14 ნოემბრის საღამო საქართველოს ევროპული ორიენტაციის კიდევ ერთი მშვენიერი დადასტურება იყო.

ამა წლის 14 იანვარს გამართული საღამოც შინაგანად ამავე ხაზის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამჯერად კედლებს მართლაც რომ ამშვენებდა თენგიზ მირზაშვილის, ანუ ყველასათვის საყვარელი ჩუზჩიკას და მისი ვაჟის - გია მირზაშვილის ნამუშევრები. ლიუბეკიდან ჩამოსულმა ჩუზჩიკას შვილიშვილმა გიორგი კიკნაძემ და მისმა მამამ, ანუ ჩუზჩიკას სიძემ რეზო კიკნაძემ - შესანიშნავმა კონტრაბასისტმა და საქსოფონისტმა - არაჩვეულებრივი კონცერტი გამართეს. ოჯახურ ტრადიციებზე ძველთაგან შეყვარებული გერმანელები, ერთი მხრივ, მშვიდი, ინტიმური საუბარივით მომხიბლავი ჯაზური მუსიკით, საოცარი ქართული ფერადოვნებით, დახვეწილი ფორმების ხილვით ტკბებოდნენ, და მეორე მხრივ, ასეთი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ერთი ოჯახის გაცნობით.

სამწუხაროდ, გიორგის დედამ, ანუ ჩუზჩიკას შვილმა - ტოტომ ვერ შეძლო ამ საღამოზე ჩამოსვლა და არც თავისი ნახატები გამოგვატანა - ეს რა გამოსაფენიაო. ტოტოს გრაფიკა, სანდო ადამიანების თქმით, ძალიან საინტერესო და, დიახაც, გამოსაფენია, მაგრამ, აბა, რა ძალა გვქონდა არ დავმორჩილებოდით. სამაგიეროდ, ამ ექსპოზიციის მოსაწყობად სწორედ ტოტო ჩამოვიდა ლიუბეკიდან. ყოველი სურათი ფორმის და ფერის მიხედვით სწორედ მასთან ერთად განვალაგეთ კედლებზე და ახლა ისეთი განცდა მაქვს, რომ ტოტოც აქ არის.

საღამო ტრადიციულად კოტემ გახსნა. ერთი-ორი სიტყვა თქვა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის ჩუზჩიკა და მისი შემოქმედება, და რომ თითქმის არ არსებობს ჩვენში ოდნავ მაინც თავმოყვარე ოჯახი, რომელსაც მისი ნახატი არ ჰქონდეს შინ, რომ ეს ერთგვარი დასტურია ქართველობის და მერე სიტყვა რადიო „თავისუფლების" ბერლინელ კორესპონდენტს გიორგი მაისურაძეს გადასცა. გიორგიმ უფრო ვრცლად ილაპარაკა კიკნაძე - მირზაშვილების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ ოჯახურ სურათში გიორგის ბაბუა ზურა კიკნაძეც სათანადოდ იქნა ჩართული. გიორგი მაისურაძემ დამსწრეთ ისიც უთხრა, რომ ეს მშვენიერი ნახატები სტუმრებს შეუძლიათ იყიდონ სულ მცირედ ფასად; თანხა კი გადაეცემა გიორგი კიკნაძეს - ჰამბურგის კონსერვატორიის სტუდენტს, სწავლის გასაგრძელებლად. სტუმრებმა ორმაგი სიამოვნებით შეიძინეს ნახატები: ჯერ ერთი, ასეთ სიმბოლურ ფასად - ასეთი ნამუშევრები! თითქმის დაუჯერებელი იყო. და ამას კიდევ ემატებოდა უმნიშვნელოვანესი მომენტი - მათ თვალწინ იდგა დახვეწილი, შესანიშნავი ახალგაზრდა მუსიკოსი, რომლის შემდგომი დაოსტატებისთვის ხელის შეწყობის შანსი ეძლეოდათ!

ოჯახურ, თბილ ატმოსფეროს ისიც უსვამდა ხაზს, რომ საელჩოს ქალებმა ჩვენი გამომცხვარი ტკბილეული და შესანიშნავი ქართული ღვინო შევთავაზეთ სტუმრებს. იმ დღეს ხომ ჩვენებური ახალი წელი იყო - 14 იანვარი.

2003 წლის 21 მარტი. საელჩოში „ვეფხისტყაოსნის" საღამოა. უცნაური სიტუაციაა - მასპინძლებად თავს მარტო ჩვენ, ქართველები კი არა, გერმანელებიც გრძნობენ და ღელავენ - რუსთაველის წინაშე პასუხისმგებლობა არ არის უბრალო - იციან. შესანიშნავმა რეჟისორმა და მსახიობმა ვერენა ფონ კერსენბროკმა „ვეფხისტყაოსნის" გერმანული თარგმანი უნდა წაიკითხოს. გია ქობულაშვილმა, თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორმა და ინგოლშტატის ქართული ორკესტრის მუსიკოსმა, ჰობოიზე ბაროკოსა და თანამედროვე ნაწარმოებები უნდა შეასრულოს. მე, თქვენმა მონა-მორჩილმა კი პროლოგიდან და ეპილოგიდან ორ-ორი სტროფი ქართულად უნდა წავიკითხო, რათა გერმანელების სმენას ქართული ჟღერადობაც მოხვდეს. კედლებზე ვერენას და დათო გუჯაბიძის არაჩვეულებრივი ფოტოებია გამოფენილი - თბილისი... ვარძია... ლამაზი და ჭუჭყიანი, ნატიფი და დანგრეული, გონებამახვილი და დაღლილი, სევდიანი და მხიარული ჩემი სამშობლო.

დარბაზში ჩვენი ბერლინელი მეგობრები იკრიბებიან. აქვე არის ქართული დელეგაცია თამარ ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ეს დღეები გერმანიას სტუმრობს. პირველ რიგში ავსტრო-უნგრეთის მეფის ასული გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი და გერმანიის ერთ-ერთი უპირველესი მეწარმე კლაუს ჰიპი სხედან - საქართველოს დიდი მეგობრები. დღეს ისინი ამ საღამოზე დასასწრებად ორი საათის წინ სპეციალურად ჩამოფრინდნენ და ხვალ დილას ადრე ციურიხში მიფრინავენ. დაღლილები არიან. და რაც უფრო დაღლილები არიან, ასე მგონია, მით უფრო მშვენობს მთელი ეს საღამო და „ვეფხისტყაოსანი". ვუყურებ გაბრიელას - არც საყურე, არც ბეჭედი, არც მძივი, არანაირი სამკაული, ზის გამართული ნამდვილი მეფის ასული. დღეს ისიც მასპინძელია და როცა შესვენებაზე ერთი ქალბატონი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის მეუღლე, კითხვას დაუსვამს - თქვენ რა კავშირი გაქვთ საქართველოსთანო, გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი მოზღვავებული ემოციისგან პაუზას აკეთებს და მერე მოკლედ პასუხობს - „დიდი კავშირი". მახსენდება, როგორი ხელმწიფური სიმკაცრით დასაჯა ერთ-ერთი ქვეყნის ელჩი თბილისში ყოფნისას იმისათვის, რომ მან სათანადო პატივით არ მოიხსენია ჩვენი ადათ-წესები: თქვენ იცით კი, რა არის საქართველო?!

აი, ვერენამ, გაბრიელამ და კლაუსმა იციან. იციან და დიდი სურვილი აქვთ, სხვებსაც გაუზიარონ. ვერენა ისეთი ოსტატობით კითხულობს ჩვენს პოემას, გერმანულად ხან პროზად თარგმნილსა და ხან პოეტურად, რომ მსმენელს პირველივე ფრაზიდან აჯადოვებს. მეთორმეტე საუკუნის შედევრი ცოცხალი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ვგრძნობ, რომ ევროპული თავაზიანობა არ ათქმევინებთ ქათინაურებს, სტუმრები მართლაც გაოცებულები და მოხიბლულები არიან. ანდრეა ვინკარტი კი, ჩვენი ძველი მეგობარი, ხვალვე აპირებს ამ „ულამაზესი და ბრძნული" წიგნის შეძენას. შუა საუკუნეების დროინდელი მუსიკა, სადა და მელოდიური, გიას ჰობოით აჟღერებული, კიდევ უფრო ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნის" ფერგაუსვლელ მშვენებას.

თვალით ვეძებ ინგოლშტატიდან სპეციალურად ჩამოსულ ჩემს მეგობრებს - სალომე გაბუნიას და ნოდარ ჟვანიას. ზუსტად ერთი წლის წინ ჩავიფიქრეთ მე და სალომემ ამ საღამოს საელჩოში ჩატარება და, აი, ავასრულეთ კიდეც. დღეს სალომე და ნოდარიც მასპინძლები არიან.

... ერთი სიტყვით, ამ პატარა სახლში შემოსული სტუმარი, რაღაცა ძალით, ადვილად ხდება მასპინძელი.

ეგებ მზისფერი სახლის ფუნქციაც ეს არის?!



www.24hours.ge 24 B

ყოველ 8 მაისს ევროპელები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას ზეიმობენ.

1945 25 აპრილს ამერიკული და საბჭოთა ჯარები ერთმანეთს მდინარე ელბის სანაპიროსთან შეხვდნენ. ხუთი დღის შემდეგ ბერლინის ბუნკერში ჰიტლერმა თავი მოიკლა. ადმირალმა კარლ დოენიცმა კი მეკავშირეთა შტაბს ომის დამთავრების შესახებ თანხმობა განუცხადა. უკვე 7 მაისს, ღამის 2სთ.41წთ.-ზე ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც გერმანული ჯარები მეკავშირეებს უპირობოდ ნებდებოდნენ და ყველა ფრონტზე წყვეტდნენ ომს. ხელშეკრულება ძალაში სწორედ 8 მაისს დილის 11სთ.01წთ.-ზე შევიდა. ასე დამთავრდა ომი ევროპაში, რომელიც ექვს წელიწადს გაგრძელდა და მილიონობით ადამიანი შეიწირა.

# როგორ გადარჩა აკაკი გაბრიჩიძე

რამდენიმე ეპიზოდი დიდი ომის ისტორიიდან

ანა კორძაია-სამადაშვილი

*1942 წლის 11 აგვისტოს აკაკი გაბრიჩიძეს 18 წელი შეუსრულდა. იმავე წლის 29 სექტემბერს ის ჯარში წაიყვანეს. გაწვევის დღეს 56 კილოგრამს იწონიდა, 1943 წლის მარტში კი სახლში 43 კილოგრამიანი აჩრდილი დაბრუნდა. "მახსოვს, სადგურში ორმა ქალმა დამინახა, და ერთმა მომაძახა: "ნეტავი შენს დედას, ცოცხალი რომ დაუბრუნდი, და ვაი შენს დედას, თუ ძროხა არა ჰყავსო." დედაჩემს ძროხა კი ჰყავდა, მაჭამა, მასვა და თვალებში გამოვიხედე..."*

## საბჭოთა ჯარში

ბაქოსთან განლაგებულ ნაწილში სამსახური ძალიან მძიმე იყო: "მავნებლობა იყო, რა," ყვება ბატონი აკაკი. "ქარს ქვიშა მოჰქონდა, უსათვალოდ თვალს ვერ გაახელდი, ჩვენ კიდე სათვალეს ვინ მოგვცემდა და დავდიოდით ასე, თვალებდახუჭულები". მდუღარე წვნიანით სავსე ქვაბს ორი ადამიანი უნდა მიჯდომოდა, და იმისთვის, რომ მეორეზე მეტი ეჭამათ, ქაფქაფა საჭმლით იწვავდნენ პირს.

ბაქოდან ახალწვეულებს კიროვოკანში, შემდეგ კი ლენინაკანში უკრეს თავი, "უდაბნო, უჯიშო ადგილას". ნაწილში ქართველები სამნი იყვნენ, ორი მათგანი ნაკლებად გამძლე აღმოჩნდა და ყაზარმებიდან გაასვენეს, აკაკი კი სახლში დააბრუნეს – "ორმოცკილოიანი ჯარისკაცი გაგიგია?"

შინ დაბრუნებული და მოკეთებული აკაკის არსებობა, როგორც ჩანს, შურითავსებდა მეზობლის გულს – მისი შვილი ფრონტის ხაზზე იბრძოდა, ეს კი – არა! მეზობელმა კომისარიატში იჩივლა.

"მამაჩემი 1914-დან 1918 წლამდე ომში იყო, ნაომარი კაცი იყო, ციხის კი ძალიან ეშინოდა. კომისარს ეხვეწა, ოღონდ ციხეში ნუ ჩასვამ, და თუ გინდა, ფრონტის ხაზზე გაუშვიო". ასეც მოხდა: ის ნაწილი, რომელსაც მიამაგრეს, გორში ჩასულ რიგით გაბრიჩიძეს უკვე გამგზავრებული დახვდა, ამიტომ წალვერში გადაიყვანეს და იქიდან, - "გნა, ბაჭია!" – საგანგებოდ მომზადებულ და ჩაცმულ-დახურულ ფეხოსანთა ასეულის შემადგენლობაში, კალინინის ოლქში ამოყო თავი, ფრონტზე.

## ფრონტის ხაზზე

თურმე, თუ თოვლისგან ბლოკებს გამოჭრით და ბლოკებისგან სარდაფს ააშენებთ, შიგ ცეცხლის დანთებაც კი შეიძლება. ჯარისკაცები სარდაფებს ზედ თოვლს აყრიდნენ ხოლმე და თვითმფრინავიდან ვერავინ დაინახავდა, რომ აქ დაცვის ხაზი გადიოდა, ისე იყო მიდამოსთან შერწყმული...

აკაკი გაბრიჩიძე მეკავშირე იყო – ასეულის მეთაურს და ოცეულის მეთაურს ერთმანეთთან რაციით აკავშირებდა. იმ დღეს, როცა ტყე-ტყე მიიწევდნენ ფრონტის ხაზისკენ, მეთაურმა სწორედ ის გაგზავნა არყის მოსატანად – შეტევის წინ ყოველ ჯარისკაცს 100 გრამი ეკუთვნოდა, "რომ გათამამებულიყვნენ. დალევდნენ არაყს და - "ვაშა!" – მამაცურად უტევდნენ".

დაბომბვა დაიწყო, "ისე კი არა, ერთს რომ დაიგრიალებს. გუგუნი იდგა". უკან მომავალმა ჯარისკაცმა გაბრიჩიძემ თავისი წილი არაყი დალია, მერე კი გაახსენდა, რომ ჭურვი ერთსა და იმავე ადგილას არასოდეს ვარდება, და თხრილში ჩაძვრა. იქ თავის ულუფას შეექცა და არაყიც დააყოლა.

როცა თავისიანებთან მიაღწია, აღმოჩნდა, რომ მისი მეკავშირეობა აღარავის სჭირდებოდა: ოცეულის მეთაურს ტყვია მის თვალწინ მოხვდა, დანარჩენები კი უკვე დახოცილები ეყარნენ. "ერთი უზბეკი ბიჭი იყო, ის ჯერ კიდევ გორავდა, და მეორეს სახეში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი და ხრიალებდა. აღარავინ ისროდა, და მერა მომივიდა, არ ვიცი – ან სასმელმა მიქნა, ან სხვა რამემ – სროლა დავიწყე. გერმანელებმაც ისევ დაიწყეს სროლა. ესროლათ, რა, მაინც აღარავინ იყო ცოცხალი."

შემდეგ დაინახა, როგორ მოდიოდნენ წელში მოხრილი, ავტომატიანი გერმანელები, და თავი მოიმკვდარუნა. ერთმა გერმანელმა ჯერ დაჭრილი უზბეკი მოკლა, მერე – მეორე მომაკვდავი. "ვიფიქრე, ახლა მეც მიმაყოლებს-მეთქი, და ავწიე ხელები..."

## მოწყალე მტერი

"რამდენი წლის ხარ?" ჰკითხა აკაკის გერმანელმა. მანაც გერმანულად უპასუხა, "სკოლაში კარგად ვსწავლობდი და ვიჩერჩეტე რაცხა."

პირველსავე დღეს, როცა სისხამ დილით სამუშაოზე გაიყვანეს – "აქაც "აბარონა" უნდა მეკეთებინა" - ტყვეს რკინის იარაღი მისცეს ხელში. სასტიკად ყინავდა და შიშველი ხელი უმალვე მიეყინა ლითონს. "რაღა უნდა მექნა? ძალიან მწარე იყო. ამ დროს გერმანელ ოფიცერს შევეცოდე, თავისი ტყავის ხელთათმანები მომცა და თვითონ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები. საღამოს, მუშაობას რომ მოვრჩი, დავუბრუნე." ორი კვირის შემდეგ გერმანელებმა 60-მდე სხვა ტყვესთან ერთად აკაკი გაბრიჩიძეც ვაგონში "ჩატვირთეს", და მატარებელი გერმანიისკენ დაიძრა.

## ბანაკი

ბილეფედთან გაჩერებულ შემადგენლობას ჯარისკაცები დახვდნენ. "ძაღლები ჰყავდათ. რად უნდოდათ ძაღლები, გაქცევა ვის შეეძლო! სამი მკვდარი გადმოიტანეს, შიმშილისგან ფეხზე ვერ ვიდექით. სამ-სამად დაგვაწყეს, გადავხვიეთ ერთმანეთს ხელი და ვიარეთ ასე ბანაკამდე".

ბანაკში, რომელიც 25 ათას ტყვეს იტევდა, ახალმისულებს "ბალანდა" ჩამოუსხეს. "ორი კოვზი მოვხვრიპე და მერე აღარ მახსოვს. გონს რომ მოვეგე, სარდაფში ვეგდე, სიბნელეში. მივხვდი, სადაც ვარ, ოთხსართულიანი "ნარების" ქვეშ შევძვერი და დავწექი".



აკაკი გაბრიჩიძე იხსენებს.

ბანაკში ტყვეებს მხოლოდ იმდენს აჭმევდნენ, რომ სული შერჩენოდათ. "მაშინ გერმანიასაც უჭირდა, რა ექნათ. ვინც სამუშაოებზე იყვნენ, იმათ აჭმევდნენ." ამიტომ სამუშაოზე გასვლა ყველას უნდოდა. "მოდიოდნენ ხოლმე კაპიტალისტები, დაგვაწყობდნენ ერთ ხაზზე 900 კაცს, და მუშებს არჩევდნენ. ჯანიანები მიჰყავდათ, მე ვის რად ვუნდოდი."

ერთხელაც, "ბედი იყო თუ უბედობა", ერთი ოფიცერი მოვიდა მოჯამაგირის ასარჩევად. რატომღაც აკაკი მოეწონა, მაგრამ თარჯიმანი რუსი ახლდა, იმას კი თავისიანის შველა უნდოდა, და ოფიცერს უთხრა, ეს ქართველია და სტალინიც ქართველიაო. ოფიცერმა ჩაიარა, მწკრივის ბოლოს გავიდა, მაგრამ ვერავინ აირჩია და ისევ უკან დაბრუნდა. "ისევ მე მოვეწონე. სხვა ვეგონე, რას მიცნობდა ამდენ ხალხში! მაგრამ იმ დამპალმა ისევ უთხრა, ეს ის ქართველიაო. აიჩეჩა ოფიცერმა მხრები და წავიდა."

ასე ცხოვრობდა გაბრიჩიძე ბანაკში, "ხან ცოცხალი, ხან მკვდარი". შვიდი თვის თავზე კი, 1944 წლის აგვისტოში, მასაც გაუმართლა.

## ქარხანაში

ერთი ქარხნის მფლობელმა 14 ადამიანი წაიყვანა, ყველაზე სუსტები – სილის ფორმების გაკეთებას ისინიც მოახერხებდნენ, თან ძლიერიც აღარავინ იყო... ასე აღმოჩნდა აკაკი ქარხანაში.

"ერთი პატარა, თეთრი ქალი იყო, გერმანელი. ლამაზი ქალი იყო. ჩემს გვერდით მუშაობდა. აქ ხომ ისედაც უკეთ მაჭმევდნენ, ვიდრე ბანაკში, ამას კიდევ ხან სიგარეტი მოჰქონდა, ხან ბუტერბროტი... ამის კეთება აკრძალული იყო, ამიტომ ჩუმად, კუთხეში გავყავდი ხოლმე და იქ მიყურებდა, როგორ ვჭამდი".

საერთოდ, ბანაკში ქართველ გაბრიჩიძეს მრავალი მფარველი გამოუჩნდა. საქმე ის გახლდათ, რომ გერმანელ მუშებს სასადილოში უფასო კვება ეკუთვნოდათ, მაგრამ ზოგი, უფრო შეძლებული, სახლში სადილობდა ხოლმე. "ერთი მაღალი, ქერა გერმანელი საშრობში მუშაობდა, ურიკით მიჰქონდა საშრობში ჩვენი გაკეთებული ფორმები. როცა ჩამივლიდა ხოლმე, ხელს წამკრავდა, და ვხვდებოდი, რომ საშრობის კუთხეში ჩემთვის საჭმელი ჰქონდა გადადებული. მერე, ქარხანაში ძველი ტყვეებიც იყვნენ, იმათ კარგადაც აჭმევდნენ და ფულსაც კი აძლევდნენ, ოღონდ მარკებს კი არა, სხვა ფულს, "პლენსკის". იმათაც ვეცოდებოდი, და ასე, თვალებში გამოვიხედე."

## გაქცევა

მოკავშირეებმა გერმანიას შეუტიეს. დაბომბვა დაიწყო. განგაშის დროს ტყვეებსაც ჰქონდათ გაქცევის უფლება – გაიქცეოდნენ და მობრუნდებოდნენ, შორს სად იყვნენ გამქცევი!

"ერთი მეგობარი მყავდა იქ, ვასია. ვუთხარი, ომი მალე დამთავრდება, აწი განგაში რომ იქნება, გავიქცეთმეთქი. სილის ფორმებს რომ ფქვილს ვურევდით, იმისგან პურ-წყალი დავაცხვეთ საგზლად. სილა კი კბილებში კრაჭუნობდა, მაგრამ არ გვწყენდა. დავაცხვეთ და ველოდით განგაშს".

განგაში! აკაკი და ვასია უმალვე გაიქცნენ. უცებ გამოაცხადეს, ცრუ განგაში იყოო. ორი ტყვეს გარდა, ყველა ქარხანაში დაბრუნდა, და მაშინ კი ნამდვილად დაბომბვა დაიწყო. "ქალაქგარეთ, მინდორში ვიწექით მე და ვასია და ვუყურებდით, როგორ ბომბავდნენ ქალაქს. მიწასთან გაასწორეს ყველაფერი. ჩვენი ქარხანაც."

ერთი კვირა გადარჩენილმა ტყვეებმა ქალაქში იარეს, ღამეს სარდაფებში ათენებდნენ. ერთი კვირის თავზე კი საგზალი გამოელიათ, ძალიან მოშივდათ და სოფლისკენ აიღეს გეზი. "გადარჩენა მინდოდა. ვიცოდი, რომ ომი მალე დამთავრდებოდა და, პირველ რიგში, ბანაკებს გაათავისუფლებდნენ, და მინდოდა, რომ ისევ დავეჭირეთ და ბანაკში ჩავესვით."

ცხადია, პირველსავე სოფელში დაიჭირეს. "საით?" შესძახა გერმანელმა სამხედრომ. სოფელში ლამის ყველა ოჯახს ჰყავდა "რუსები", საბჭოთა მონები. ერთი ხელზე მოსამსახურე ქალი გამოიყვანეს თარჯიმნად, და აკაკიმ უამბო, რომ მათი ქარხანა დაინგრა, ბანაკი ვერ იპოვნეს და აღარ იციან, რა ქნან. გერმანელმა ბრალი ვერ მოუნახა და მათი გამგზავრება იტვირთა. დამშვიდობებისას კი რუსი ქალი აკაკის და ვასიას მოეხვია. "რომ გაგვიშვა, ჯიბეებში კვერცხები გვეწყო. ჩუმად გავტეხეთ და დავხვრიპეთ." ცოტა ხანში აკაკი და ვასია კვლავ "მშობლიურ" ბანაკში აღმოჩნდნენ.

## დიდი გზა

მოკავშირეთა ჯარების გერმანიის ტერიტორიაზე შესვლისთანავე, ბანაკის დაცლა დაიწყო – ტყვეებს ქვეყნის სიღრმეში, აღმოსავლეთისკენ მიერეკებოდნენ. მათ თეთრი ზეწრები დაურიგეს – თეთრი დროშები, რომ მტრის თვითმფრინავებს არ დაებომბა. "ისედაც გვეტყობოდა, ვინ ვიყავით, არავინ გვეკარებოდა, თან ეს ვედროები..."

თურმე – ვინ იცის, იქნებ ჩვენც დაგვჭირდეს – საჭმლის გაკეთება სიარულის დროსაც შეიძლება. ტყვეები დიდ სათლს ხვრეტდნენ – რომ ჰაერს ემოძრავა, შიგ ცეცხლს ანთებდნენ და ზემოდან თავიანთ პატარა ქვაბებს ჰკიდებდნენ, რომლებშიც სიარულსიარულში მათი უბადრუკი ულუფები იხარშებოდა. ასეთი "მობილური სამზარეულოები" ორ-ორ კაცს მიჰქონდა ხოლმე, სანამ ძალა შესწევდათ.

მარტში, მოგეხსენებათ, ცივა, და ღია ცისქვეშ ღამისთევამ და შიმშილმა თავისი ქნა: ერთ დილას აკაკი მიხვდა, რომ ფეხი აღარ ემორჩილებოდა. "ძლივს მივჩანჩალებდი, მაგრამ მერე გავიხსენე, ომი მთავრდება, რა დროს ეგაა-მეთქი, მერე გავხურდი და გავიარე."

ის, რომ ომი მალე დამთავრდებოდა, დიდი ნუგეში იყო. "ბოლო დღეს, მახსოვს, ტყის პირას გაგვაჩერეს. იქვე ერთ მოსახლეს კარტოფილის ყანა ჰქონდა, მაგრამ გერმანელმა გაგვაფრთხილა, ერთი ცალიც რომ მოიპაროთ, დაგხვრეტთო. ერთმა ჩვენიანმა მაინც მოიპარა და გერმანელმა შიგ გულში ესროლა. მერე ჯიბიდან პური ამოუღო და იმ გულზე დაადო. რად უნდოდა იმ უბედურს კარტოფილი, თუ პური ჰქონდა, დაეცადა კიდევ ერთი დღე..."

მეორე დღეს გზაზე იტალიელი ქალი შემოეყარათ, რაღაცას ყვიროდა, ვერ გაიგეს. თურმე გათავისუფლებას ულოცავს! "გერმანია თავისუფალია!" ყვიროდა იტალიელი. "გავიხედოთ და აღარავინ მოგვყვება, გერმანელები ჩუმ-ჩუმად დაიშალნენ. არც იმათ უნდოდათ ჩვენი გაწვალება..."

■ ■ ■

1947 წლის პირველ მაისს აკაკი გაბრიჩიძე სახლში დაბრუნდა. ძალიან გაუმართლა: მისი ტყვედ ყოფნის შესახებ საბუთებში არაფერი იყო ნათქვამი. უკანასკნელი ათი წელია, ის შავნაბადას მონასტერში ცხოვრობს. ბერი არაა, მონასტრის მკვიდრნი სიყვარულით "პეტროვიჩს" ეძახიან.

მონასტერში ასულებს გვითხრეს, პეტროვიჩი ავადაა, და, სიმართლე გითხრათ, გულს შემომეყარა – ბევრი ვერაფერი ზრდილობაა ხანშიშესული, ავადმყოფი ადამიანის შეწუხება, თან, ვინ იცის, სულ არ ჰქონდა ჩვენი თავი... მაგრამ ოთახში შესვლისთანავე მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა: იდაყვზე დაყრდნობილი, ბუნდესვერის სვიტრში გამოწყობილი მამაკაცი ბრჭყვიალა, ახალგაზრდა თვალებით შემოგვცქეროდა და ნამდვილად არ ჰგავდა სნეულს.

"გრიპი?" ვკითხე მე.

"რა ვიცი, გრიპია თუ გვრიტი, ჩამაწვინა კი და... მაგრამ ეგ არაფერი."

# ქართველი "მოღალატეები" ტექსელზე

ნოდარ მალაზონია

"ოზურგეთული ამარკორდის" ერთ-ერთ პასაჟში, ჩემი მეზობლის ტექსელის ტრაგედიის ამბავი გავიხსენე, ჰოდა რას გავიფიქრებდი მაშინ, რომ ორმოცი წლის შემდეგ, თავად მოვხვდებოდი ტექსელზე, საბჭოთა დელეგაციის იმ ჯგუფთან ერთად, რომელიც 1985 წლის მაისში ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო ცერემონიაზე მიიწვიეს ჰოლანდიელებმა და ჩემი თვალებითვე მოვინახულებდი იმ ბუნკერებს, რომლებიდანაც გერმანელები და ქართველები სამკვდრო სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს.

დელეგაცია "გოდექსის" მიერ საგანგებოდ იყო დაკომპლექტებული: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის და საქართველოს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით, რომელთა შორის ქართველები სჭარბობდნენ, რამეთუ ექვსი ჩვენს შორის, მხოლოდ ყოფილი ტექსელის მეამბოხეები იყვნენ (დელეგაციას მიხეილ ბოტვინიკო ხელმძღვანელობდა).

ნიდერლანდებში მოგზაურობის შესახებ მე ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე ჩემი შთაბეჭდილებანი ამ, მართლაც, "ყვავილების ქვეყნის" სწორუპოვრობის შესახებ; ამიტომ ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ ტექსელზე შევაჩერებ, რადგანაც ჩვენი სტუმრობის ძირითადი მისიაც ეს გახლდათ.

მაშ ასე, მოდით ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ტექსელის ჯანყი. როგორც ვიცით, ჰოლანდიაში ფაშისტებს საგანგებოდ ჰყავდათ გადანახული "გადაბირებული" – რუსებისა და ქართველების რამდენიმე ბატალიონი. რუსები, ჰოლანდიის ერთ-ერთ ტყეში, ხოლო ქართველები კუნძულ ტექსელზე, რომელთა ფარული შეთანხმების თანახმად, რუსები და ქართველები ერთდროულად უნდა აჯანყებულიყვნენ, რაც ამბოხის მასშტაბებს ერთობ ზრდიდა და წარმატებების ერთ-ერთი გარანტია იყო.

გადამწყვეტ ეტაპზე რუსებმა გადაიფიქრეს, ხოლო გამცემის მიერ გაყიდული ქართველები მაინც აჯანყდნენ. (შეთქმულები, ტექსელის კომენდატის ფრეილეინმა, რომელიც აჯანყების ერთ-ერთი მოთავის, ლოლაძის საყვარელი იყო, დაასმინა მამასთან. თავად ლოლაძე კი იქვე დაიღუპა ბრძოლებში).

რაც შეეხება რუს ტყვედ "გადაბირებულთა" ბანაკს, იმის შიშით, - ვაი თუ ესენიც აჯანყდებიანო, - გერმანელებმა იმავე ღამით, სამი ათასი რუსი ჯარისკაცი მძინარენი წამოყარა, უმოწყალოდ დახოცა ყველანი და ერთ დიდ ორმოში ჩაყარა.

საბჭოთა დელეგაციამ, სანამ ტექსელზე გადავცურავდით ჯერ რუსების ძმათა სამარხი მოვინახულეთ და ყვავილებით შევამკეთ.

- ია ზავტრა, ნა კლადბიშჩე გრუზინ ნე პოიდუ. – თავისი პატრიოტული გადაწყვეტილება გამანდო ერთმა მოსკოველმა – ონი ჟე იზმენნიკი როდინი (?!.)

აქ კომენტარების გაკეთება სრულიად ზედმეტად მიმაჩნია. მივყვეთ მოვლენებს. ამსტერდამიდან ავტობუსით, იმ პორტს მივადექით, საიდანაც ტექსელამდე ბორნით უნდა მიგვეცურა. გაჩერდა თუ არა ჩვენი ავტობუსი, ატყდა ერთი წიოკობა და ვაი-ვიში. ვხედავ ვიღაცეები ლამის ფანჯრებში შემოძვრნენ.

რაშია საქმე, რა მოხდა?!.

ესენი თურმე ტექსელის მკვიდრნი ყოფილან და როცა შეუტყვიათ, მათთან სტუმრად ქართველები, დიახ ქართველები უნდა ჩასულიყვნენ, სასწრაფოდ აქეთ, ნაპირზედ გამოსულან და ავტობუსში ისე შემოცვივდნენ, აი, გურიაში, გურულები ფრონტიდან დაბრუნებულს რომ ეგებებიან (ესეც შენი ცივსისხლიანი ჩრდილოელები).



ამსტერდამი 1985 წელი. ცენტრში მიხეილ ბოტვინიკი; მეორე რიგში ქართველი მებრძოლები.

არადა მე იმანაც გამაოცა, ჩვენს შორის უყოყმანოდ სწორედ ის ექვსი ქართველი რომ ამოიცნეს.

მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი წინ არის თურმე!

1985 წლის 8 მაისს ამსტერდამის ოპერის თეატრში ოფიციალური საიუბილეო საღამო შედგა. დარბაზი სავსეა, მათ შორის გამორჩეულნი და ომის ვეტერანები საპატიო პრეზიდიუმში მიიწვიეს. აი, ეს ჩვენი ექვსი მეამბოხე კი ვიღაცეებს უკვე ყელში ეჩხირებათ.

გაცეცხლებულ რევაზ თაბუკაშვილს არაფრით არ სურს არსებულ რეალობას შეეგუოს და იგი თავგამოდებით ცდილობს დაარწმუნოს უფროსი ძმები იმაში, რომ მათი საქციელი ულირსია და შეუფერებელი არსებულ გარემოებაში.

ფარდის ახდის წინ ჩვენი სამშობლოს "იზმენნიკებისათვის" რეზომ დიდის ძალისხმევით გამოძებნა ადგილები პრეზიდიუმის უკანა რიგებში.

ამსტერდამის მერი საზეიმო საღამოს გახსნილად აცხადებს და დარბაზს საპატიო სტუმრებს აცნობს: მოსკოვიდან, ესა და ეს... – ტაში. ლენინგრადიდან, ესა და ეს... – ტაში. კიევიდან და მინსკიდან, ესა და ეს... – ტაში.

საქართველოდან, ტექსელის ექვსი მეამბოხე, ესა და ეს... (ვწუხვარ, მათი გვარები ვერ გავიხსენე).

ბატონებო, დარბაზში ისეთმა ტაშმა და შეძახილებმა იქუხა, ვიფიქრე, ჭერი დაგვემხობა-მეთქი.

დიახ! მხურვალე ხანგრძლივი ოვაციებითა და ფეხზე ადგომით გამოხატა თავიანთი უშურველი და გულწრფელი სიმპათიები ნიდერლანდების საზოგადოებამ, ყოფილ ქართველ ტყვე-მეამბოხეთა მიმართ.

რა ვქნა?! ვზივარ ქანდარაზედ, შევცქერი ამ მოულოდნელ მღელვარებას და ვაღვარღვარებ ცრემლებს...

იცით, მას აქეთ, როდესაც ამ ჟამს ვიხსენებ, მუდამ ერთსა და იმავეს ვეკითხები თავს. მაინც რა უნდა გააკეთოს ისეთი სადღაც ცხრა მთას იქით ბედისა თუ უბედობით გადაკარგულმა, ერთმა ზესტაფონელმა, თუ გორელმა ქართველმა კაცმა, რომ ორმოცი წელიწადი ასეთი გულმხურვალებით და განსაკუთრებული სიყვარულით შეინახონ შენდამი პატივისცემა და ასე დემონსტრაციულად გამოხატონ იგი ოფიციალურ დღესასწაულზე?!.

იქნებ ქართველთა სამარხებიც გაინტერესებთ?

მოგახსენებთ! თუკი რამ ადამიანმა შეიძლება ინატროს იმქვეყნიური, ეს სწორედ ქართველ მეამბოხეთა სასაფლაოა ტექსელზედ. ახლა კიდევ ქართველ ნაშიერთა შესახებაც მკითხეთ რაიმე? გარწმუნებთ! ერთობ მომხიბვლელად გამოიყურებიან ქართველ-ნიდერლანდური ნაჯვარნი. გრუზა თმიანნი და შავწვერულვაშა შვილები; აი, შვილიშვილებს კი ისევ ოქროსფრად უელვარებთ თმები.

- აქ სამოთხეში ყოფილხართ და რას მორბოდით, ვერ დარჩით აქ? – ყასიდად ვკითხე ერთ-ერთს.

- რას ამბობ, ნოდარია, რამდენჯერაც კოინდარზედ გადავგორდი და ცას ავხედე, იმდენჯერ ჩემი ეზო და ჯარგვალა მახსენდებოდა... იცი ეს შენ, რა არის ან რა განცდაა...

არა! ეს მე, მართლაც, არ ვიცი; მაგრამ ის კი ვიცით, რომ საბჭოეთში თითო-ოროლა დაბრუნებულებს ჯარგვალამდე გზა ერთობ რომ გაუგრძელდათ და დიდხანს ციმბირის ტრამალებს მისჩერებოდნენ, სადაც აღარც მეამბოხეთა ერთსულოვნება სუფევდა, აღარც ტექსელის მკვიდრთა თანადგომა და მზრუნველობა და არც სათუთად მოვლილი, ყვავილებში ჩაფლული თანამებრძოლთა საფლავები.

## მოკლედ

### ტოლკიენის სახლი

ცნობილი მწერლის ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის სახლი, რომელიც ოქსფორდის ცენტრში მდებარეობდა, 745 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა და ეს იმისდა მიუხედავად, რომ სახლს არც სამზარეულო და არც ცენტრალური გათბობა არ გააჩნია.

სახლის შეძენის მსურველი ძალიან ბევრი იყო, რადგან იგი ტოლკიენის სუპერპოპულარული ტრილოგიის "ბეჭდების მბრძანებელთან" ასოცირდება.

ტოლკიენი თავის მეუღლესთან ედიტთან ერთად ამ სახლში 1918 წელს ცხოვრობდა, როცა ის ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა. პირველ რიგში, სახლის შეძენა ტოლკიენის საზოგადოებას სურდა, თუმცა მათ საჭირო თანხა ვერ შეაგროვეს.

სახლი შეძლებულმა მარტოხელა ახალგაზრდამ იყიდა. ახალი მფლობელი აპირებს, რომ სახლს საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტაროს, რაც სულ ცოტა, 200 ათასი ფუნტი სტრელინგი დაჯდება.

### იმპრესიონისტებს დიაგნოზი დაუსვეს

BBC News-ის ცნობით, ავსტრალიელმა ნეიროქირურგმა, პროფესორმა ნოელ დენმა, იმპრესიონისტულ სტილში შესრულებული ნამუშევრების კვლევა ჩაატარა, და თავისი სამეცნიერო შრომის შედეგები გამოაქვეყნა. მისი თეორიის თანახმად, ეს მიმდინარეობა ცუდი მხედველობის შედეგი ყოფილა: ახლომხედველობით დატანჯული მხატვრები სამყაროს თითქმის ერთნაირად ხედავდნენ და სწორედ ამ ნიადაგზე გაერთიანდნენო.

"ყველანი ცოტა ბუნდოვნად ხედავდნენ, იმპრესიონიზმი კი, გარკვეულწილად, სწორედ ამაზეა დამყარებული," ამტკიცებს პროფესორი. ის თვლის, რომ ახლომხედველობა, ანუ მიოპია, მონესაც, რენუარსაც, დეგასაც, სეზანსაც, პისაროსაც და მატისსაც სჭირდათ.

თავის ვერსიას მედიკოსი იმითაც ასაბუთებს, რომ იმპრესიონისტები გარკვეულ ფერს ხშირად ხმარობდნენ, მაგალითად, წითელს. თურმე, მოიპიას "ვუმადლით" რბილ კონტურებს, დეტალების ნაკლებობას და "მოცახცახე" ფერებსაც.

"ახლომხედველები იმას ხედავენ, რაც ახლოსაა, მაგალითად, ტილოს, მაგრამ უფრო შორს მდებარე საგნები ბუნდოვნად ეჩვენებათ. მიოპიის ნიშანი ისიცაა, რომ სპექტრის წითელი ნაწილი უფრო მკვეთრად ჩანს, ვიდრე ცისფერი," ხსნის ავსტრალიელი ნეიროქირურგი. მისი მონაცემების თანახმად, სეზანი და რენუარი სათვალის ტარებაზე უარს ამბობდნენ, თუმცა აშკარად სჭირდებოდათ.

ავსტრალიელი მეცნიერის სტატიას სასწრაფოდ გამოეხმაურა ბრიტანელი ხელოვნებათმცოდნე, ჯონ ჰაუზი. მან დენის გამოკვლევას "სისულელე" უწოდა და შეგვახსენა, რომ "მხატვრებმა ზუსტად იციან, რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ".

### აზბესტი ვერას დაგვაკლებს

მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ტაძარი – რიიკსმუზეუმი, რომელიც დამსახურებულად ითვლება ამსტერდამელთა სიამაყედ, დროებით დაიკეტა. ამის მიზეზი აზბესტია, რომელიც მუშებმა სარემონტო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს. ეკოლოგიურად სუფთა საშენი მასალების ნიადაგზე შეძრულ ევროპელებს ამ აღმოჩენამ გული გაუხეთქა, და ამჯერად სპეციალისტები აზბესტის კვლევას აწარმოებენ – დახოცავს თუ არა ის ორიოდე საათით მიბრძანებულ სტუმრებს,.

მუზეუმს ყოველწლიურად 1,2 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავს, მასში 1 მილიონი ნამუშევარია დაცული, ამიტომ საეჭვოა, რომ დიდი ხნით დაკეტონ. სხვა თუ არაფერი, რიიკსმუზეუმის კოლექციას რემბრანდტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შედევრი, "ღამის გუშაგი" ამშვენებს, და მხოლოდ მის სანახავადაც უამრავი ტურისტი იხდის ფულს...

### პონ ავენის და გოგენის თავგადასავალი

ცოტა სასაცილო ქუდებით დამშვენებული ქალები, მოთამაშე ბავშვები, მხიარული ლანდშაფტი... პოლ გოგენი მშვიდობიან ბრეტანს ხატავდა. 1886 წელს ფრანგი მხატვარი, რომლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავსაც ხელოვნების მოყვარულნი 8 მაისს აღნიშნავენ, პირველად მოხვდა მშვენიერ სოფელ პონ ავენში. სწორედ აქ ეღირსა მას ის, რასაც მანამდე ამაოდ ეძებდა: აღიარება და წარმატება.

"გაქცევა პარიზიდან, რომელიც საწყალი კაცისთვის უდაბნოა. ხატვა და იაფად ცხოვრება. ეს დღეს მხოლოდ ბრეტანშიღაა შესაძლებელი," სწერდა გოგენი თავის დანიელ მეუღლეს, მეტეს. პონ ავენი გოგენისთვის მშვიდობიანი ნავსაყუდელი იყო. ამ ადგილას, რომელიც 1860 წლიდან მთელი მსოფლიოს ხელოვანებს იზიდავდა, გოგენმა აღიარება მოიპოვა. პარიზში ის ექსცენტრულ ლოთად ითვლებოდა, პონ ავენში კი თანამედროვე ხელოვნების მესიად აღიარეს. "აქ დიდი წარმატებით ვმუშაობ. დიდ პატივს მცემენ, როგორც პონ ავენის საუკეთესო მხატვარს". 1886-დან 1894 წლამდე გოგენი მრავალგზის ეწვია პონ ავენს. მხოლოდ 1888 წელს 74 ნამუშევარი შექმნა, 1889-ში – 71, მათ შორის "ყვითელი ქრისტე", "ბრეტონელ ქალთა თავები", "პატარა ბრეტონელი"...

1888 წელს დაარსებული ფრანგი მხატვრების ჯგუფი გოგენის თეორიაზე ახდენდა ორიენტირებას. ასე შეიქმნა პონ ავენის სკოლა, რომელმაც ანტინატურალისტური, სიმბოლური მხატვრობა შექმნა, გამარტივებული ფერებითა და შავი კონტურებით.

პონ ავენში გოგენმა, ემილ ბერნართან ერთად, სინთეტიზმი განავითარა. "ხატვისას მაინცდამაინც ნატურას ნუ გადახატავთ. ხელოვნება აბსტრაქციაა. უფრო გახსნილად მიუდექით ბუნებას. მეტი იფიქრეთ იმაზე, რას შექმნით. მე შეძლებისდაგვარად მარტივად ვხატავ და სინთეზირებას ვახდენ," უხსნიდა გოგენი თავის მოსწავლეებს.

პარიზის ლუქსემბურგის მუზეუმში გახსნილ გამოფენას "პონ ავენის და გოგენის თავგადასავალი" ჰქვია. გოგენის 50-ზე მეტ ნამუშევართან ერთად დარბაზებში გამოფენილია იმ მხატვრების ხელოვნების ნიმუშებიც, რომელთაც, გოგენის კვალდაკვალ, ამ ხელოვანთა კოლონიაში იცხოვრეს და იმუშავეს: ემილ ბერნარი, პოლ სერუსე, ჰენრი მორე და სხვა. ასე, პოლ სერუსემ გოგენის "ხელმძღვანელობით თავისი ცნობილი "თილისმა" შექმნა, პეიზაჟის თითქმის აბსტრაქტული ესკიზი.

„წესით, გამოფენას სახელწოდებად, თითქოს, "გოგენი და პონ ავენის სკოლა" უფრო შეეფერება. "ცნება "სკოლა" "თავგადასავლით" ჩავანაცვლეთ, რადგან "სკოლა" ძალიან რთული კონცეფციაა. გოგენის სახელი სათაურის ბოლოში გადავიტანეთ, რადგან ამ გამოფენაზე მხატვრის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან რეტროსპექტივაზე საუბარიც ზედმეტია. აქ ძირითადი დატვირთვა იმ მრავალ მხატვარზე მოდის, რომელიც გოგენის დროს პონ ავენში იმყოფებოდა," მოყვა გამოფენის ხელმძღვანელი ანრი კარო.

მაშინ, როცა გოგენი პონ ავენს პირველად ეწვია, სოფელში 1500 ადამიანი ცხოვრობდა და 150 მხატვარი მუშაობდა. "მხატვრებმა პონ ავენში საინტერესო და ფერწერული სიუჟეტები აღმოაჩინეს. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მცხოვრებთა რეაქცია იყო. ისინი ხელგაშლილნი შეხვდნენ მხატვრებს, იმ დროს, როცა სხვაგან მათი დანახვა დიდად არ უხაროდათ ხოლმე," ყვება კარო. გოგენიც ამას წერდა: "პონ ავენი სასიამოვნო ადგილია. ერთი თვის ღამის გასათევს, ცხელ საჭმელს და წითელ ღვინოს 75 ფრანკადაც იშოვნი... რა ბედნიერებაა!"




# ჩუმად, თეატრი მოდის!

## იტალიური და ქართული კულტურების შერწყმა

ნათია ვადაჭკორია


აბანოთუბანში

ფესტივალ "საჩუქარის" მორიგი სანახაობა, რომელიც იტალიური "სილენსე ტეატროს" რეჟისორებისა და თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პირველკურსელთა (ამირან შალიკაშვილის ჯგუფი) ერთობლივ ნამუშევარს წარმოადგენდა, აბანოთუბანში შედგა.

ტიპური "სილენსე თეატროს" ანუ სიჩუმის თეატრის კონცეფცია (რომელიც იტალიაში ოცი წელია არსებობს) ერთგვარ პერფორმანსულ, მოძრავ თეატრს წარმოადგენს. მისი ლეიტმოტივია მოგზაურობა და სხვადასხვა ქვეყნებში სკულპტურული ინსტალაციებით ქალაქური ცხოვრების სცენების წარმოდგენა. თეატრი ისეთ ექსპრესიულ ფორმებს ეძებს, რომლებიც რაღაც ერთიანობას ქმნიან თეატრსა და გარემოს შორის - თანაარსებობას ურბანულ სივრცესა და არტისტულ შემოთავაზებებს შორის. გარდა ამისა, თეატრი ახორციელებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, სტაჟირებებს და თეატრალურ ფესტივალებს, რომელთა წყალობით, "სილენსე ტეატრო" რუსეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და ბევრ სხვა ქვეყანაშია ნამყოფი.

აბანოთუბანში შემდგარი პერფორმანსი ორ დღეში მომზადდა და ქუჩის წარმოდგენა გახლდათ. თეთრი თიხით "შექმნილი" მსახიობი-სკულპტურები ულამაზესი აბანოების ფონზე, რომლებიც ბუნებრივ, უფასო და ულამაზეს დეკორაციას უქმნიდნენ მათ, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სიუჟეტებს ასახიერებდნენ – თამაშს, ქართულ სუფრას, ქორწილს, ოჯახურ სიტუაციას, სიკვდილს. ხსენებული წარმოდგენა მხოლოდ სანახაობრივად იყო მდიდარი, მის ემოციურობაზე, დიდ სიბრძნესა და ფილოსოფიურ შინაარსზე კი განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. ქუჩის წარმოდგენის არსი, ალბათ, მხოლოდ სანახაობრივად მდიდარი ეფექტის მოხდენაა და სხვა არაფერი. მაყურებელიც მონუსხულივით თან დაჰყვებოდა მსახიობების გადაადგილებას აბანოს ერთი გუმბათიდან მეორეზე. აბანოთუბნელმა ბავშვებმაც გვარიანად იმხიარულეს. ერთიანად თიხით მოთხვრილ მიმებს კი გოგირდის ცხელი აბანო ელოდათ.

იტალიელ რეჟისორებს - ჯან ფრანკო მალონის და ლუიჯი პეცოტის ("სილენსე ტეატროს") სამხატვრო ხელმძღვანელს მიაჩნიათ, რომ მათი თეატრი გარემოს თეატრია და, შესაბამისად, ყველანაირ სივრცესა და გარემოში თამაშობენ, თუმცა აბანოთუბანში მხოლოდ ჰორიზონტალური სივრცე გამოიყენეს. მათი მიზანია, მთელი გარემომცველი სივრცის დაპყრობა, აივნების, ვერანდების გამოყენება.

იტალიელები, თურმე, ქართველი სტუდენტებით მოიხიბლნენ; ისინი ხომ სამი წლის წინათაც იყვნენ ფესტივალ "საჩუქარის" სტუმრები და ერეკლეს მოედანზე წარმოდგენა გამართეს.

იმედია, იტალიელები არც მომავალში დაგვივიწყებენ და ქართულ-იტალიური კულტურების შერწყმა ისევ მოხდება.

# "ჰამლეტი" - 2002 წლის საუკეთესო სპექტაკლი ვაშინგტონში

## "ციქურიშვილების კომპანია" მორიგ სპექტაკლს NASA-ს მიუძღვნის

ვერა ნეფარიძე


სცენა "ფაუსტი"-დან


სცენა "იდიოტი"-დან

"ისეთი განცდა იქმნება, რომ "სინეტიკი" მალე საშინელებათა ჟანრიდან დადგამს რამეს, მაგალითად, როგორიც "დოქტორ კალიგარის კაბინეტია", - უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ვაშინგტონ პოსტის" თეატრალური მიმომხილველის ეს ვარაუდი, რომელიც "სალომეას" მიუძღვნა, არ გამართლდა. საშინელებათა ჟანრს არა, მაგრამ უმაღლესი ამერიკული პრემიით დაჯილდოებულმა ქართველმა თეატრალებმა ფანტასტიკას ნამდვილად მიმართეს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მათ ასეთი გეგმები აქვთ... მართალია, პაატა ციქურშვილს ჯერ არ მიუღია რეზო გაბრიაძისგან თანხმობა, მაგრამ რეჟისორი მომავალ სეზონზე, როდესაც აშშ-ში NASA-ს საიუბილეო სამზადისი დაიწყება, აპირებს საიუბილეო ღონისძიებათა რიგს "შერეკილების" მიხედვით დადგმული ამ სპექტაკლით შეუერთდეს.

"24 საათი" წერდა, რომ ვაშინგტონში "ციქურიშვილების კომპანიის" სახელით ცნობილი "სინთეტური თეატრის" (Synetic Theatre) ორი ნამუშევარი, - "ჰამლეტი" და "სტუმარ-მასპინძელი" წელს ამერიკაში უმაღლეს თეატრალური ჯილდოს რამდენიმე ნომინაციაზე წარადგინეს. 5 მაისს, კენედის ცენტრში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე გაირკვა, რომ თეატრმა შვიდი ნომინაციიდან (საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო ქორეოგრაფია, საუკეთესო სპექტაკლი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება; საუკეთესო სპექტაკლი) სამში გაიმარჯვა. სამივე ჯილდო შარშან დადგმულმა "ჰამლეტმა" აიღო. ეს ნომინაციებია: საუკეთესო ქორეოგრაფია, საუკეთესო რეჟისურა და წლის საუკეთესო სპექტაკლი. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სპექტაკლზე ცნობილმა მხატვარმა ალექსი მესხიშვილმა იმუშავა.

"სინთეტური თეატრის" ნამუშევრები და თავად, თეატრის დასის წევრები "ჰელენ ჰეიზის" პრემიაზე დღემდე ჩვიდმეტჯერ იყვნენ ნომინირებულები. აქედან აღსანიშნავია, რომ თეატრის მთავარმა ქორეოგრაფმა (რომელიც ამავე თეტარის დამდგმელი რეჟისორის, პაატა ციქურიშვილის მეუღლეა), ირინე ციქურიშვილმა პირველი "ჰელენ ჰეიზი" საუკეთესო ქორეოგრაფიისთვის 1999 წელს მიიღო. რაც შეეხება პაატა ციქურიშვილს, მისთვის წლევანდელი გამარჯვება პირველი და მეტად მნიშვნელოვანი იყო. მანამდე ამ ჯილდოზე ის ერთხელ უკვე იყო წარდგენილი. ცნობისათვის, უნდა ითქვას, რომ "ჰელენ ჰეიზის" ჯილდოზე მხოლოდ ვაშინგტონის თეატრებს წარადგენენ, ხოლო ცალკეულ თეატრალებს – მთელი აშშ-დან.

"ჰელენ ჰეიზის" პრემიის მიღება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამერიკაში ის უმაღლესი თეატრალური ჯილდოა. არც ვიცი, საქართველოს მაგალითზე რას შევადარო; ისე, აქ ამბობენ, რომ ესაა "თეატრალური ოსკარი". ეს გამარჯვება ჩემთვის მოულოდნელიც იყო, მითუმეტეს, რომ ჩვენთან ერთად წელს წარდგენილები იყვნენ ამერიკის საკმაოდ დიდი და ავტორიტეტული თეატრები, რომლებიც აქ 20-25 წელიწადია მოღვაწეობენ. ჩვენ ხომ მათთან შედარებით პატარები ვართ. არ შემიძლია, არ ვახსენო ამერიკელი მაყურებლის აღფრთოვანება ირაკლი კავსაძის თამაშით. ვინც კი ვნახე, ყველა აღნიშნავდა, ჩვენ ასეთი კლავდიუსი (ირაკლი კავსაძე ციქურიშვილისეულ "ჰამლეტში" კლავდიუსის როლს ასრულებს) არასდროს გვინახავსო", - ამბობს გამარჯვებული რეჟისორი პაატა ციქურიშვილი.

რაც შეეხება "ციქურიშვილების კომპანიის" გეგმებს, თეატრის მთავარი რეჟისორის თქმით, ისინი აპირებენ რეზო გაბრიაძისგან ითხოვონ ნებართვა "შერეკილების" თეატრალური ინტერპრეტაციისთვის. "გაისად ამერიკაში NASA-ს იუბილეს აღნიშნავენ და მინდა, ეს სპექტაკლი ამ იუბილეს მივუძღვნა", - გაგვიმხილა თავისი იდეა პაატა ციქურიშვილმა. ჩვენ კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი თეატრალები ამ ჩანაფიქრსაც წარმატებით გაართმევენ თავს. ამის იმედს "ვაშინგტონ პოსტის" პუბლიკაციის ავტორიც იძლევა: "სალომეა" კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ "ციქურიშვილების კომპანია" ქალაქში ყველაზე მეტად გამოირჩევა თეატრალური შემოქმედებითობითა და ფანტაზიით".

# მრეწველობა გადაარჩენს "საგანძურს"

ნინო ყიფიანი


"მრეწველები" პრეზენტაციაზე

გუშინ მრეწველთა ოფისში ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე ახალი ასოციაციის, "საგანძურის" პრეზენტაცია გაიმართა. ასოციაციის დამფუძნებელია სხვადასხვა დარგის ათი ქართველი მეცნიერი. "საგანძურის" მიზანია კულტურის და ისტორიის ძეგლთა კვლევა და პოპულარიზაცია.

მართალია, ასოციაცია ოფიციალურად გუშინ დარეგისტრირდა, მაგრამ რამდენიმე ღონისძიება უკვე განხორციელებული აქვს. 1990-95 წლებში ტაო-კლარჯეთში რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო. ამ ექსპედიციების დროს გადაიღეს ვიდეო მასალა (თერთმეტი სამსაათიანი კასეტა), რომლის მცირე ფრაგმენტებიც გუშინდელ პრეზენტაციაზეც უჩვენეს; გამოიცა აღმოსავლეთმცოდნე ალექსანდრე გუგუნავას მეგზური "მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში". სტუმრად მიწვეულმა მარიამ ლორთქაფანიძემ კი განაცხადა, - მსავსი წიგნების ქართულად გამოცემა წერე და იკითხეს ტოლფასიაო, "საჭიროა ასეთი წიგნების რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემა, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს განასკუთრებით მომძლავრებულია ქართული ძეგლების მიტაცების ტენდენცია". ლორთქიფანიძის იდეა უცბადვე აიტაცა ბატონმა გოგი თოფაძემ და დამსწრე საზოგადოებას წიგნის რუსული და ინგლისური ვერსიების გამოცემა აღუთქვა.

ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ხელოვნებათმცოდნე ირინე აბესაძეს დიდი იმედი აქვს, რომ წამოწყებული საქმე პრეზენტაციის დონეზე არ დარჩება. მან დღევანდელი სიტუაცია გასული საუკუნის დასაწყისს შეადარა, როცა "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება" და "ქართველ ხელოვანთა საზოგადოება", ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით, ერთად ახორციელებდნენ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; მრეწველები კი ძველ მეცენატებს - სარაჯიშვილს, ხოშტარიასა და ძმებ ზუბალაშვილებს შეადარა; გოგი თოფაძეს კი ლექსითაც შეასხეს ხოტბა - მედიკო მჭედლიშვილმა ლექსი მიუძღვნა თოფაძეს, მის ლუდსა და საქმიანობას. დარცხვენილმა გოგი თოფაძემ თქვა, რომ ეს მისთვის სიურპრიზი იყო.

ირინე აბესაძის სიტყვებით, ასოციაცია ორგანიზებას გაუკეთებს ტურისტულ გასვლებს ტაო-კლარჯეთში: "სტუდენტებს, რომლებსაც ისტორიული ადგილების მონახულების სურვილი აქვთ, გავაყოლებთ კვალიფიციურ გიდს, თუმცა ჩვენ მხოლოდ სამხრეთ საქართველოზე არ ვართ ორიენტირებულები. გეგმაში გვაქვს, შევქმნათ ატლასი, რომელიც ასახავს ქართული კულტურის დინამიკას უცხოეთში – სად რა კულტურული კერა ჩნდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ერთგვარი საინფორმაციო ბანკი".

ამჟამად ასოციაციის ერთ-ერთი წევრი, ფილოლოგი ლალი გვანცელაძე ქართველების მიერ გამოცემულ პირველ ინგლისურენოვან გაზეთებს - The Georgien messanger და The Georgian mail იკვლევს. ამ გაზეთების ნაწილი საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება. "ჩვენი მიზანია, მოვიკვლიოთ ის ნომრები, რომლებიც საქართველოში აღარ არის". "საგანძურის" წევრმა, ვიკა გაგუამ კი ტარტუს უნივერსიტეტში მუშაობისას აღმოაჩინა ქართული ბიბლიოთეკა, სადაც სხვა წიგნებთან ერთად ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მიერ, მათივე ავტოგრაფებით გაგზავნილი უამრავი წიგნი ინახება. უახლოეს მომავალში ასოციაცია სწორედ ტარტუს უნივერსიტეტში გეგმავს მუშაობას.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## მოკლედ

**ფეხბურთი.** "რეალსა" და "იუვენტუსს" შორის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ტურინული კლუბის მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ და მცველმა ლილიან ტურამმა განაცხადეს, რომ რობერტო კარლოსის მიერ "იუვენტუსის" კარში გატანილი ბურთი აშკარა გოლი იყო და ფეხბურთელმა ის წესების სრული დაცვით გაიტანა. "ვფიქრობ, ეს გოლი იყო, რადგან თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილი "რეალის" არც ერთი ფეხბურთელი ბუფონს ხელს არ უშლიდა", - განაცხადა ტურამმა. ასეთივე აზრის იყო თავად რობერტო კარლოსიც.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური გაზეთი **"El Mundo"** იუწყება, რომ "რეალისა" და "იუვენტუსის" გულშემატკივრებს შორის, ამ გუნდების მატჩის დღეს სერიოზული შეხლა-შემოხლა მოხდა. სტადიონ "სანტიაგო ბერნაბეუს" მახლობლად მდებარე რესტორანში "იუვენტუსის" გულშემატკივრებს თავს დაესხნენ "რეალის" გულშემატკივრები, რის შედეგადაც ორმა იტალიელმა ფანმა საავადმყოფოში ამოყო თავი. მადრიდელი პოლიციელები ამბობენ, რომ ჩხუბის მიზეზი უცნობია. ვერც დამნაშავეები დააკავეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თურქული "გენჩლერბირლიგის" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საკუთარი კლუბის მწვრთნელს, ერსუნ იენალს არაფრით არ გაუშვებს სამუშაოდ "ფენერბახჩეში". ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიორად გაიზარდა შანსი, რომ "ფენერბახჩეს" მწვრთნელის პოსტს "პარი სენჟერმენის" ახლანდელი დამრიგებელი, ლუი ფერნანდესი დაიკავებს. უკვე ცნობილია ფრანგი მწვრთნელის მომავალი კონტრაქტის დეტალებიც. "ფენერბახჩეში" გადასვლის შემთხვევაში, ფერნანდესი წელიწადში 1,7 მილიონ ევროს მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "სპარტაკ ალანიას" ქართველმა მწვრთნელმა, რევაზ ძოძუაშვილმა მიუნხენის "ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი, განელი ემანუელ ბენტილი დაიწუნა. ის ოსურ კლუბში გასინჯვაზე იყო, თუმცა, გუნდის ხელმძღვანელებმა ისე გაამგზავრეს შინ, რომ არც ერთი მატჩი არ უთამაშია ("ალანიას" სათადარიგო გუნდშიც კი). 90-ანი წლების ბოლოს ბენტილი ორი სეზონის განმავლობაში თამაშობდა მიუნხენის "ბაიერნის" დუბლშემადგენლობაში და მიუნხენელთა საჩემპიონთალიგო განაცხადშიც კი იყო შეყვანილი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედს" სურს, თავისი ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი კამერუნელ სამუელ ეტო`ოში გაცვალოს. ეტო`ო ახლა ესპანური "მაიორკას" ღირსებას იცავს და ბრწყინვალე სეზონს ატარებს. ფორლანით კი, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად გააქვს უმნიშვნელოვანესი გოლები, "მანჩესტერი" მაინც უკმაყოფილოა. "მაიორკა" ეტო`ოს 8 მილიონ ევროდ აფასებს, თუმცა, ინგლისელებს ამ თანხის გადახდა არ უნდათ და ცდილობენ, კამერუნელი ფეხბურელი ფორლანში გაცვალონ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუხედავად იმისა, რომ უეფა-ს თასის ფინალის ბილეთების გაყიდვა მხოლოდ დღეს დაიწყო, პორტუგალიის "პორტოს" გულშემატკივრებმა ცოცხალ რიგში ორი დღით ადრე დაიკავეს ადგილები. ქომაგებმა შეადგინეს სია, რომელსაც ყოველ 30 წუთში ერთხელ კითხულობდნენ. თუ რომელიმე მათგანი ამ დროს სალაროსთან არ იყო, მას ავტომატურად სწევდნენ სიის ბოლოში. იმის გარდა, რომ გულშემატკივრებს ორი დღის მანძილზე მოუწიათ რიგში დგომა, მათ მხოლოდ 2-2 ბილეთის ყიდვის უფლება აქვთ, რადგანაც ადგილები შეზღუდულია. "პორტოს" გულშემატკივრებისთვის უეფა-მ მხოლოდ 16 ათასი ბილეთი გამოყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "ვალენსია" ინგლისელი ვეტერანით, ტედი შერინგემით დაინტერესდა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი უკანასკნელ სეზონში ლონდონის "ტოტენჰემის" ღირსებას იცავდა. იმის გამო, რომ "ტოტენჰემმა" უეფა-ს თასზე ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვა, გუნდმა შერინგემის გაყიდვა გადაწყვიტა.

37 წლის თავდამსხმელი წინადადებების ნაკლებობას არ უჩივის. მისით დაინტერესებული არიან "ფულემი" და "ჩელსი", ყველაზე მეტად კი - ლისაბონის "სპორტინგი". თუმცა, თუ "ვალენსიამ" შერინგემის შეძენა არ გადაიფიქრა, ინგლისელი ვეტერანის გადაბირებას ყველაზე მეტი შანსი სწორედ ამ კლუბს ექნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილი გახდა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. "ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, ბექჰემის წლიური შემოსავალი 15 მილიონ ევროს შეადგენს. მეორე ადგილზეა "რეალის" ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი (14 მილიონი ევრო), ხოლო მესამეზე - ასევე მადრიდული კლუბის ფეხბურთელი რონალდო (11,7 მილიონი ევრო).

■ ■ ■

**კალათბურთი.** გაიმართა NBA-ს პლეი-ოფის ნახევარფინალური ეტაპის პირველი მატჩები. "დეტროიტ პისტონსმა" "ფილადელფიას" 98:87 მოუგო, ხოლო "დალას მავერიკსისა" და "საკრამენტოს" მატჩში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა - 113:124. მართალია, "პისტონსმა" სერიის პირველი მატჩი მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება მას ჩონსი ბილაპსის ტრავმად დაუჯდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, შეძლებს თუ არა "პისტონსის" გამთამაშებელი შემდეგ მატჩში თამაშს. "საკრამენტომ" კი პირწმინდად გაანადგურა "დალას მავერიკსი". მატჩის განმავლობაში "საკრამენტო" 28 ქულითაც კი იყო წინ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს 2002-2003 წლების სეზონის ყველაზე ძვირად ღირებულ კალათბურთელად დასახელებული ტიმ დანკანი გასულ სამშაბათს NBA-ს სიმბოლური ნაკრების პირველ ხუთეულში შეიყვანეს. ტიმ დანკანი ერთ-ერთია იმ ექვს კალათბურთელს შორის, რომელიც თავისი ექვსწლიანი პროფესიული კარიერის მანძილზე მეექვსედ დაასახელეს სიმბოლურ ნაკრებში. აქამდე ასეთ შედეგს მხოლოდ ერჯინ ბეილორმა, ლარი ბიორდმა, ჯორჯ მაიკანმა, ბობ პეტიტმა და ოსკარ რობერტსონმა მიაღწიეს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მაიკლ ჯორდანი დიდი სპორტიდან ბიზნესში გადავიდა, თუმცა, საკალათბურთო ბიზნესში. ყოფილი ვარსკვლავი NBA-ს კლუბის, "შარლოტ ჰორნეტსის" შესყიდვას აპირებს. ჯორდანმა თამაშს სულ ცოტა ხნის წინათ დაანება თავი, თუმცა, უკვე კარგა ხანია, ინტენსიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს შარლოტის კლუბის შესყიდვასთან დაკავშირებით.

■ ■ ■

**ხელბურთი.** ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე გადაწყდა, რომ 2003 წლის მსოფლიოს ლიგის მონაწილე გუნდების შემადგენლობაში კორექტივები უნდა შეიტანონ. მონაწილეთა შორის (გასაგები მიზეზის გამო) აღარ იქნება ჩინეთის ნაკრები. ჩინელებს ბულგარეთის ნაკრები შეცვლის. ასევე გადაწყვეტილება მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო ლიგაში მონაწილეობა აეკრძალოს არგენტინას. არგენტინელები დაისაჯნენ იმის გამო, რომ არ შეასრულეს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნა ხელბურთის სისტემის რეორგანიზებასთან დაკავშირებით. არგენტინელებს ჩეხები შეცვლიან.

## TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 8 მაისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
5:35 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ნასიონალი" (ურუგვაი). საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. *ტრანსლაციის დასრულების შემდეგ 13:00-მდე შესვენება.*
13:00 თავისუფალი დარტყმა.
13:15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი.
15:00 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. სანტოსი" (ბრაზილია) – "ნასიონალი" (ურუგვაი). საპასუხო მატჩი.
16:45 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
17:40 "თავისუფალი დარტყმა".
17:40 "დარტყმა გოლის მიმართულებით".
17:55 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა.
19:00 "თავისუფალი დარტყმა".
19:15 უიკ-ენდის მატჩების ანონსი.
19:20 "გასული კვირის ჰიტ-პარადი".
21:00 "საფეხბურთო სამზარეულო".
21:30 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ნასიონალი" (ურუგვაი). საპასუხო მატჩი.
23:10 თავისუფალი დარტყმა.
23:30 "Football Mundial".
0:00 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა.
1:00 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა.

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:15, 20:00, 22:00 "პრეს-ცენტრი".
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები".
11:20, 14:15 აერობიკა.
11:45 "Power week" NHL-ის კვირა.
12:15 ველოსპორტ-შოსე. საერთაშორისო ასპარეზობა "სოჭური რბოლა".
13:15 კიკბოქსინგი. პროფესიონალთა ბრძოლა.
14:40 "კეგლის დროა".
15:10 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "Frankfurt Galaxy" – "Rhein Fire".
17:30 ჩოგბურთი. "Masters Series". პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან.
19:15 "NHL პლუსი".
19:25 "ბილიარდის მეფეები".
20:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი.
20:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა.
21:30 ATP-ის საჩოგბურთო მიმოხილვა.
22:25 პოკერი. "One Million Poker-2003". მესამე ნაწილი.
23:10 ბოულინგი. PBA Tour.
0:00 ჩოგბურთი. "Masters Series". პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან.
1:30 ახალი ამბები.
1:45 "NHL პლუსი".
1:55 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა.
2:25 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი.
2:55 ATP-ის საჩოგბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT**
11:30 გოლფი PGA. ჟურნალი. აშშ.
12:30 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია-დანია.
13:45 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი-იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA. ბერლინი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.
22:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი.
0:00 კრივი. IBF/WBA. ბერლინი. ს.ოტკე – ბ. მიტჩელი.
2:15 სუმო.
3:15 რალი. არგენტინა.

## საქართველოს სპორტულ მოედნებზე

**ჭიდაობა.** საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი - თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა და სამბისტების პრესკონფერენცია. 13.00
**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის. 12.00
**ფოქს კიდსი.** ფოთის ჩემპიონატი, გათამაშება ქართლის თასზე. 10.30

## ფეხბურთი

# პრაგმატული ფრე

პირველი გვერდიდან

ანჩელოტის გუნდი ნომინალურ მასპინძლად ითვლებოდა და აქტიურობაც, პირველ რიგში, სწორედ მას მართებდა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, დაცვითი სტილის მოტრფიალე კუპერის გუნდის წინააღმდეგ „მილანის" აქტიურობა მოსალოდნელიც იყო. აპენინებზე აღიარებულია აზრი, რომ წლევანდელი ფორმაციის „მილანი" იტალიურ კლუბებს შორის ყველაზე შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ამ აზრს ეთანხმება „როსონიერის" ყოფილი მწვრთნელი არიგო საკიც. „დღეისთვის „მილანი" ყველაზე უფრო უახლოვდება მსოფლიო სტანდარტებს, ამიტომ ჩემპიონთა ლიგაში მისი წარმატება გულითადად მახარებს," - ამბობს „მილანის" ყოფილი მწვრთნელი.



"სან-სიროზე" ერთ კვირაში ასეთივე ბრძოლა იქნება

შემოდგომასთან შედარებით „მილანი", ჩემპიონთა ლიგის საგაზაფხულო ეტაპს, ცოტა არ იყოს სახეშეცვლილი შეხვდა. ანჩელოტიმ „ინტერის" წინააღმდეგ შეტევაში შევჩენკო-ინძაგის დუეტი გაამწესა. საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია რედონდოს ნაცვლად ბროკის ჩააბარა, ხოლო რივალდო სათადარიგოთა სკამზე დასვა. ამით „მილანის" შეტევით პოტენციალს მნიშვნელოვანი ზიანი არ მოსვლია, მაგრამ გუნდის წინა ხაზზე მოიშალა განუმეორებელი კვარტეტი - ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო, ინძაგი. კვარტეტი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპებზე ერთმანეთის მიყოლებით დასცა „დეპორტივო", მიუნხენის „ბაიერნი", დორტმუნდის „ბორუსია" და ბოლოს მადრიდის „რეალიც".

ასეა თუ ისე, გუშინდელ შეხვედრაში კარლო ანჩელოტიმ შეტევაში შევჩენკო-ინძაგის ტანდემს, ბროკი-ზეედორფი-რუი კოშტას ტრიოთი გაუმაგრა ზურგი და რივალდო-რედონდოს წყვილი მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შეიყვანა მინდორზე. შესანიშნავად ითამაშა კახა კალაძემ, რომელიც მარცხენა ფრთიდან ხშირად წარმართავდა „მილანის" იერიშებს. ერთ-ერთ ეპიზოდში კი მისი გადაცემის შემდეგ ფილიპო ინძაგის რომ ემარჯვა, „მილანს", შეიძლება, მატჩი უკეთ დაესრულებინა.

რაც შეეხება „ინტერს", აშკარაა, რომ კრისტიან ვიერის არყოფნაში გუნდის მთავარი იარაღი არგენტინელი ერნან კრესპოა. სწორედ მას მიეცა მატჩის უკანასკნელ წუთზე თავის გამოჩენის ერთადერთი რეალური შანსი, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოუვიდა. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუშინ პრაგმატიზმმა გაიმარჯვა, მაგრამ ვის აძლევს ხელს ეს პრაგმატიზმი, ამას ერთ კვირაში შევიტყობთ.

# ბოლნისის "სიონი" საქართველოს თასის ფინალში და... უეფა-ს თასზეც?

მიხეილ აბაიშვილი

*თემურ მახარაძე ქართულ ფეხბურთში, მართლაც, უნიკალური მოვლენაა. იგი ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, რომელსაც სამჯერ აქვს მოპოვებული ინტერტოტოს თასის საგზური, თანაც, სხვადასხვა კლუბში მუშაობისას. რაც მთავარია, პირობებში, როდესაც მისი გუნდები როგორც ფეხბურთელების შერჩევის, ისე ფინანსური თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოუვარდებოდნენ უკან ჩამოტოვებულ კონკურენტებს. როგორც ჩანს, ამჯერად თემურ მახარაძის სპორტული ამბიციები გაცილებით აღემატება ისეთ უმნიშვნელო ტურნირს, როგორიცაა ინტერტოტო. დიახ, მახარაძეს და მის "სიონს" ერთი, ანდა, სულაც, ნახევარი ნაბიჯილა აშორებთ იმ მიზანს, რასაც უეფა-ს თასის საგზური ჰქვია.*

**დავით ყიფიანის თასი**
**განმეორებითი ნახევარფინალები**

**"ტორპედო" - "სიონი" 0:0**
*პირველი მატჩი: 0:1*
*ორი შეხვედრის საერთო ანგარიში: 0:1.*
**"დინამო" - "ლოკომოტივი" 2:1**
*პირველი მატჩი: 4:0*
*ორი შეხვედრის საერთო ანგარიში: 6:1*



კარლოს და როჩა (მარცხნივ) რაიან სალასარის წინააღმდეგ

მაშ ასე: საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დავით ყიფიანის თასის ფინალში თბილისის "დინამო" და ბოლნისის "სიონი" შეხვდებიან ერთმანეთს. თუმცა, რამდენადაც თბილისის "დინამოს" ფინალში გასვლა სავსებით პროგნოზირებადი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი ამბავი იყო, იმდენად მოულოდნელი და სენსაციური აღმოჩნდა ბოლნისელთა ეს წარმატება. მართლაც, სულ ოთხი დღის წინ ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამოს" ბეჭებზე დამცემი გუნდისთვის, წესით, პრობლემა არ უნდა გამხდარიყო პირველი ნახევარფინალის შემდეგ ერთგოლიანი დეფიციტის აღმოფხვრა. ისიც უნდა გავიხსენო, რომ ბოლნისურ შეხვედრაში საკუთარი გუნდის მარცხი ქუთაისელთა დამრიგებელმა, ალექსანდრ შტელინმა მხოლოდ უვარგისი გაზონით და წვიმიანი ამინდით ახსნა. გუშინ ქუთაისსაც აწვიმდა. თუმცა, "აწვიმდა" საკმაოდ მსუბუქად ნათქვამია. ისეთი თქეში წამოვიდა, რომ ქუთაისელები მატჩის გადატანასაც კი ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა მერაბ მალაღურაძემ ამინდი თამაშის ჩატარებისთვის ვარგისად ჩათვალა და მატჩიც დაიწყო. მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან მეტოქის კარზე იმდენად ძლიერი შტურმი მიიტანეს, რამდენადაც ამის საშუალებას ამინდი და წვიმისგან დამძიმებული გაზონი იძლეოდა. თემურ მახარაძემ თავისი გუნდის ტაქტიკა საყაიმო ანგარიშის შენარჩუნებაზე ააგო. ერთი შეხედვით, ეს თითქოს რთული ამოცანა არ არის: მთელი გუნდით უნდა ჩადგე დაცვაში და საკუთარი კარის "მშრალად" შენახვას შეეცადო, მაგრამ ეს მხოლოდ სათქმელად არის ადვილი. მახარაძის გუნდმა გაძლო ყველაფრის მიუხედავად (მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ბოლნისელთა კარში დაინიშნა პენალტი და იონანიძემ ბურთი კარს ააცილა. თამაში 97 წუთს გაგრძელდა, მსაჯმა შეხვედრის დროს 7 წუთი დაუმატა), და შედეგი: ბოლნისური გუნდის ისტორიაში საქართველოს თასის პირველი ფინალი!

თბილისის "დინამომ" კი სტუმრად მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების წყალობით, ორი კვირის წინ დაიბევა ფინალში ადგილი. გუშინდელმა თამაშმა, რომელშიც შუშაკმა ყვითელი ბარათების გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა (ალექსიძე, გოგობერიშვილი, ხიზანეიშვილი), კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ წყვილში "დინამოს" უპირატესობა. პირველივე ტაიმში დარასელიამ და ახალაიამ საბოლოოდ მოხსნეს ყველა შეკითხვა. მეორე ტაიმში გატანილი გოლით ჭიჭვეიშვილმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ამ გუნდების სამ შეხვედრაში შექმნილი გატანილი და მიღებული ბურთების კატასტროფული უარყოფითი ბალანსი ცოტათი შეარბილა - 9:1. (0:3, 0:4 და 1:2).

რაც შეეხება 26 მაისის მატჩს. თუ გავიხსენებთ, რომ წლეულს ბოლნისელებმა ყველა ლიდერს დააკარგვინეს ქულები, წინ საინტერესო ფინალი გველის. ბოლნისელები გამარჯვების შემთხვევაში უეფა-ს თასზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ. ამ საგზურს ისინი ფინალში დამარცხების შემთხვევაშიც კი მიიღებენ, იმ შემთხვევაში, თუ "დინამო" "დუბლს" შეასრულებს და, თასთან ერთად, ჩემპიონის ტიტულსაც დაიბრუნებს.

## Fox Kids

# ნაძალადევს "ქორებმა" გადაუფრინეს

პაატა თოთაძე

თბილისი. ნაძალადევის რაიონი. დადიანის 34. ერთ ჩვეულებრივ ეზოში, ისეთში, თბილისურ კორპუსებს რომ აქვთ ხოლმე, უამრავი ბავშვი შეკრებილა. არის ჟრიამული და დიდი ამბავი. ვიღაცა ფორმას ირგებს, ვიღაცა უფროსის დავალებებს ისმენს, ვიღაცა კიდევ ჩაფიქრებული დგას. ასეთები, ძირითადად, უფროსები არიან.

- მისმინეთ კარგად, ბურთი არ მიაღებინოთ, ახლოს ეთამაშეთ. როგორც კი საშუალება მოგეცემათ, კარში დაარტყით.

უფროსი კაცი ბავშვებს არიგებს. ფეხბურთის სათამაშოდ ემზადებიან. მოედანზე გადიან ისინი, ვინც უფროსის დავალებებს ისმენდნენ. ის უფროსი მწვრთნელია.

- თქვენ გუნდს რა ჰქვია?
- "ქორები".
- თქვენსას?
- "რეალი".

როგორც ჩანს, მადრიდის "რეალის" გულშემატკივრებისგან შეკრებილი გუნდია. აბა "რეალი" რატომ უნდა ერქვას?

სახელს ვერ ამართლებს - 0:3 მარცხდება მეოთხედფინალში.

ისინი, ფორმას რომ ირგებდნენ, უკვე მწვრთნელის დავალებას ისმენენ. მათი თამაშის დრო მოვიდა. მეტოქეთაგან ერთს "სიხარული" ჰქვია, მეორეს – "თემქა".

კარგი თამაში გამოვიდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმი, როცა სტადიონის გარშემო მდგომმა მაყურებელმა, დაახლოებით, ხუთწუთიან მონაკვეთში, ერთბაშად ხუთი გოლი იხილა. "სიხარულმა" 4:2 მოიგო. თემქელები წაგების მიზეზებს არჩევენ. ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, ტურნირს დაემშვიდობნენ.



"ფოქს კიდსი" ნაძალადევის სტადიონზე

- ჩვენ როდის ვითამაშებთ და ვისთან?

მეტოქის გამოუცხადებლობის გამო ნახევარფინალში გასული "ნაძალადევის" ფეხბურთელები ვერ ისვენებენ. ერთი სული აქვთ, მოედანზე როდის გავლენ.

- აი, ამათ შორის მოგებულს.

"იმედი" "საქართველოს" ამარცხებს და "ნაძალადევსაც" თამაშის შესაძლებლობა ეძლევა.

- ილურიძე, დაცვას მიხედე, წინ რა გინდა, ბიჭო?

დაახლოებით ისეა, როგორც "ფეოლაში".

- რა ვქნა, მასწ, გოლი არ გავიტანოთ?

- უშენოდაც მოახერხებენ. შენ იმაზე იფიქრე, გოლი არ გაგვიტანონ.

"იმედის" კარში ზედიზედ ორი გოლი გადის.

- ბიჭო, ილურიძე, გამიგონე, რასაც გეუბნები. არ დაგინახო წინ წასული, თორემ საერთოდ გაგიყვან მოედნიდან. არ გადამრია ამ ბავშვმა?

მაინც არაა საშველი, "ნაძალადევი" ძლიერია – 4:1. თამაშს დანატრებულები, ისე სწრაფად დარბიან მოედანზე, მეტოქეს მოგების შანსს არ უტოვებენ.

"ქორებისა" და "სიხარულის" ჯერი დადგა.

- მეკარე, მისმინე კარგად. ბურთი იმათი კარისკენ ურტყი. კარგად ურტყი, კართან ახლოს რომ დავარდეს, ისე.

- კარგი, მასწ, მაგრამ მერე რა იქნება?

- არაა მაი შენი საქმე.

მერე არაფერიც არ იყო. ურტყამდა მეკარე, მაგრამ ამით არაფერი გამოდიოდა.

- მეკარე, კარგად ურტყი, კართან ერთ მეტრაში რომ დაეცეს ბურთი...

- მეკარე... რა ჰქვია, კაცო, ამ ბავშვს!.. მეკარე-მეთქი! წესიერად ურტყი.

ბოლო ხუთი წუთი გადამწყვეტი გამოდგა. მეკარის დარტყმებმა შედეგი გამოიღო – "სიხარულმა" ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ...

- აუუ, რა ქენი ბიჭო, მაი... მეკარე, აბა შენ იცი.

საჯარიმოში ხელით თამაშისთვის "სიხარულის" ერთ-ერთი მოთამაშე მსაჯმა გააძევა და პენალტიც დანიშნა. ორი წუთის შემდეგ რიცხვნაკლულმა "სიხარულმა" მესამე გოლიც გაუშვა.

მეკარეს მიშიკო ერქვა. კარგად ითამაშა, მაგრამ, თავს ზემოთ ძალა არ არისო, ხომ გაგიგონიათ.

"ქორებში" ერთი ტანმაღალი ბიჭი გამოირჩეოდა. ბაჩო ერქვა. მარტო სიმაღლით კი არა, ფეხბურთსაც სხვებზე უკეთ თამაშობდა. "სიხარულს" პენალტი მან გაუტანა, ფინალში კი "ნაძალადევს" დაერია. ჯერ მშვენიერი თავური, მერე კი პენალტი გაიტანა და – 2:0.

დიდი ჟრიამული იყო დადიანის 34-ში. ამბობენ, სხვა უბნებშიც ასეთივე ამბავი იყოო. მე არ მინახავს, მაგრამ მჯერა, ასე იქნებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ხომ "ფოქს კიდსის" თასის თამაშებია.

ჭიდაობა

# ზურნა, დოლ-გარმონი და მედლები

გიგა გურასაშვილი

ოთხი დღის განმავლობაში ჭიდაობის ევროპელ გულშემატკივართა ყურადღება ლატვიის დედაქალაქისკენ იყო მიპყრობილი. ოთხი დღის განმავლობაში რიგა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის 46-ე ჩემპიონატს მასპინძლობდა. შვიდივე წონით კატეგორიაში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა 84 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში მიაღწია წარმატებას. "ოქრო" და "ბრინჯაო" - ასეთია ევროპული მონაგარი. ამ მაჩვენებლით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ქართველ მოჭიდავეთა ამალა რიგიდან გუშინ შუადღისას ჩამოფრინდა. აეროპორტში მომლოდინეთა შორის, რა თქმა უნდა, ახლობელ-მეგობრები ჭარბობდნენ. აქვე იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ლევან თედიაშვილი და დავით გობეჯიშვილი. მათ შორის ყველაზე მეტად აღელვებული და კმაყოფილი მედალოსანთა დამრიგებელი მარლენ ოსიყმაშვილი ჩანდა. პრიზიორები კი არა და არ ჩანდნენ. ალბათ, საბაჟო კონტროლი ოქროსა და ბრინჯაოს მედლებს ამოწმებდა. მერე, როგორც იქნა, ევროპის ჩემპიონატის მთავარი შემოქმედნიც გამოჩნდნენ. მათი გამოჩენა და ზურნა-დოლ-გარმონის დაგუგუნება ერთი იყო - ევროპის ჩემპიონს რევაზ მინდორაშვილსა და ბრინჯაოს პრიზიორ ლექსო მოდებაძეს მეზურნეები საჭიდაოთი შეეგებნენ. ცნობისმოყვარე სტუმრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ხდებაო. ერთნი მხრებს იჩეჩდნენ, მეორენი კი ცნობისმოყვარეების დაკმაყოფილებას ცდილობდნენ. პრიზიორებს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ. თავდაპირველად ჩემპიონს გავესაუბრეთ.



ქართველ ფალავნებს აეროპორტში მეფურად დახვდნენ

**- რიგაში გამგზავრებამდე როგორი განწყობა გქონდა, ელოდი ჩემპიონობას?**

- დარწმუნებული ვიყავი, გამარჯვება შემეძლო. განწყობაც ისეთი მქონდა, რომ აუცილებლად უნდა გამემარჯვა. ოდესლაც ხომ უნდა გავმხდარიყავი ჩემპიონი?!

**- რომელ ბრძოლას გამოარჩევდი, ვისთან უფრო გაგიჭირდა?**

- ფინალში გადასასვლელ მეოთხე ორთაბრძოლაში შედარებით გამიჭირდა. რუსი ვადიმ ლალიევი (შემდგომ ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. - რედ.) მეტ-ნაკლებად მიწევდა წინააღმდეგობას. ყველა დანარჩენი ბარიერი, მათ შორის, სომეხ მაჰმედ აგაევთან ფინალი, ასე თუ ისე, იოლად გადავლახე.

**- რომელიმე მათგანს აქამდე თუ შეხვედრიხარ?**

- შარშანწინ 74 კილოგრამ წონაში გამოვდიოდი. ორი წელიწადია, რაც 84 კილოგრამში გადავედი. ამის გამო დღევანდელ მეტოქეებთან ორთაბრძოლების გამოცდილება ნაკლებად მაქვს. თუმცა, რამდენიმე მათგანს აქამდეც შევხვედრივარ.

**- შარშან ბაქოში ასეთივე ასპარეზობაზე მოპოვებულ ბრინჯაოსა და ახლანდელ ოქროს მედალს როგორ შეადარებდი, სად უფრო ძნელი იყო - ბაქოში თუ რიგაში?**

- ის პირველი მედალი იყო და უფრო ძნელად მოსაპოვებელი. კარგია, რომ შარშანდელმა "ბრინჯაომ" ახლანდელ "ოქროს" ჩაუყარა საფუძველი.

**- ახლა, როდესაც ევროპის ჩემპიონატი დასრულებულია, როგორ ფიქრობ, ამ შესაძლებლობებით სექტემბერში ნიუ იორკის მსოფლიო ჩემპიონატზე რას შეიძლება ველოდოთ?**

- მართალია, ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მომზადებული ვიყავი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატისთვის გაცილებით მეტი ვარჯიში დამჭირდება. მით უმეტეს, ფსიქოლოგიური დატვირთვა იქ გაცილებით დიდია.

*ჩემპიონთან გასაუბრების შემდეგ ახლობლების გარემოცვაში მდგარი ლექსო მოდებაძეც მოვიხელთეთ.*

**- რიგაში მოპოვებული "ბრინჯაო" მაქსიმუმი იყო თუ მეტიც შეიძლებოდა?**

- შეიძლება მაქსიმუმი იყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, ჩემპიონობა შეუძლებელი ჩანდა-მეთქი.

**- ფინალში გასასვლელ შეხვედრაში გამოცდილ და ტიტულოვან რუს ოლიმპიურ ჩემპიონთან, ორგზის მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონთან დავიდ მუსულბესთან მოგიწია შერკინება. ორი წლის წინათ ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატზე ფინალში შეხვდით ერთმანეთს. მაშინ მუსულბემ გაიმარჯვა. ახლა როგორ წარიმართა თქვენი დაპირისპირება?**

- მუსულბე მარტო ჩემთვის კი არა, ყველასთვის უხერხული მეტოქეა. ოთხი წელიწადია, ევროპაში არ დამარცხებულა.

**- ალბათ, ნიუ იორკშიც ძირითადი მეტოქე იქნება...**

- გააჩნია, როგორ მოვემზადები. ყველანაირად ვეცდები, მედალი მოვიპოვო. რაც შეეხება მუსულბეს, ის მსოფლიო ჩემპიონატზეც ძირითადი მეტოქე იქნება. თუმცა, სხვა სერიოზული მეტოქეებიც არიან. მაგალითად, ამერიკელი, თურქი, უნგრელი, უზბეკი ფალავნები. ვნახოთ, წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს.

კალათბურთი

# ეროვნული ნაკრები დიდი ძალაა

**„საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გავიდეს", - ამბობს დრაჟენ ბრაიკოვიჩი**

*დრაჟენ ბრაიკოვიჩი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოწვევით ორიოდე თვის წინ ეწვია თბილისს. ხორვატმა ჩამოსვლის დღიდან ერთბაშად ორი თანამდებობა შეითავსა - თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტები. ბრაიკოვიჩმა გაზეთ „24 საათის" რედაქციაში სახელდახელო პრესკონფერენცია კი გამართა, მაგრამ თავისი გეგმების შესახებ ამომწურავად გუშინ, დილმის საწვრთნელ ბაზაზე დააკმაყოფილა მასმედიის ცნობისმოყვარეობა. მისი თქმით, წარმატების მისაღწევად აუცილებელია მთლიანად საკალათბურთო მეურნეობის მოდერნიზება და ახლებურად ორგანიზება. რაც შეეხება თბილისის „დინამოს", მან ჯერ ეროვნული ჩემპიონატი უნდა მოიგოს და შემდეგ მისი მომავალი პერსპექტივა უფრო თვალსაჩინო გახდება.*



დრაჟენ ბრაიკოვიჩი

### თბილისის "დინამო"

- 9 მაისს თბილისის „დინამოს" ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია იწყება რუსთავის „აზოტის" წინააღმდეგ. ახლა მთელი გონებით ამ მატჩებისკენ ვარ გადართული. ამიტომ გუნდის მომავალ გეგმებზე კონკრეტულად, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. ზუსტად არ ვიცი, სეზონის დამთავრების შემდეგ ვინ დაემშვიდობება გუნდს ან რომელი კალათბურთელი დაგვემატება. როგორც კი ახალი ინფორმაცია გამოჩნდება, აუცილებლად გაცნობებთ.

რაც შეეხება რუსთავის „აზოტს", კარგი გუნდია და უნდა ვაღიარო, რომ კარგი მწვრთნელი ჰყავს. მეტოქე გამოცდილი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული და ყველა რგოლი ორგანიზებულია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ნახევარფინალია და მოდუნება არ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ჩემი მოთამაშეები მაქსიმალურად დაიხარჯებიან. გამარჯვება კი მას დარჩება, ვინც ნიუანსებში უკეთ გაერკვევა.

ამ სეზონში გუნდს ჩავარდნებიც ჰქონდა. მაგალითად, ბათუმში, „ბასკოსთან" განცდილი მარცხი, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს შეხვედრა ჩვენთვის პრინციპული არ იყო. ამიტომ თავს უფლება მივეცით, გარკვეული ექსპერიმენტები ჩაგვეტარებინა და ამით მოთამაშეების მზადყოფნა შეგვემოწმებინა. ვფიქრობ, გუნდში ჩემი მოსვლის შემდეგ „დინამოს" ტაქტიკური თვალსაზრისით რაღაც-რაღაცები დახვეწა, მაგრამ, როგორც უნდა ვილაპარაკოთ, მოედანზე ყველაფერი კალათბურთელის მზადყოფნაზეა დამოკიდებული. გუნდს დიდი სურვილი აქვს, მოიგოს ეროვნული ჩემპიონატი და, ვფიქრობ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

„დინამო", სხვა გუნდებისგან განსხვავებით, რეგულარულად ათამაშებდა 10 კალათბურთელს. ეს იმან განაპირობა, რომ გუნდი დაახლოებით თანაბარი კლასის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. მოგეხსენებათ, დატვირთვები დიდია, ამიტომ ვცდილობთ, ყველა კალათბურთელი მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

### საკალათბურთო მეურნეობა

- საქართველოს საკალათბურთო მეურნეობა გლობალურ გარდაქმნას მოითხოვს. წარმატების მისაღწევად ეს აუცილებელი პირობაა. ყველა სხვა საკითხთან ერთად, აქტუალურია მსაჯობის პრობლემაც. მსაჯის ავკარგიანობაზე საუბარი ჩემი პრინციპი არ არის, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შევხვდები და სხვა საკითხებთან ერთად მსაჯობის პრობლემასაც განვიხილავთ. მე ერთადერთი პრინციპი მამოძრავებს - ვიდრე საქართველოში ვიქნები, მინდა, უმაღლეს დონეზე ვიმუშაო. თუმცა, უმაღლესი მიზნის მისაღწევად საჭიროა იმ პროცესების ამოქმედება, რომლებიც ხელს შეუწყობს კალათბურთის განვითარებას.

ევროპაში ყველგან ასე ხდება. თუ რომელიმე ქვეყნის ნაკრები მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს, ეს ეროვნული ჩემპიონატის განვითარებაზეც აისახება. ეს ორი ასპექტი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რადგან თაობებს უწყვეტი ჯაჭვი უნდა აკავშირებდეს. ქვეყნის პირველ ნაკრებს ბაზისი სჭირდება და ეს ბაზისი, პირველ რიგში, ეროვნულ წიაღში ანუ ეროვნულ ჩემპიონატში უნდა აღმოცენდეს. სხვაგვარად წარმატების მიღწევა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ამ თვალსაზრისით ხორვატიისა და საქართველოს შედარება არც შეიძლება. უამრავი ხორვატი კალათბურთელი უცხოურ კლუბებში თამაშობს. ხორვატული კლუბებიც ხშირად აწყობენ ევროპულ ტურნეებს და, პრაქტიკულად, იმდიდრებენ გამოცდილებას. ეს ეროვნულ ჩემპიონატს უფრო აძლიერებს. შედეგად კი, თუ, მაგალითად, ზაგრების „ციბონა", ასე ვთქვათ, ხელშეუხებელი იყო და ეროვნულ ჩემპიონატს უპრობლემოდ იგებდა, ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. ესე იგი, ამაღლდა ეროვნული ჩემპიონატის დონე, რაც ნაკრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამჟამად ხორვატიის ნაკრებში ირიცხება ოთხი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. ამასთან, ხორვატია მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიბასთან - ამ ორგანიზაციაში ბევრი ხორვატი სპეციალისტი მუშაობს. კალათბურთის განვითარებისთვის ესეც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩემი მიზანიც ის არის, რომ საქართველომაც ასე აქტიურად განახორციელოს ევროპულ კალათბურთთან ინტეგრაცია.

### ეროვნული ნაკრები

- ეროვნული ნაკრების ბირთვს ლეგიონერები შეადგენენ. ამ ეტაპზე გუნდში 16 კალათბურთელს გამოვიძახებთ. ამათგან 12 დარჩება და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოემზადება. მე მომხრე ვარ, რომ ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე კალათბურთელი დამკვიდრდეს, მაგრამ ბირთვი ლეგიონერებით დაკომპლექტდება. რამდენიმე ლეგიონერს უკვე ვესაუბრე. მათ იციან ჩემი გეგმების შესახებ: საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გავიდეს - ჩვენ ბელგრადში უნდა ვითამაშოთ. ახალგაზრდები გუნდის ბირთვს უნდა მოერგონ. ღმერთმა ქნას, რომ ამ მიზნის ასრულება შევძლოთ. თუმცა, ამისთვის ცოტა იღბალიც გვჭირდება.

შევეცდებით, ეროვნულ ნაკრებში უძლიერეს კალათბურთელებს მოვუყაროთ თავი. რა თქმა უნდა, სტეფანიასა და ცქიტიშვილის ჩამოყვანის სანაცვლოდ კალათბურთის ფედერაციამ მათ კლუბებს დაზღვევა უნდა გადაუხადოს. თანხის რაოდენობას კონტრაქტის ხანგრძლივობა განაპირობებს. რაც უფრო გრძელვადიანია კონტრაქტი, ცხადია, მით უფრო დიდია სადაზღვევო თანხა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, სატრანსფერო ღირებულების 5-10 პროცენტი. ზოგისთვის ეს თანხა არაფერს ნიშნავს, ბევრისთვის კი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, სტეფანია და ცქიტიშვილი ნაკრებში გამოვიძახოთ. დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია, აქ სამუშაოდ არ ჩამოვიდოდი.

რაგბი

# "მარიოტში" თბილისის შვიდკაცა წარადგინეს

პაატა თოთაძე

"დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის. ბოლო წლებში ქართულმა რაგბიმ დიდი წინსვლა განიცადა. ეს ითქმის როგორც თხუთმეტკაცა, ისე შვიდკაცა რაგბიზე. სხვათა შორის, სათამაშო სახეობებს შორის შვიდკაცას ნაკრები იყო პირველი ქართული გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა და მსოფლიოს ათ საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა", - საქართველოს რაგბის კავშირის მედია-მენეჯერის გია კუბლაშვილის ამ სიტყვებმა გახსნა გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გამართული პრესკონფერენცია. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა თბილისში ივნისის ბოლოს გასამართი ტურნირის გამო გადაწყვიტა.

თბილისის შვიდკაცა ევროპის შვიდკაცას სერიის ერთ-ერთი ეტაპია. ეს ტურნირი შარშან დაარსდა და მისი ერთ-ერთი დირექტორი საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილია. გარკვეულწილად, მისი და საქართველოს რაგბის კავშირის დამსახურებაა, რომ ტურნირის ჩატარება თბილისში გადაწყვიტეს, თორემ შეჯიბრების მასპინძლობის სურვილს არაერთი ქვეყანა გამოთქვამდა.



პრესკონფერენციაზე

გადაწყვეტილია, რომ ასპარეზობაში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თბილისში, ქართველებთან ერთად, რუმინეთის, რუსეთის, ისრაელის, სომხეთის, ბულგარეთის, მოლდოვის, უკრაინის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებები იბურთავებენ.

ტურნირის ბიუჯეტი 70 000 დოლარი იქნება. იქნებ ვინმეს ეცოტავოს, მაგრამ საქართველოს რაგბის კავშირს ეს თანხა არ მოეპოვება და პარტნიორების ძიებაშია. ამ მხრივ, ჯერჯერობით, მხოლოდ უცხოური კომპანიები აქტიურობენ. შესაძლოა, შეჯიბრებას საფრანგეთის საელჩომ "უპატრონოს". ქასაშვილის განცხადებით, საელჩოსთან წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკება. გამორიცხული არ არის, ტურნირის სპონსორობა იკისროს ფრანგულმა "რენომ", რომელიც ტურნირის დღეებში ჩვენს ქვეყანაში ახალ წარმომადგენლობას ხსნის.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მსოფლიოში ათამდე ადგილია, სადაც შვიდკაცას მსოფლიო სერიის ტურნირები ტარდება. თბილისის შვიდკაცასთვის შემუშავებულია განვითარების სამწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც სამი წლის შემდეგ ჩვენი ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი უნდა გახდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შვიდკაცა მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ თავად სიამოვნებას იღებენ, ორგანიზატორებისთვის ფინანსური მოგებაც მოაქვთ. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში 300 000-მდე უცხოელი მოღვაწეობს და, ტურნირის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მათი დიდი ნაწილი იმ დღეებში თბილისს ესტუმრება.

ნაფიფქი



ნინო I

## ალერსის ნაცვლად მუშტები, ანუ რა ძნელია მოკრივის ცოლობა

დარიუს მიხალჩევსკი პოლონელი მოკრივეა. მსოფლიო ჩემპიონის წოდება კი აქვს უკვე მოპოვებული, მაგრამ იმის გამო, რომ მძიმე წონაში არ ასპარეზობს, მსოფლიოში ისე პოპულარული ნამდვილად არ არის, როგორც, ვთქვათ, მაიკლ ტაისონი ან ლენოქს ლუისი. თავის წონაში 35 წლის მიხალჩევსკი იმდენად კარგად ირჯება, რომ გულშემატკივრებმა მას "ვეფხვიც" კი შეარქვეს. გერმანიაში მიხალჩევსკი ყველასთვის ცნობილია, ვისაც კი მეტ-ნაკლებად აინტერესებს კრივი და ყვითელი პრესის პირველი გვერდები. დარიუს მიხალჩევსკი ის ადამიანია, რომელიც არც ისე იშვიათად ეხვევა სკანდალებში და საზოგადოებას დროდადრო აქტიურად ახსენებს თავს. ამჯერად პოლონელი მოკრივე ცოლთან ჩხუბის გამო "ბილდის" ყურადღების ცენტრში მოექცა...

### ცემა, ალკოჰოლი და ღალატი

34 წლის დოროტა ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობს დარიუს მიხალჩევსკის, როცა ორივენი ახალგაზრდები იყვნენ და მიხალჩევსკი "ვეფხვი" კი არა, ერთი ჩვეულებრივი, დამწყები სპორტსმენი იყო. დოროტას და დარიუსს ორი ვაჟი ჰყავთ: 16 წლის მიხაელი და 11 წლის ნიკოლასი. ბავშვები არაერთხელ შესწრებიან უსიამოვნო ოჯახურ სცენებს. მთვრალი მამის მძიმე მუშტებიც ბევრჯერ მოხვედრიათ. დარიუს მიხალჩევსკისთვის არავითარი პრობლემა არ არის მეუღლისა და უმწეო ბავშვების ცემა...

დოროტას და მოკრივეს იმდენად ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ 1991 წელს ისინი ოფიციალურად დაშორდნენ კიდეც ერთმანეთს. ოთხი წელიწადი ცალ-ცალკე გაატარეს, 1995 წელს კი ისევ შერიგდნენ და კიდევ ერთხელ იქორწინეს, რასაც დოროტა ახლა ძალიან ნანობს. "ჩვენ ოც წელიწადს ვიყავით ერთად. ბევრჯერ ვაპატიე ჩემი შეურაცხყოფა, მაგრამ როცა ბავშვებსაც დაუწყო ცემა, ეს უკვე ველარ ავიტანე. როცა დალევდა (ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა), საკუთარ თავს უკვე ველარ აკონტროლებდა - ჩემზე და ბავშვებზე მუშტებით იწევდა. ერთხელ იძულებული გავხდი, ბავშვებთან ერთად სახლიდან გავქცეულიყავი. 1991 წელს ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ უდიდესი შეცდომა დავუშვი - ისევ შევურიგდი, რასაც საშინლად ვნანობ. სულ იმედი მქონდა, რომ დარიუსი შეიცვლებოდა, ალკოჰოლს თავს დაანებებდა და სანიმუშო მამა გახდებოდა, მაგრამ მისი გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა", - ამბობს დოროტა.

გამოსწორებას ვინ ჩივის, მიხალჩევსკი საერთოდ წავიდა ხელიდან. ახალგაზრდა საყვარელი გაიჩინა - ქერათმიანი, მომხიბვლელი პატრიცია და საერთოდ არ ერიდებოდა მასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა. მალე გერმანულ ბულვარულ პრესაში სკანდალური ფოტოები გამოჩნდა: დარიუსი და პატრიცია პლაჟზე, ბარში, დისკოთეკაზე... პოლონელ მოკრივეს ყველა ფოტოზე სიხარულისგან გაცსიკროვნებული სახე ჰქონდა, სერიოზულად შეყვარებული ჩანდა და საერთოდ აღარ ახსოვდა, რომ, პატრიცია კი არა, დოროტა იყო მისი მეუღლე და მისი ორი ვაჟიშვილის დედა...



დოროტა და დარიუს მიხალჩევსკი



პატრიცია

ბოლოს მიხალჩევსკის კანონიერ მეუღლეს "ვეფხვის" ასეთი გატაცებები მობეზრდა და ყველაფრის გარკვევა მოისურვა. მოკრივის მძიმე მუშტებიც სწორედ მაშინ იგემა. როგორც დოროტა ამტკიცებს, მიხალჩევსკი მას და ბავშვს სრულიად უმიზეზოდ დაესხა თავს. 11 წლის ნიკოლასი მამასთან ერთად იყო ვარჯიშზე. დოროტამ ბავშვს მიაკითხა, რომ სახლში წაეყვანა. როცა დედა-შვილი უკვე მანქანაში ისხდნენ, მიხალჩევსკი დარბაზიდან გამოვიდა. ცოლის დანახვაზე, რომელსაც უკვე ველარ იტანდა, განრისხდა. მანქანას მივარდა და წიხლები დაუშინა, შემდეგ კი დოროტას ცემაზე გადავიდა. "მან ჩემი "პორშეს" კარი გააღო და ცემა დამიწყო. ველურივით ყვიროდა, ყველაფერი შენი ბრალიაო. ნიკოლასი ატირდა, ეხვეწებოდა, დედას ნუ სცემო, მან კი ბავშვიც არ დაინდო", - ამბობს დოროტა.

ამ ცემა-ტყეპის შემდეგ დოროტა პირდაპირ პოლიციაში წავიდა და ქმარზე საჩივარი შეიტანა. ფრაუ მიხალჩევსკი ისე იყო ნაცემი, რომ პოლიციაში უყოყმანოდ აღძრეს საქმე მოკრივის წინააღმდეგ. "ამ შემთხვევამ ისე დამთრგუნა, რომ დიდხანს ველარ ვბედავდი გარეთ გასვლას, ყველგან დაცვა დამყვებოდა. მეშინოდა - დარიუსს ხომ თავისუფლად შეეძლო, ერთი დარტყმით მოვეკალი. მეორე დღეს დამირეკა და დამემუქრა, რომ ხალხს დაიქირავებდა ჩემს მოსაკლავად. იმ დღის შემდეგ აღარ მინახავს. ბოდიშის მოხდა არც უფიქრია, საერთოდ არ მიაჩნდა თავი დამნაშავედ. ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად მან უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მომაყენა, რის გამოც პასუხი უნდა აგოს", - კატეგორიულად აცხადებს დოროტა.

დოროტას მიაჩნია, რომ მიხალჩევსკის პროფესიულ სარბიელზე მოპოვებულმა წარმატებამ აურია გონება: "რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევდა რინგზე, მით უფრო უარესი და აუტანელი ხდებოდა სახლში. ბავშვებზე საერთოდ არ ზრუნავდა. მათ შესახებ არაფერი აინტერესებდა. შინ ტურისტივით მოდიოდა. მისი სასიყვარულო ავანტიურების ატანა ხომ, უბრალოდ, შეუძლებელი იყო."

იმ სამარცხვინო ინციდენტის შემდეგ დოროტა და დარიუსი ცალ-ცალკე ცხოვრობენ - ერთი მაიამიშია ბავშვებთან ერთად, მეორე კი დანცინგში, პოლონეთში. ამჟამად მოკრივე მოსკოვში იმყოფება, სადაც თავისი 35-ე დაბადების დღე აღნიშნა. "ბილდმა" არ დაიზარა და პოლონელს კომენტარისთვის რუსეთში დაუკავშირდა. მიხალჩევსკიმ ცოლის ყველა ბრალდებას სისულელე უწოდა და დოროტა ანგარებაში დაადანაშაულა. "ბოლო დროს ის მხოლოდ ფულზე ფიქრობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი თანხა გამომძალოს. მიმაჩნია, რომ ჩემი და ჩემი შვილების ცხოვრება ძალიან ლამაზია და ამით მეტად კმაყოფილი ვარ. დორას კი ვუსურვებდი, რომ საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს და სხვის ჯიბეში ჩაძრომაზე აღარ იფიქროს", - დოროტას სიხარბეზე აკეთებს აქცენტს მიხალჩევსკი, რომელიც დოროტას ცემის გამო, ალბათ, სულ მალე სასამართლოს წინაშე წარდგება...

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

2003 წლის 11 მაისს, 12 საათზე, სააქტო დარბაზში ჩატარდება **ღია კარის დღე.**

**მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 45.**

**ტელ: 23-05-03.**




## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი კაპიტალური კერძო სახლი 2 მიწის ნაკვეთით სოფ. დიდი ცემი.
ფასი: 10 000$
ტელ: 899 263209 კახა.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

იყიდება იზოლირებული 4-ოთახიანი ბინა, დუპლექსი ალექსანდროვის ბაღთან, შესასვლელი სადარბაზოდან. ფასი: 38000$. 92-31-90.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

## სხვადასხვა

სარეკლამო სააგენტო სამუშაოდ იწვევს თანამშრომლებს. ცნობებისათვის დარეკეთ: 55 21 02, 55 21 03

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

**ორგანიზაცია შეიძენს 60 ცალ გენერატოს HONDA-ს მარკის 2,5 კვ. შეთევაზება მოგვაზოდეთ 15 მაისამდე. ტელ: 98 22 04.**

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**




# აფიშა

## კლუბები

- **„აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
დი-ჯეი პრინცი (ბელგია)
დას: 22:00 სთ

## თეატრები

- **თავისუფალი თეატრი**
პრემიერა "ზაფხულის დღე", რეჟ. გაგა გოშაძე
დას: 17:00 სთ; ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **სამეფო უბნის თეატრი**
"ჰიპი", რეჟ. დათო საყვარელიძე
დას: 14:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

## გალერეები

- **N გალერეა**
ბესო გულაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა Random Dance
- **„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"
- **„ეროვნული გალერეა"**
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **„ჰობი"**
ცირა კალანდაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **„ქარვასლა"**
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მანაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი:**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები
- **გოეთეს ინსტიტუტი**
"ქართული საფლავის ქვები"
ფოტოების ავტორი გოჩა ლულელაური

## კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"ფრიდა"
დას: 13:30, 22:00 სთ. ფასი 5-6 ლარი
"გააანალიზე-2"
დას: 16:00 სთ. ფასი 6-7 ლარი
"აგენტი ჯონი ინგლისში"
დას: 18:00, 20:00 სთ; ფასი 7-8 ლარი
- **„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 17:00, 21:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი"**
"მზის ცრემლები"
დას: 17:00, 21:30 სთ. ფასი 5-9 ლარამდე
"დეარ დევილი"
დას: 15:00, 19:00 სთ. ფასი 5,7 ლარი

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)




განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა.საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი.ინტერნეტი.ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 — ტელ:29-48-61

# TV პროგრამა 8 მაისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
19.00 სერიალი „მაშველები“
19.45 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „არწივი დაეშვა“ მთ. რ-ში: მაიკლ კეინი
02.10 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა“
10.10 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“
10.25 მხ. ფილმი „მკვდარ ზონაში“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 „ქართული მთამსვლელობის ისტორია“
12.40 დოკ.სერიალი „ხელოვნების სცენარები“
13.00 ნაშუადღევს
14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ბაზრები“
15.15 მხ. ფილმი „ჩემი სისულელის ამბავი“
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.00 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.25 თბილისი და თბილისელები
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.05 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
23.55 მხ. ფილმი „ურჩხულთა მეჯლისი“

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ოქროს ბავშვი“.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ბრავო „დიდი მსუქანი მატყუარა“ მთ. რ-ში ფრენკი მუნიცი
02.00 ღამურა „ცა ცეცხლში „ მთ. რ-ში რასელ ქროუ.
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ურჩხულთა მეჯლისი“

## იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „შურისძიების ანგელოზი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
15.15 მხ. ფილმი „ქოფაკი მეომრები“
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „გარდასახვის ოსტატი“
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „პარასკევის საღამო“
01.55 მუსიკა

## ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00, 21.30 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სპორტის სამყარო“
20.30 მულტფილმი
21.00 „ვესტი“
21.30 საგ. სატ. ფილმი „განძის მაძიებელნი“
23.35 ტელესერიალი „ყავახანა“

## მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.55, 01.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები“
12.40 მხ. ფილმი „სიგიჟის ზღვარზე“
14.20 „ტელემეტრი“
14.45 „ევროპის სტადიონებზე“
15.05 მხ. ფილმი „მთავარი ეჭვმიტანილი“
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ქართული ფეხბურთი“
21.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები“
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი“.
22.25 მხ. ფილმი „რვაფეხა“
00.20 მხ. ფილმი „კოქტეილი“

## იმედი

17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.25 სპორტ. პროგრამა „ესტაფეტა“
19.55 ფანების კინოკლუბი „უიღბლო ქალთა კლუბი“
21.00 ფანების კინოკლუბი (გაგრძელება)
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“
23.40 სპორტ. პროგრამა „ესტაფეტა“

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 კომედია „მატყუარა“
10.30 ფილმი-კატასტროფა „შტორმი“
12.10 სათავგადასავლო ფილმი „ფათერაკების მაძიებელნი“
14.00 დოკ. ფილმი
14.25 მელოდრამა „იდეალური ქმარი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი
16.45 ვესტერნი „ომი ველურ დასავლეთში“
19.30 „პირისპირ“
20.20, 00.30, 00.55 მუსიკა
20.30 მხატვრული ფილმი „სისხლიანი სპორტი-წყვდიადისფერი“
22.00, 00.00 „დღეს“
22.30 ისტორიული ფილმი „ნეფერტიტი“
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.15 მელოდრამა „სულელები არა ვართ“
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.20 კომედია „კურსდამთავრებული“

## VII არხი

09.25 „აჩიკუდა“
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.30 „ბიორითმი“ - .
12.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.10 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.30 ღამის კაპრიზი“ - თემა: „ „.
21.15 მობილურები
22.05 რაგბი - ზე12 - ოკლენდი-დურბანი
23.45 „კინოკლუბი „ - „მხედართმთავრები 3000“.
01.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.50 „ბიორითმი“ - .

## ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Худ.фильм „Мерседес“ уходит от погони“
11.35 „Сканер“
12.05, 17.25 „Фабрика звезд 2“
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда“
13.15 Худ.фильм „Война на западном направлении“, 6 с.
14.40 „Непутевые заметки“
15.00 „Ударная сила“. „Звездная катапульта“
15.30 В. Брумель. „Жизнь выше планки“
16.15 „Солдаты свободы“. „Победа“
17.05 Док.сериал „Дикие штучки“
18.00 „Большая стирка“
19.30 Док. детектив „Карты. Деньги. Автомобили“.
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
20.50 „Поле чудес“. Праздничный выпуск
22.00 Время
22.40 Концерт „Родина, спасенная тобой“
00.25 Боевик „Отряд особого назначения“
01.50 Триллер „Способный ученик“

## РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45 Мелодрама „Возврата нет“
11.45, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Мелодрама „Арабский принц“
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 „Вся Россия“
14.45 Вести - Москва
15.20 Концерт Кубанского казачьего хора
16.15 „Комната смеха“
17.15, 04.55 „Агентство одиноких сердец“
18.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
18.50 Концерт Дмитрия Хворостовского в Государственном Кремлевском дворце
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
21.55 Комедия „Иван Васильевич меняет профессию“
23.50 Праздничнаяй программа к юбилею В. Этуша
01.45 Худ.фильм „Торпедоносцы“
03.45 „Дорожный патруль“
04.05 Сериал „Твин Пикс“

## НТВ

07.00 Утро на НТВ
09.05 Сериал „Свободная женщина“, 3 и 4 с.
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Чистосердечное признание“
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 „Сегодня“
12.05 „Квартирный вопрос. Дискотека в детской“
13.05 Худ.фильм „Единственная дорога“
15.05 „Широка страна. У белого моря“
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 Прощай, оружие. „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“
19.20 „Очная ставка“. Путевка в рабство
20.30 Сериал „Свободная женщина“
21.40 Худ.фильм „Экипаж машины боевой“
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.25 „Российская империя. Павел I“
01.30 Худ.фильм „Жаворонок“
03.15 „Ночь“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# "მინდა, კოკა კოლათი მთელ მსოფლიოს გავუმასპინძლდე"

## Always Coca-Cola

თამარ ბაბუაძე

*შევდივართ ინტერნეტში, უფრო ზუსტად, Yahoo-ს "სახლში". საძიებელში ვწერთ სასურველ სიტყვას - „კოკა კოლას". ძებნა იწყება. Yahoo ფიქრობს, ფიქრობს და ბოლოს 1,080,000 ვებ-გვერდის მისამართს გვთავაზობს. ეს არის იმ მისამართების ნუსხა, სადაც Yahoo-მ ერთგულად და გულმოდგინედ ძებნის შემდეგ ჩვენთვის სასურველი სიტყვა "კოკა კოლა" იპოვა.*

*...მართალია, თვალი არ ეცეს და გარეთ უკვე ზაფხულის სითბო იგრძნობა, მაგრამ კოკა კოლა დღეს მხოლოდ ამიტომ არ გაგვხსენებია. არის უფრო სხვა, მეტეოროლოგიასთან არანაირ კავშირში მყოფი მიზეზი – დღეს, ოღონდ 117 წლის წინ, 1886 წელს ატლანტაში პირველად გაიყიდა კოკა კოლა. სწორედ იმ დღეს "გადაწყდა", რომ ეს სასმელი უნდა გამხდარიყო ამერიკული პოპ-კულტურის განმსაზღვრელი ნაწილი; სანტა კლაუსის ახლებური იმიჯის შემქმნელი; ათასობით ისტორიული ტელერეკლამის მთავარი გმირი; ლოგოებისა და შეფუთვის ორიგინალური სტილის დამფუძნებელი; მილიონობით ჭორ-მართალის გავრცელების მიზეზი; დაბოლოს, ერთი გლობალური მიმდინარეობის ავტორი, რომელსაც ამერიკანიზაცია ან, უბრალოდ, "მუდამ კოკა კოლა" ჰქვია.*

"შამპანიური მასებისთვის", "რელიგია მასებისთვის", "გლობალური სასაუბრო ენა" ("ყველამ, ვინც ინგლისური "ოკეი"-"ჰელოუს" დონეზე იცის, იცის სიტყვა "კოკა კოლაც") – ადამიანები ასეთ მეტსახელებს არგებენ ერთადერთ სასმელს; სასმელს, რომელიც დღეს 200-მდე ქვეყანაში 300-ზე მეტი სახეობით იყიდება და მსოფლიოს ბოლო ხმაზე აყვირებს – "ისიამოვნე კოკა კოლა". შეიძლება, ეს ჰიპერბოლური აზროვნებაც იყოს, მაგრამ კოკა კოლა, რომ უკვე გლობალური საზოგადოების ქვეცნობიერში ზის, ფაქტია:

რამდენიმე ხნის წინ, მეგობარი მეკითხებოდა, რას გრძნობ, როცა კოკა კოლას სვამო, და მეც, სრულიად გულწრფელად ვთქვი, რომ ამ დროს განვიტვირთვები, ძალებით ვივსები, კარგ ხასიათზე ვდგები (თუნდაც წამიერად) და მგონია, რომ ძალიან მაგარი ვარ. ვთქვი და ავნერვიულდი – ჩემი პასუხი რა არის სხვა, თუ არა კოკა კოლას რეკლამის გავლენის ქვეშ ცხოვრება? როცა ასეთ რაღაცეებს ვიაზრებ ხოლმე, მერე ძალიან კარგად მესმის მორმონების, რომლებიც გაურბიან ცივილიზაციას და ელექტრიფიკაციას ლამფას ამჯობინებენ, ახალთახალ "სედანს" კი – ცხენებშებმულ ეტლს. გაგებით კი მესმის, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ვერაფერს გავაწყობ – კოკა კოლას სიყვარულს ვერაფრით ვაჯობებ. ე.ი. მეც (ისევე, როგორც მილიონობით სხვა ადამიანი დედამიწაზე) გამოვდივარ იმ გლობალური კულტურის ნაწილი, რომელსაც კოკა კოლა უკვე საუკუნეზე მეტია ქმნის.

### 1886 წლის 8 მაისი

ეს ის დღეა, როდესაც ატლანტელმა აფთიაქარმა და ყოფილმა ოფიცერმა, ჯონ პემბერტონმა პირველი ჭიქა კოკა კოლა გაყიდა. მან ამ უნიკალური სიროფის ფორმულა თავის ტკივილის გასაქრობად მოიგონა, იქვე ჯეკობსის აფთიაქში მიიტანა, სადაც ნაზავს კარბონირებული წყალი გაურიეს და ერთი ჭიქა 5 ცენტად გაყიდეს. სახელი კოკა კოლა კი (მომდინარეობს კოკას ფოთლისა და კოლას კაკლისგან) სასმელს პემბერტონის ბუღალტერმა მოუგონა.

დაარსების პირველ წელს კომპანია დღეში ცხრა ჭიქა კოკა კოლას ჰყიდდა, უკვე ერთი საუკუნის მერე კი მილიარდობით გალონ სიროფს აწარმოებდა.

თუმცა, კოკა კოლას წარმატება პემბერტონის დამსახურება არ ყოფილა: ის უფრო ჩხირკედელა გამომგონებელი იყო, ვიდრე ბიზნესმენი. ასე რომ არ ყოფილიყო, უნიკალური მომავლის მქონე კომპანიას ატლანტელ ბიზნესმენ ქენდლერს 2 300 დოლარად არაფრით მიჰყიდდა. ასეა თუ ისე, კომპანიის იმიჯის შექმნაზე და ახალი გამაგრილებელი სასმელის პოპულარიზაციაზე ზრუნვა სწორედ ქენდლერმა დაიწყო. ის აფთიაქებსა და მაღაზიებს კოკა კოლას ლოგოს მქონე საათებით, ურნებით, კალენდრებით, ლანგრებით ავსებდა და ამგვარი აგრესიული რეკლამის საშუალებით, თანდათან აჩვევდა საზოგადოებას სასმელს, რომელმაც 1914 წლისთვის ქენდლერს 50 მილიონი დოლარის ქონება დაუგროვა.

თუმცა, გამჭრიახი გონების მქონე ქენდლერმაც კი ვერ გაიაზრა, რომ კოკა კოლას სუპერ-წარმატებული მომავლის გარანტი მისი ბოთლებში ჩამოსხმა და ექსპორტირება იყო. სამაგიეროდ, ამას მიხვდა მისი-



კოკა კოლას მამა ჯონ პემბერტონი



პირველი ბოთლი 1899 წ.




პირველი რეკლამა

სიპელი ჯოზეფ ბიდენჰარნი, რომელმაც კოკა კოლა ბოთლში პირველმა ჩამოასხა. უკვე 1899 წელს კი ჯოზეფ უაიტჰედმა და ბენჯამინ ტომასმა ქენდლერისგან კოკა კოლას ჩამოსხმის და გაყიდვის უფლება მიიღეს.

ახალი საუკუნის პირველ წლებში კოკა კოლა უკვე ამერიკის საზღვრებს გარეთაც გავიდა. თუმცა, გამწვავდა კოკაინის მავნებლობის შესახებ დებატები და 1903 წელს კომპანია იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ სიროფს მხოლოდ გახარჯული კოკას ფოთლებით დაამზადებს. ამავე პერიოდში გადააკეთეს რეკლამებიც და უკვე აღარ ამტკიცებდნენ, რომ კოკა კოლა თავის ტკივილს კურნავს.

ქენდლერის გარდაცვალების შემდეგ (ის ერთხანს ატლანტის მერიც იყო) ოჯახმა წილი ერნესტ ვუდროფს 25 მილიონ დოლარად მიჰყიდა. ვუდროფი კომპანიის პრეზიდენტად 1923 წელს ეკურთხა და კოკა კოლას ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა.

### სახალისო და ისტორიული ფაქტები

კოკა კოლას სამარკო ე.წ. კონტურიანი ბოთლების წარმოება 1916 ინდიანაში დაიწყეს.

1928 წელს კოკა კოლამ ამსტერდამში ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ს სპორტულ გუნდთან ერთად იმოგზაურა. მალევე კოკა კოლას ლოგო ესპანეთში კორიდას არენებზეც გამოჩნდა.

1929 წელს ნიუ იორკში, ტაიმს სკვერზე კოკა კოლას ნეონისგან დამზადებული პირველი დიდი რეკლამა გაჩნდა.

1931 წელს ჰედონ სენდბლომმა დახატა სანტა, რომელიც კოკა კოლას სვამდა და ამბობდა "სადაც არ უნდა წავიდე"... ასე დაიწყო სანტაკლაუსისა და კოკა კოლას მეგობრობა, რომლითაც უკვე თბილისელებიც ტკბებიან.

1932 წელს ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთ ათლეტს ჰკითხეს, იცოდა თუ არა ინგლისური. მან უპასუხა: "რა თქმა უნდა, ჰოტ დოგი...კოკა კოლა".

ომი დაიწყო თუ არა რობერტ ვუდროფმა გასცა ბრძანება: თითოეულ ჯარისკაცს, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის და რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეს კომპანიას, ხუთ ცენტად უნდა მიეღო კოკა კოლა.

1941 წლის 29 ივნისს კი გენერალმა დუაიტ ეიზენჰაუერმა კომპანიას დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც ჯარისკაცებისთვის კოკა კოლას ჩამომსხმელი ათი ქარხნის სასწრაფოდ გამართვას ითხოვდა. სწორედ ამ დღიდან მოედო კოკა კოლას ეპიდემია მთელ ევროპას. ამერიკამ კი ამ უნიკალური სასმელის საშუალებით ახალი, ომის შემდგომი იმიჯი შეიქმნა – ქვეყანა, რომელშიც უყვართ კოკა კოლა თავისუფალი, მხიარული და უდარდელია.

ასევე 1941 წელს საჟურნალო რეკლამებში პირველად გაჩნდა კოკა კოლას დღეს ასე პოპულარული აბრევიატურა – "ქოუქი".

1950-იანი წლებისთვის ბენზოგასამართ სადგურებს გაყიდული ჰქონდა უფრო მეტი "ქოუქი", ვიდრე ავტომობილების საწვავი.

1961 წელს გაჩნდა სპრაიტი.

1970 წელს გამოიგონეს ე.წ. "ქოუქის ტალღა" – თეთრი ლენტი კოკა კოლას წითელ ლოგოზე.

1978 წელს კოკა კოლა "შეუშვეს" ჩინეთში, რითაც ის გახდა ერთადერთი შეფუთული, გამაგრილებელი სასმელი, რომლის შეტანაც დასაშვები იყო.

80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა დიეტური კოკა კოლა, რომელიც ყველაზე პოპულარულ, დაბალკალორიულ, გამაგრილებელ სასმელად იქცა.

1984 წელს დაარსდა "კოკა კოლას ფონდი" - ფილანტროპიული ორგანიზაცია. დღეს კი კოკა კოლა სტიპენდიებსა და გრანტებს უცხოელი სტუდენტებისთვისაც გასცემს, ზრუნავს გარემოს დაცვაზე, ღარიბ მოსახლეობაზე, შიდსით დაავადებულებზე. თანაც ეს ყველაფერი მსოფლიოს მასშტაბით ხდება. საქართველოშიც ხომ კარგად იცნობენ კოკა კოლას საქველმოქმედო ინიციატივებს.

1985 წელს კოკა კოლა გახდა პირველი გამაგრილებელი სასმელი, რომელიც კოსმოსურ ხომალდ "ჩელენჯერთან" ერთად კოსმოსში "გაფრინდა". ერთი წლის შემდეგ კი კომპანიამ ასი წლის თავი იზეიმა.

1990 წელს ატლანტაში დაარსდა კოკა კოლას მუზეუმი, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღირშესანიშნაობად იქცა.

1996 წელს კომპანიამ დაასპონსორა ატლანტას საზაფხულო ოლიმპიადა. 1998 წელს კი გაამყარა მეგობრობა ფიფასთან.

2000 წლიდან კომპანიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – დოუ დაფტი.

2001 წელს გამოდის დიეტური კოკა კოლა ლიმნის არომატით.

2002 წელს კი ვანილის არომატიანი კოკა კოლას პრემიერა იმართება. ამავე წელს, სოლტ ლეიკ სიტიში ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები და კომპანია კიდევ ერთხელ ხდება ოლიმპიური თამაშების მთავარი სპონსორი.

ანუ იწყება ახალი საუკუნე და კოკა კოლა ხდება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სავაჭრო ნიშანი, რომელსაც მსოფლიოს მოსახლეობის 94 პროცენტი ცნობს.

თუმცა, კოკა კოლას შესახებ ათასგვარი ჭორიც არსებობს. მაგალითად ასეთი: კოკა კოლას ჭიქაში ჩაგდებული კბილი ერთ ღამეში დნება.

კოკა კოლა კარგად ხეხავს ჭურჭელს.

კოკა კოლა თავიდან მწვანე იყო.

კოკა კოლას რეცეპტის საიდუმლო ორმა ხელმძღვანელმა იცის. თანაც ერთმა ერთი, მეორემ კი მეორე ნაწილი და ა.შ.

თუმცა, საკმარისია, კოკა კოლას ერთი რეკლამის ნახვაც, რომ ჭიქაში ჩაგდებული ერთ ღამეში დამდნარი კბილი თუ ქიმიური ნივთიერებებით დაზიანებული კუჭი ყველას ავიწყდება და კოკა კოლა ისევ მსოფლიოს უსაყვარლესი სასმელი ხდება.

### "დალიეთ კოკა კოლადან" "მუდამ კოკა კოლამდე"

ეს კი უკვე რეკლამის ძალაზე მიუთითებს, მით უფრო თუ საუბარია, კარგად გაკეთებულ და ხელოვნების რანგში აყვანილ რეკლამაზე. ასეთები კი კოკა კოლას ისტორიაშიც მრავლად მოიძებნება.

კომპანიის პირველ წლებში ახალდაბადებულ სასმელს რეკლამას ერთი მარტივი ფრაზით უკეთებდნენ: "დალიე კოკა კოლა". შემდეგ სარეკლამო ფრაზებს სხვადასხვანაირად ცვლიდნენ: "უგემრიელესი და გამაგრილებელი", "უგემრიელესი ბოლო წვეთამდე", "წყურვილი სეზონს არ ცნობს", "შესვენება, რომელიც გაგრილებს", "საუკეთესო მეგობარი, რომელიც კი წყურვილს ოდესმე ჰყოლია", "ქოუქთან ერთად ყველაფერი კარგად არის", "ზემოთ აიხედე, ამერიკა", "დალიე ქოუქი და გაიღიმე", "მუდამ კოკა კოლა". ეს უკანასკნელი მსოფლიო შემეცნებაში 1993 წლიდან დამკვიდრდა და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფრაზად ითვლება, ფრაზად, რომელსაც მთელი მსოფლიო ცნობს. სწორედ ამ წინადადებით დაიწყო ისეთი ცნობილი რეკლამების გამოშვება, როგორიც იგივე "ჩრდილოეთის ციალია" და მისი მთავარი გმირი – კოკა კოლაზე შეყვარებული თეთრი დათვი.

კოკა კოლა და რეკლამა ერთი უზარმაზარი, დამოუკიდებელი თემაა, მრავალი საინტერესო ასპექტით. ქუჩის რეკლამებიდან საგაზეთო რეკლამის კულტურაზე კოკა კოლა 1906 წლიდან გადავიდა. პირველი ტელერეკლამა კი ეთერში 1950 წელს, მადლობის დღეს გავიდა. წლების განმავლობაში კოკა კოლას ტელე და რადიორეკლამაც ცვალებად სოციალურ ღირებულებებს აირეკლავდა. 1960-იან წლებში კომპანია ახალგაზრდებს მიმართავდა და თავისი, ისედაც პოპულარული პროდუქტის რეკლამას ცნობილი მომღერლების დახმარებით აკეთებდა. იმ პერიოდში ამერიკულ რადიოეთერში კოკა კოლას უმღეროდნენ ისეთი შემსრულებლები, როგორებიცაა: "სუფრიმზი", "მუდი ბლუზი", როი ორბისონი, პეტულა კლარკი, რეი ჩარლზი.

ანუ, მიმზიდველი მელოდია კოკა კოლას წარმატების გარანტად მაშინვე იქცა. 1971 წელს, ერთ-ერთ იტალიურ მთის წვერვალზე ჩაწერილი რეკლამა კი ამ მხრივ უპრეცედენტო გახდა: ახალგაზრდები იდგნენ ერთად და აღგზნებული სახეებით უმღეროდნენ მშვიდობიან მსოფლიოს, რომელსაც კოკა კოლათი უმასპინძლდებოდნენ. ამ სიმღერაში კოკა კოლა წარმოდგენილი იყო, როგორც ადამიანებთან მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალება, როგორც სიყვარულის გამავრცელებელი... ჩანაწერმა პრემიერის საღამოსვე ჯადოსავით იმოქმედა. მეორე დღეს ყველა ახალ მელოდიას ღიღინებდა.

წარმატებულმა რეკლამამ ამერიკას 70-იანი წლების შუა ხანებშიც უშველა. მაშინ, როდესაც უოტერგეიტის სკანდალისა და ნიქსონის გადადგომის გამო შტატებს დეპრესია ემუქრებოდა, მხსნელად მას კოკა კოლა მოევლინა. ეს სასმელი ამერიკამ აღიქვა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და დადებითი ნაციონალური ფასეულობა და საკუთარი სურვილითვე დამორჩილდა კომპანიის ახალ, ომახიან მოწოდებას: "მაღლა აიხედე, ამერიკა!"

შემდეგ და შემდეგ, ახალ-ახალი დევიზების წყალობით, კოკა კოლა მთელი მსოფლიოსთვის გახდა თავისუფლების, ხალისის, რომანტიკული გატაცების, ღიმილის და მხიარულების სიმბოლოც.

2000 წელი ახალი სიტყვით – "ისიამოვნე" აღინიშნება. ეს ახალი სარეკლამო კამპანია მსოფლიოს არწმუნებს, რომ კოკა კოლა მათ ცხოვრებას ჯადოსნური ხიბლითა და სასიამოვნო მოულოდნელობებით აღავსებს. ამ ახალი კამპანიისთვის ჩაწერეს 140-მდე მელოდია, რომელთაც 40 ენაზე (მათ შორის ქართულზეც) წარმოთქმული "ისიამოვნე კოკა კოლა" მოერგო.

სწორედ სიამოვნების უდიდეს დოზაზეა საუბარი სარეკლამო რგოლში "პირველად", რომელიც მაროკოს ერთ-ერთ სოფელში გადაიღეს. იქ, სადაც არც ელექტროენერგია აქვთ, არც ტელევიზია და, ბუნებრივია, ამ რეკლამამდე არც კოკა კოლა ჰქონდათ... რეკლამაში თინეიჯერი ბიჭი კოკა კოლას გემოს კოცნას ადარებს. რეჟისორი კი ჯონ მედენი გახლავთ – "მისის ბრაუნისა" და "შეყვარებული შექსპირის" შემქმნელი.

### მსოფლიო მიმდინარეობა: კოკა კოლა

ახლა უკვე ცხადია, რატომ უწოდებენ კოკა კოლას "შამპანიურს მასებისთვის" და ან "რელიგიას მასებისთვის". უნდა გავუგოთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც აგროვებენ ყველაფერს კოკა კოლას შესახებ, მათ შორის სხვადასხვა ქვეყანაში გამოშვებულ ბოთლებს, მაისურებს, კეპებს, პლაკატებს და სხვადასხვა სუვენირებს. მათ ხომ კოლექციონერობის საბაბს თავად კოკა კოლა აძლევს: კომპანია თავად ფლობს სუვენირების მაღაზიებს, სადაც სასმელთან დაკავშირებულ ყველანაირ პროდუქტს ჰყიდის. აუქციონები კი ათობით ათასობით ღონისძიებებს აწყობენ და ფანებს კოკა კოლათი "დასაავადებლად" უფრო მეტი მიზეზით "ამარაგებენ".

...მოგეხსენებათ, კოკა კოლას მსგავსად, ფეხბურთიც ცალკე მსოფლიო მიმდინარეობაა, რომელთანაც ქოუქი უკვე წლებია, მეგობრობს. კომპანია ასპონსორებს არა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატებს, არამედ ახალგაზრდულ ნაკრებთა ჩემპიონატებსაც და დღეს, საქართველოში უკვე ძალიან პოპულარულ "ფოქს კიდსის" თასსაც.

ასე რომ, კოკა კოლას ვერსად გაექცევით. ის ყველგანაა და სხვადასხვა ინტერპრეტაციით განუწყვეტლივ გვახსენებს: "მუდამ კოკა კოლა", "ისიამოვნეთ კოკა კოლა". მსოფლიოც ფარ-ხმალს ყრის და დაპირებულ სიამოვნებას სიამოვნებით ნებდება. მერე რა, რომ ეს სითხე, ზოგიერთების რწმენით, კბილებს ადნობს...

P.S. დაბოლოს, ერთი ოფიციალური სტატისტიკა: ყოველ ათ წამში, მსოფლიოს მასშტაბით 126 ათასი ადამიანი კომპანია კოკა კოლას რომელიმე სასმელის დასალევად იწევს. ამ გასაოცარი ფაქტიდან გამომდინარე, წარმატების აზარტში შესული დოუ დაფტი შეჩერებას არ აპირებს და გეგმავს, რომ ახალ საუკუნეში კოკა კოლათი სიამოვნების ხარისხი კიდევ უფრო გაზარდოს.




1963 წ. მიტჩელის სკვერი ატლანტაში; ნეონის რეკლამა



კოკა კოლას მუზეუმი



ფილიპინელები კოკა კოლას ეზიდებიან



კოკა კოლას ერთ-ერთი ახალი რეკლამა

# და ღმერთმა შექმნა ქალი...



ბრიჯიტ ბარდო

...რეჟისორმა როჟე ვადიმმა კი – მსახიობი ბრიჯიტ ბარდო. პირველ ფილმს, რომელმაც ბარდო ვარსკვლავად აქცია, სწორედ "...და ღმერთმა შექმნა ქალი" ჰქვია, და მისი რეჟისორი როჟე ვადიმი გახლავთ. ეს მოხდა 47 წლის წინათ, 1956 წლის 8 მაისს, როცა ბრიჯიტი 22 წლისა იყო – ეს მის ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი გახლავთ.

ბრიჯიტ ბარდო ბურჟუაზიულ ოჯახში დაიბადა, სადაც მსახიობის პროფესიას ფრიად სკეპტიკურად უყურებდნენ. ის, რომ ქალიშვილს როჟე ვადიმი უყვარდა, ოჯახში ცალსახად უარყოფით რეაქციას იწვევდა: რეჟისორს ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბრიჯიტი მსახიობი გახდა, და სრულწლოვანების მიღწევისთანავე როჟე ვადიმს გაჰყვა ცოლად.

ვადიმი, ცხადია, სხვებზე უკეთ იცნობდა თავისი ცოლის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, რომელსაც მანამდე უკვე 15 ფილმში ეთამაშა, მაგრამ მთავარი როლი ჯერ არ ღირსებია. სწორედ ვადიმის წყალობით შექმნა ბრიჯიტმა ჟულიეტას დაუვიწყარი სახე. ფილმი ევროპასა და შეერთებულ შტატებში არნახული წარმატებით სარგებლობდა, და სულ მალე ინიციალები "BB" მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი.

როჟე ვადიმთან მან კიდევ ორჯერ ითანამშრომლა: 1958 წელს – "იუველირები მთვარის შუქზე" და 1973-ში "დონ ჟუანი – 73". ამ უკანასკნელი ფილმის შემდეგ ბბ კინემატოგრაფს დაემშვიდობა, როგორც ჩანს, სამუდამოდ.

ასაკმა ბრიჯიტი ძალიან შეცვალა. ამჯერად ის მთელ თავის ენერგიას ცხოველთა დაცვას უძღვნის – ხმამაღალ პროცესებს და პათეტიურ გამოსვლებს აწყობს. სახელი "ბბ" კვალავ პოპულარულია. ამის დასტური თუნდაც ის გახლავთ, რომ მისი მემუარები, "ინიციალები ბბ", შესანიშნავად იყიდება, და უკვე მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

# ყველაზე გავლენიანი მზეთუნახავი



"დოლჩე და გაბანა", ჟიზელ ბუნდხენი (მარჯვნივ)

ნიუ იორკის "ყველაზე გავლენიან ქალთა" სიაში პირველ ადგილზე ბრაზილიელი სუპერმოდელი, ჟიზელ ბუნდხენი გავიდა. ამ სიას "ნიუ იორკ ფოსტის" რედაქცია სარეკლამო ბიზნესისა და ფინანსური სტრუქტურების ათასობით წარმომადგენლის გამოკითხვის შემდეგ ყოველწლიურად აქვეყნებს ხოლმე.

ჟიზელის გარდა, წლევანდელ სიაში ჰილარი კლინტონი, ამერიკული "ვოგის" მთავარი რედაქტორი ანა ვინტური, ფოტოგრაფი ანი ლეიბოვიცი და მომღერალი და მსახიობი, ჯენიფერ ლოპესიც შევიდნენ.

გამოკითხვამ, რომელსაც, წესით, პირად ცხოვრებაში ქექვაც შეიძლება ეწოდოს, ნათელჰყო – ჟიზელ ბუნდხენის წლიური შემოსავალი 10 მილიონ დოლარს შეადგენს. "ის მსოფლიოს ყველაზე მსხვილი და პრესტიჟული სარეკლამო კამპანიების სახეა – "დიორის", "ვერსაჩეს", "დოლჩე და გაბანასი", ვინაიდან მისი სახე და სხეული ნებისმიერი ნაწარმის გასაღების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს," – თვლის სააგენტო Limited Brands-ის პრეზიდენტი. ცოტა ხნის წინათ ამ სააგენტომ ჟიზელთან ხელშეკრულება დადო, რომელშიც Victoria's Secret-ის რეკლამასა და რამდენიმე მილიონ დოლარზეა საუბარი. "ჟიზელს ყველა სხვა მოდელზე უკეთ ესმის, რა ძალა აქვს რეკლამას".

# ახალი სახე – ჰაიდი კლუმი

შვედურმა მოდების კონცერნმა H&M-მა თავის სარეკლამო კამპანიების ვარსკვალვებს ახალი ბრწყინვალე სახელი შეჰმატა. საცურაო კოსტუმებს ამჯერად გერმანელი ტოპ-მოდელი, ჰაიდი კლუმი წარმოადგენს.

საერთოდ, თავის რეკლამებში მონაწილეობის მისაღებად H&M ყოველთვის ყველაზე სახელგანთქმულ ადამიანებს იწვევს ხოლმე. უცნაურიც კია: მის 20 დოლარიან საცურაო კოსტუმებში მსოფლიოს ულამაზესი ქალები დადიან. ასე, სპორტული, არცთუ მიმზიდველი საცურაო კოსტუმების შარშანდელი "სახე" მშვენიერი კრისტი ტარლინგტონი იყო. მანამდე კი ამ როლს პამელა ანდერსონი, ტაირა ბენქსი და სალმა ჰაიეკი ასრულებდნენ. ფაქტია, რომ H&M-ის მესვეურნი გემოვნებას არ უჩივიან, და დღეს ამ ფირმის რეკლამაში მონაწილეობა ისევე პრესტიჟული გახდა, როგორც "პირელის" კალენდარში და Sports Illustrated-ის გარეკანზე გამოჩენა.

სარეკლამო სერიას ჰაიდი კლუმის მონაწილეობით დასავლეთ ინდოეთის ზღაპრულ სანაპიროზე იღებდნენ. ამ მზიანი, თვალწარმტაცი კამპანიის ავტორი ფოტოგრაფი მარიო სორეტია. იოლი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენს მომხმარებელზე უზარმაზარ ბილბორდებზე გამოსახული ჰაიდის ლეგენდარული სხეული...

The Eurasia Foundation
OSGF

"ევრაზიის ფონდი" და ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" აცხადებს საგრანტო კონკურსს "ღია სკოლა", საქართველოს სკოლებთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. კონკურსში მონაწილეობის მსურველებისთვის ჩატარდება კონსულტაციები:

თბილისი 2003 წლის 12 მაისი, 14:00სთ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, სათაო ოფისი, ჭონქაძის ქ. 10ა
ტელ.: (995 32) 25 04 63, 25 05 92

ქუთაისი 2003 წლის 13 მაისი, 13:00სთ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ქუთაისის ოფისი, თამარ მეფის ქ. 59
ტელ.: (8 231) 41 140

თელავი 2003 წლის 15 მაისი, 13:00სთ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს თელავის ოფისი, რობაქიძის ქ. 2,
ტელ.: (8 250) 33 139

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ევრაზიის ფონდი კავსაძის ქ. № 3, ტელ 223264 ან 253942/43

WWW.EURASIA.ORG.GE

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT ელექტრონული კომერცია / HRM პროექტის მენეჯმენტი
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები კომპიუტერული სისტემის ინჟინერია ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 სანდერლენდი უნ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინრის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიერ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

საოჯახო ლოტო

29 მარტიდან,
შეიძინეთ!
გაერთეთ!
მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.

ფირმა "ფენიქსი"
გისურვებთ წარმატებას.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების სხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## კროსვორდი

